www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 25 ოქტომბერი, 2004 წელი. №253 (802)

ფასი 50 თეთრი

## უცხოეთი

### ნადირობა ამომრჩევლის გულებზე




A5

## საზოგადოება

### „არ ჯობდა, ქართულად გვესაუბრა?”



არტურ ერემიანი, ახალქალაქის გამგებელი: მე რუსეთში მაქვს უმაღლესი დამთავრებული, ამიტომ ქართულად ვერ ვსაუბრობ. თორემ რატომ უნდა ვსაუბრობდეთ ჩვენ ახლა მესამე ენაზე, არ ჯობდა, ქართულად გვესაუბრა?

A6

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი “24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 25/10 | 26/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 22 |
| ქუთაისი | 23 | 26 |
| ბათუმი | 23 | 26 |
| სოხუმი | 21 | 24 |
| ფოთი | 22 | 27 |
| თელავი | 19 | 21 |
| ზუგდიდი | 22 | 26 |
| გორი | 18 | 20 |
| ახმეტა | 21 | 21 |
| ჭიათურა | 21 | 23 |
| გაგრა | 19 | 22 |
| სამტრედია | 22 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8450 |
| ევრო | 2.3299 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3730 |
| რუბლი | 0.0636 |

# ბოლონიის პროცესი და კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ

1998 წელს პარიზში საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების მინისტრები შეიკრიბნენ, რათა ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების დაახლოების პერსპექტივაზე ესაუბრათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოთხი ქვეყნის სტუდენტებს ერთმანეთის უნივერსიტეტებში სწავლის პრობლემა არასოდეს ჰქონიათ, გარკვეული სირთულეები ამ პროცესს მაინც ახლდა. გერმანიასა და იტალიაში ჯერ კიდევ განათლების ხუთწლიანი (ჩვენი მსგავსი) სისტემა იყო, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში, მართალია, ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული, მაგრამ მაინც ორსაფეხურიანი. ამ ქვეყნებში განსხვავებული იყო შეფასების შკალებიცა და აკადემიური წოდებების სისტემაც. განათლების მინისტრებმა გადაწყვიტეს, რომ ერთიანი ევროპული სივრცის შექმნას, სადაც ახლო მომავალში ერთიანი სავალუტო სისტემა და ერთიანი ეკონომიკა უნდა დანერგილიყო, აუცილებლად ერთიანი საგანმანათლებლო საფუძველიც ესაჭიროებოდა. ამის შედეგად 1999 წელს ბოლონიაში, ევროპის პირველი უნივერსიტეტის სამშობლოში, ოცდაცხრა ევროპული ქვეყნის განათლების მინისტრმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელიც 2010 წლისათვის უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის შექმნას ითვალისწინებდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# კობა ნარჩემაშვილი - პირველი დაპატიმრებული შინაგან საქმეთა მინისტრი



ბესო გულაშვილის ფოტო

*ეს იყო კობა ნარჩემაშვილის ბოლო გამოჩენა საზოგადოებაში, შემდეგი - გუშინდელი გამოჩენა მისი დაპატიმრებით დამთავრდა.*

სოფიკო ჩხაიძე

*შევარდნაძის დროინდელ ძალოვან მინისტრებს შორის პირველს თუ კობა ნარჩემაშვილს დაიჭერდნენ, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა. თუმცა, ფაქტია - რევოლუციის შემდეგ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის პირველივე გამოჩენა საზოგადოებაში იმავე დღეს მისი დაკავებით დაგვირგვინდა.*

იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო ხანებში პოლიციას მხოლოდ უმნიშვნელო დამნაშავეების დაკავებას თუ ანდობენ, გუშინაც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის დაკავების ოპერაცია უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ჩაატარეს. ოპერაციის დეტალები არ ხმაურდება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გენერალური პროკურატურა კობა ნარჩემაშვილს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებას ედავება და დაკავებისთანავე იგი უშიშროების სამინისტროს იზოლატორში მოათავსეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ევროპული" თბილისობა




ვახო ბასელიას ფოტო

# რუსეთის დილემა

ნიკა რურუა

*თქვენს სახლში სტუმრად მოსული რუსეთი ყველა ოთახის კარებს გამოაღებს და იქ თქვენი ნებართვის გარეშე შეიხედავს, მაგრამ როგორც კი ის იმ ოთახს მიადგება, რომლის კარიც არ იღება – იგი მობრუნდება და ღიმილით მიგიწვევთ სადილად საკუთარ სახლში იმავ საღამოს.*

***უინსტონ ჩერჩილი***

დაპირებისამებრ, ვაგრძელებთ ციკლს “მარშალის ცენტრში” მოსმენილ ლექციათა თემაზე (იმის შესახსენებლად, თუ რას წარმოადგენს “მარშალის ცენტრი”, იხილეთ გაზეთ “24 საათის” 4 ოქტომბრის ნომერი ან ეწვიეთ ვებგვერდს მისამართზე www.marshallcenter.org).

წინამდებარე სვეტი ეხება საბჭოთა იმპერიის მემკვიდრის – რუსეთის, როგორც ქვეყნის, დღევანდელ მდგომარეობას; მისი შიდა და გარე პოლიტიკის განმაპირობებელ მიზეზებსა და იქ მიმდინარე მოვლენათა ტენდენციებს. გადავიდეთ პირდაპირ სათქმელზე.

რუსეთი დღეისთვისაც წინააღმდეგობებით აღსავსე ქვეყანას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ იქ მომხდარი ე.წ. “დემოკრატიული რევოლუციის” (იგულისხმება სსრკ პრეზიდენტის, მიხეილ გორბაჩოვის დაკავებული პოსტიდან გადადგომა და ბორის ელცინის მიერ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი დეზინტეგრაციის გამოცხადების ფაქტი) შემდგომ ცამეტმა წელმა განვლო, დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის პროცესი რუსეთში, რბილად რომ ითქვას, ჯერაც არ დასრულებულა. როგორც გვახსოვს, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რიცხვიდან სამი ქვეყანა – ესტონეთი, ლატვია და ლიტვა ევროკავშირისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრ ქვეყნებად იქცნენ; საქართველო ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოა, რომელიც ღიად საუბრობს NATO-სა და ევროკავშირში გაწევრიანების საკუთარ სურვილსა და ამბიციაზე; უზარმაზარი და მდიდარი უკრაინის ბედს სულ რამდენიმე დღეში იქ ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები გადაწყვეტს; შუა აზიის რესპუბლიკები მათთვის კარგად ნაცნობი ტრადიციული აღმოსავლური დესპოტიზმის ზედაპირულად განსხვავებულ ვერსიებში ჩაიკარგნენ. მაგრამ, რაც შეეხება რუსეთს – მისი პოლიტიკური ორიენტაციის ბედი ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ მისტერიას წარმოადგენს. მიზეზი ამისა?

რუსეთის მოსახლეობის 64 პროცენტი დღეისთვის ჯერ კიდევ განიცდის ე.წ. “nostalgie positivue”-ს (დადებითი ნოსტალგია) საბჭოთა იმპერიასთან მიმართებაში. რუსეთის მოქალაქეთა დიდი ნაწილი, რომელსაც საბჭოთა კავშირში მოუწია ცხოვრება, სსრკ-ს დაშლას უდიდეს შეცდომად და ტრაგედიად მიიჩნევს (ერთი შეხედვით ისეთი უმნიშვნელო რამ, როგორიცაა საბჭოთა კავშირის ჰიმნის რუსეთის ფედერაციის ჰიმნად აღდგენის ფაქტი, ლუბიანკის მოედანზე საბჭოთა უშიშროების სამსახურის დამფუძნებლისა და “წითელი ტერორის” შემოქმედის - ფელიქს ძერჟინსკის ძეგლის ხელახალი დადგმის შესაძლო ფაქტად განხილვა, წითელ მოედანზე ლენინის მავზოლეუმისთვის ხელშეუხებლობის გარანტიების მიცემა ხაზს უსვამს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოური ძლიერების სიმბოლოებს დღევანდელი რუსეთი და მისი ხელისუფლება). რუსი ხალხის დიდი ნაწილი თვლის, რომ ყველა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, რაოდენ დიდი პრობლემების წინაშეც არ უნდა იდგნენ ისინი დღესდღეობით (მაგალითად, ეკონომიკური სტაგნაცია, უმუშევრობა, სეპარატიზმის შედეგად გაჩენილი უკონტროლო ტერიტორიები),

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 მონიტორინგი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 თვალსაზრისი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

ნიკა რურუას სვეტი

## რუსეთის დილემა



პირველი გვერდიდან

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, სულ ცოტა, ერთი რამ მაინც მოიპოვა – დამოუკიდებლობა. რუსეთმა კი, რომელსაც დამოუკიდებლობის პრობლემა არ გააჩნდა, რუსეთის მოქალაქეთა აზრით, ყველაფერი დაკარგა: ხიშტითა და მახვილით მოპოვებული მიწები, შიშისა და ძრწოლვის მთესველი სუპერსახელმწიფოს სტატუსი, იდეოლოგია (თუნდაც უსამართლო და აბსურდულ-სუიციდური, მაგრამ მაინც "მტკიცე" და ტოტალიტარული აზროვნებისათვის დამახასიათებელი მიმზიდველი სიმარტივით გაჯერებული ღირებულებათა სისტემა), წესრიგი, თანასწორობა (თუნდაც სილატაკეში) და, რაც მთავარია – სხვა ქვეყანათა პატივისცემა.

ცდილობს თუ არა რუსეთი დღეს დასავლურ სამყაროში გულწრფელ ინტეგრაციას, თუ საპირისპიროდ ამისა, იგი ერთ ნაბიჯს წინ დგამს და ორს კი უკან – ეს კითხვა მრავალ სახელმწიფოს უჩენს თავსატეხს. პასუხი კი, გამომდინარე მოვლენათა განვითარებიდან, არცთუ იმედის მომგვრელი ჩანს.

აშკარაა, რომ რუსეთი, როგორც ქვეყანა, აწმყოში იდენტურობის მკაფიოდ გამოხატულ კრიზისს განიცდის – მან "იცის", ვინ იყო იგი, მაგრამ არ აქვს წარმოდგენა, ვინ "არის" დღეს და "რა იქნება" ხვალ. იგი მისტირის წარსულს და ცდილობს იმ სარკის დამსხვრევას, რომელშიც საკუთარი თავის ანარეკლი ძალიან არ მოსწონს; მეტიც – სძულს.

მაგრამ რუსეთში არსებობს ადამიანი, ვისაც მოქმედების საკუთარი გეგმა აქვს. ეს არის პრეზიდენტი პუტინი, ვინც თვლის, რომ შესწევს უნარი რუსეთის იდენტურობის კრიზისიდან გამოყვანისა. მას მიაჩნია, რომ ძალუძს იმის წარმოჩენა, თუ როგორი უნდა იყოს ახალი რუსეთი.

სამწუხაროდ, პუტინის ვერსია ახალი რუსეთის შესახებ ძლიერ წინააღმდეგობრივია – მას სურს საკუთარ ქვეყანაში საბჭოთა ხანის ძლიერებისა და დასავლური ტიპის ეკონომიკის შერწყმა (ცნობილია, რომ პუტინს ძალიან მოსწონს ქვეყნის განვითარების ე.წ. ჩინური მოდელი). თუმცა, ამგვარი სიმბიოზის შექმნა არათუ იოლი, არამედ, ალბათ, შეუძლებელი ამოცანაც კია.

რუსეთის პოლიტიკური სცენა დღეისთვისაც რჩება "ერთი მსახიობის თეატრად", ვინც საკუთარი ალღოს, გემოვნებისა და უნარის მიხედვით უნდა განსაზღვროს ქვეყნის არა მარტო მომავალი, არამედ მისი განვითარების ტემპი, პოლიტიკური სისტემის ორიენტირი და სხვა უმნიშვნელოვანესი პერიმეტრები. პუტინის სცენარით მოვლენათა განვითარების ნიშნები საგანგაშო ელფერს ატარებს.

რუსეთში, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური განვითარებისა და ზრდის პროცესი გაყინულია. მთელი რუსეთის მასშტაბით არსებობს მხოლოდ ერთი პარტია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს "პარტია" ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და იგი კომუნისტური პარტიაა, რომელსაც ქვეყნის ყველა რეგიონში მეტ ნაკლებად ეფექტური პარტიული ქსელები გააჩნია. როგორც ვიცით, 2007 წლისთვის საარჩევნო ბარიერს პრეზიდენტი პუტინი შვიდი პროცენტით ზრდის; მისი ინიციატივაა ისიც, რომ სახელმწიფო სათათბიროს ქვედა პალატაში წარმოდგენილნი იყვნენ მხოლოდ პარტიები და არა მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატები. ეს ორი ფაქტი თითქმის გამორიცხავს რუსეთის პოლიტიკურ სცენაზე ჯანსაღი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას, იმდენად, რამდენადაც სხვაგვარად მოაზროვნე პოლიტიკური ჯგუფები ქვეყნის პოლიტიკური პროცესიდან მთლიანად გაძევებულნი რჩებიან. ეს, თავის მხრივ, აუცილებლად წარმოქმნის რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის სხვადასხვა გამოვლინებების გაჩენის საფრთხეს, რადგანაც, უბრალოდ, არ იარსებებს არც ერთი ლეგალური გზა პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებისა.

რუსეთში ასევე არ არსებობს ნაციონალური მასშტაბის მასმედია. ათეულობით რეგიონი და ასეულობით ქალაქი თუ დასახლება ძირითადად ლოკალური მედიის მიერ მიწოდებული ინფორმაციით იკვებება; ამგვარ ლოკალურ საინფორმაციო საშუალებებს კი გავლენის სფეროებად მხოლოდ მცირე გეოგრაფიული ტერიტორიები რჩებათ, სადაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან ოპონირება თითქმის უაზრობად და ძლიერ სახიფათო ქმედებად ითვლება.

პარადოქსულია ფაქტი, რომ რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობა ეთანხმება მოვლენათა ამგვარ განვითარებას. მათ სწამთ, რომ "მას-მედია ანგრევს ჩვენს ქვეყანას (რუსეთს) გარეშე ძალთა მითითებით".

დღეისათვის რუსეთის ხელისუფლებაში წარმოდგენილ ადამიანთა 76 პროცენტი სახელმწიფო უშიშროებიდან არიან მოსულნი. უშიშროების ოფიცრის წარსული რუსეთში პიროვნების საიმედოობისა და სტაბილურობის ნიშანია.

პრეზიდენტი პუტინი ასევე ცდილობს რეგიონულ ხელისუფლებაზე ტოტალური კონტროლის დამყარებას; ცნობილია, რომ მიღებულია გადაწყვეტილება მხარეთა გუბერნატორების არა არჩევის, არამედ პრეზიდენტის მიერ დანიშვნის თაობაზე. ეს, თავის მხრივ, შეიცავს ცენტრისა და რეგიონულ ინტერესთა კონფლიქტის სერიოზულ საფრთხეს.

რუსი ხალხი ამასაც მშვიდად უყურებს და მიაჩნია, რომ, მაგალითად, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მათთვის უფრო მეტად სახიფათო რამაა, ვიდრე ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებანი.

ამგვარად, რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარი ყოფის გაუარესებასა და თავისუფლების შეზღუდვის ძლიერ მხარდამჭერად გვევლინება. საინტერესოა, რა არის ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი რუსი ხალხისა, რომლის ფაქტიურ დაკვეთასაც ასრულებს პრეზიდენტი პუტინი.

არსებობს შეხედულება, რომ რუსი ხალხი საკუთარი შინაგანი ნიშან-თვისებებითა და სულით უნიკალურ ფენომენს წარმოადგენს. ასევე არის მოსაზრება რუსი ხალხის ერთგვარ ძნელად გასაგებ და რთულად ასახსნელ "იდუმალ სულზე", რომელსაც გასაღები ვერავინ მოარგო. თუმცა, არსებული მდგომარეობა ვერანაირად აიხსნება რუსი ხალხის "იდუმალი სულით", რომელიც საბჭოთა ისტორიის თვალსაჩინო ინტერპრეტატორმა აბდურახმან ავტორხანოვმა თავისებურად განმარტა: "Бесчисленное количество трудов посвящено "загадочной душе" русского человека, которому, оказывается, кнут нравится больше пряника. Но никто не хочет заметить, что под кнут он собственно попал в поисках пряника; пряника не только для себя, но и для всех, в интернациональном масштабе. Это в характере русского человека – не будучи счастливым самому, он стремиться осчастливить всех. Руководствуясь благими намерениями, он может губить себя и других".

ჩემი აზრით, პასუხი დასმულ კითხვაზე რუსეთში მიღებულ ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებაში უნდა ვეძიოთ, რომლებიც კარგად ახდენენ რუსული ხასიათის დემონსტრირებას.

მაგალითად, საბჭოთა კავშირის დანგრევისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ, რუსეთმა სავსებით შეგნებულად აღიარა საკუთარი თავი ცივ ომში **დამარცხებულ** მხარედ, მაგიერ იმისა, რომ მას ხმამაღლა ელიარებინა საკუთარი **გამარჯვება** კომუნისტურ ტირანიაზე და ეცადა საკუთარი ცხოვრების სუფთა ფურცლიდან დაწყება; ამ მომენტისთვის რუსეთმა ხელიდან გაუშვა უნიკალური შანსი იმისა, რომ ღიად დაეგმო საკუთარი უსამართლო და რუსეთისთვისვე ძალით თავსმოხვეული იდეოლოგია და საკუთარი შემდგომი განვითარებისთვის აერჩია ის უნივერსალური იდეალები და ფასეულობები, რომელთა მეშვეობითაც წარმატებას მიაღწია ამ იდეალებისადმი ერთგულმა ყველა სახელმწიფომ. ამის საპირისპიროდ, რუსეთმა შეგნებულად აირჩია თვითგვემისა და "დაჩაგრულის" როლი, რომელშიც მან თავი გალახულ და შეურაცხყოფილ მხარედ მოიაზრა. ამგვარ მაზოხისტურ თვითხედვას მხოლოდ პათოლოგიური ელფერი არ დაკრავს. აქ საქმე, ჩემი აზრით, ისტორიული განვითარების ლოგიკასთანაც უნდა გვქონდეს: არ შეიძლება, არსებობდეს ერი უარყოფითი ნიშნით; ერი, რომელიც საკუთარ ინტერესებსვე მტრობს; ერი, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე გაბოროტებულია.

მაგრამ არსებობენ ერები, რომელთაც "არ ესმით", ერები, რომელთაც ვერ იგემეს პროგრესისა და განათლების მადლი. როგორც ვიცით, რუსეთის რევოლუციამდელ იმპერიას არ შეხებია ევროპული განმანათლებლობის სხივი, რაც მიიღეს და გაითავისეს ევროპამ და ოდნავ მოგვიანებით, ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტმა; რუსეთისთვის, როგორც მაშინ, ასე ახლაც უცხოა განმანათლებლობის ის ღირებულებები და პრინციპები, რომელთაც ქადაგებდნენ მონტესკიე და ვოლტერი საფრანგეთში, ადამ სმიტი და ჰიუმი შოტლანდიაში, ტომას პეინი და ჯეფერსონი ჩრდილოეთ ამერიკაში; იდეალები, რომელთაგანაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ხდება ათვლა თანამედროვე დასავლური სამყაროს დაბადებისა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სახელოვნებო სფეროში არსებული უამრავი მიღწევის მიუხედავად, რუსეთი დღეისთვისაც რჩება ე.წ. მორალური კომპასის არმქონე ქვეყნად; ანუ ქვეყნად, რომელმაც ვერა და ვერ შექმნა ჯანმრთელი, სამართლიანი და სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური სისტემა, რომელიც თვითგადარჩენის მრავალი ბერკეტით იქნებოდა დაცული. დღეისათვის რუსეთი ისევ წარმოადგენს ქვეყანას, რომლისთვისაც, ჯერჯერობით, სრულიად გაუგებრად რჩება დემოკრატიული სისტემის მთავარი ფასეულობების – პიროვნული თავისუფლებისა და კანონის უზენაესობით შეზღუდული ხელისუფლების ეკონომიკურ წარმატებულობასთან ურთიერთდამოკიდებულება.

ბოლო სიტყვას კი ტომას ჯეფერსონს დავესესხები, ვინც წერდა, რომ "დემოკრატია სხვა არაფერია, თუ არა თვითმმართველობის სისტემა, რომელიც ეფუძნება... განათლებას."

რუსეთი კი დღეისათვის ისევ გაუნათლებელ ქვეყნად რჩება.

# კობა ნარჩემაშვილი – პირველი დაპატიმრებული შინაგან საქმეთა მინისტრი

პირველი გვერდიდან

შევარდნაძის რეჟიმის უკანასკნელი გუშაგი, რომელიც რევოლუციის უკანასკნელ წუთებამდე ირწმუნებოდა, რომ საქართველოს კონსტიტუციურ წყობას იცავდა და ამისთვის არაფერს მოერიდებოდა, ასობით ათასი აქციის მონაწილეთა ძალისმიერი დაშლის ჩათვლით, საბოლოო ჯამში, რევოლუციონერებს "უბრძოლველად" დანებდა. თუმცა, სწორედ იმ დღეს, როდესაც კობა ნარჩემაშვილი პარლამენტის მისადგომებს იცავდა, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი დააკავეს, რომლებსაც მანქანის საბარგულში ცრემლსადენი გაზის ბალონებითა და ბოლის გამშვები სასიგნალო მაშხალებით სავსე ორი ყუთი აღმოაჩნდათ. დაკავებულთა თქმით, ტვირთი აზერბაიჯანიდან საქართველოში შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ბრძანებით გადმოჰქონდათ. მაშინ ნარჩემაშვილმა თავად აღიარა, რომ ამ ტვირთს, საჭიროების შემთხვევაში, აქციის მონაწილეთა დასაშლელად გამოიყენებდა. თუმცა, როგორც საბოლოოდ აღმოჩნდა, ეს ცრემლმდენი გაზი კი არა, ეგრეთ წოდებული "ჩერიომუხა" გახლდათ, რომლის მსგავსი საშუალებები მთელი მსოფლიოს სამართალდამცველ ორგანოებს მოეპოვებათ აღჭურვილობაში.

დღეს ამ ტვირთის შემოტანა ერთ-ერთი იმ ბრალდებათაგანი გახლავთ, რომელსაც კობა ნარჩემაშვილს უყენებენ. მეორე ეპიზოდი, რომელსაც გამოძიება ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ედავება, განუბაჟებელი მანქანების საქმე გახლავთ. ცხადია, მის უწყებაში მომხდარ დანაშაულზე ხელმძღვანელი პასუხს უნდა აგებდეს, თუმცა, სამართალდამცველები ასეთი სიმკაცრით არ მოქცევიან იმ ხელმძღვანელ პირებს, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდათ უცხოეთიდან შემოყვანილი მანქანების განბაჟებასთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ ქმედებასთან. კერძოდ, საგზაო პოლიციის ყოფილი შეფი დავით კობახიძე და მისი უშუალო უფროსი – შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი, ნარჩემაშვილის დროინდელი მოადგილე დავით თოდუა, მართალია, გენერალურმა პროკურატურამ ბრალდებულებად ცნო, მაგრამ მათი დაპატიმრება საჭიროდ არ ჩაუთვლია. მათთან დაკავშირებით გარიგებითი სამართალი ამოქმედდა და სადავო თანხის გარკვეული ნაწილის გადახდის შემდეგ ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლეს.

სხვაგვარად მოქმედებს სამართალდამცველი სისტემა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მიმართ. არაერთ მძიმე ცოდვაში დადანაშაულებული კახა თარგამაძის მემკვიდრეს წინამორბედზე ადრე რომ დააკავებდნენ, ამას ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ კობა ნარჩემაშვილი, თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ, საკმაოდ დემონსტრაციულად გამოჩნდა საზოგადოებაში – როგორც ამბობენ, საგანგებოდ ნანული შევარდნაძის დაკრძალვისთვის ევროპის ერთ-ერთი ქვეყნიდან ჩამოფრინდა. მისი საქართველოში არყოფნა არ გახლდათ მიზეზი იმისა, რომ კარგა ხნის წინ აღძრული საქმეების გამო იგი მხოლოდ ახლა დააკავეს. ვარდების რევოლუციის შემდეგ ნარჩემაშვილი არსად წასულა და საქართველო მხოლოდ ერთი თვის წინათ დაუტოვებია. გუშინ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი ჯანაშია აცხადებდა, რომ ნარჩემაშვილი არაერთხელ დაიბარეს დაკითხვაზე და იგი არ გამოცხადდა. თავად ნარჩემაშვილის ახლობლები კი ირწმუნებიან, რომ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, საქართველოში ყოფნის პერიოდში, არც ერთი უწყება არ მისვლია. მიუხედავად ამისა, უკვე ცხადია, რომ გენერალური პროკურატურა სასამართლოსგან ნარჩემაშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას მოითხოვს. სასამართლოც, ტრადიციისამებრ, არ გადაუხვევს პროკურატურის ნებას. ასეთ შემთხვევაში კი, კობა ნარჩემაშვილი გარკვეული საფრთხის წინაშე დგება – ხუმრობა საქმე სულაც არ არის, ციხეში, სადაც, ყველასათვის კარგადაა ცნობილი სპეციალიზებული - "ფაშისტების", "ქათმებისა" და "ქურდების" საკნების არსებობა, ყოფილი, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინანდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ანუ ნომერ პირველი პოლიციელის უსაფრთხოების დაცვა. ამაზე, ვფიქრობთ, პასუხისმგებლობა თავად იუსტიციის მინისტრმა უნდა იტვირთოს.

# პრეზიდენტი კოჩარიანი თბილისობაზე

თავისი ვიზიტის მეორე დღეს რობერტ კოჩარიანი დახურულ კარს მიღმა პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა. ბურჯანაძესთან საუბრისას, კოჩარიანმა განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, იმისათვის, რათა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე ეუთო-ს მონიტორინგი კვლავაც გაგრძელდეს და გაფართოვდეს.

. შემდეგ კი სტუმარმა „თბილისობის" დღესასწაულის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა; შარდენის ქუჩაზე, მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ფეხით ისეირნა და ლუდიც დააგემოვნა, ბოლოს კი თბილისში ავტობუსითაც იმგზავრა.

რობერტ კოჩარიანმა ედუარდ შევარდნაძესაც მიუსამძიმრა მეუღლის გარდაცვალების გამო.

თავისი ვიზიტის ბოლო დღეს კი სომხეთის პრეზიდენტი სომხური დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა. პრეზიდენტთან შესახვედრად სასტუმრო „მარიოტში" წარმომადგენლები სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან ჩამოვიდნენ. კოჩარიანს ისინი, ძირითადად, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ესაუბრნენ. მათი განცხადებით, ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად ჯავახეთის რეგიონის ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაციის პრობლემა რჩება. შეხვედრაზე მისულმა სომხებმა ქოჩარიანს საქართველოში არსებული სომხური სკოლებისთვის ისტორიის სახელმძღვანელოები სთხოვეს.

საქართველოში მიმდინარე პროცესებით აღფრთოვანება სომხეთის მეთაურმა ამ შეხვედრის დროსაც დააფიქსირა. განსაკუთრებული ყურადღება კი იმ ფაქტზე გამახვილდა, რომ სომხეთიდან მომავალ ტვირთებს საქართველოს გზებზე უმიზეზოდ აღარ აჩერებენ და აფერხებენ. სამდღიანი ვიზიტის დასრულების შემდეგ, კოჩარიანი აეროპორტში მიხეილ სააკაშვილმა გააცილა.

*24 საათი*

# შუალედური არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ დღის 17 საათისთვის შუალედური არჩევნებში უხეში დარღვევების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, ცესკო უარყოფს აგრეთვე ე.წ. კარუსელების არსებობას.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ნონიკაშვილის ინფორმაციით, 17 საათის მონაცემებით, კრწანისის საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4 432 ამომრჩეველმა, ანუ 21,3 პროცენტმა, დიდუბის საარჩევნო ოლქში 7197 ამომრჩეველმა ანუ 17,4 პროცენტმა, გორის საარჩევნო ოლქში - 25 303 ამომრჩეველმა – ანუ 32,9 პროცენტმა, ზესტაფონის ოლქში 10 066 ამომრჩეველმა – 24 პროცენტმა.

17 საათისთვის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სულ 46 987-მა ამომრჩეველმა, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 26,1 პროცენტმა. ცესკო-ს განცხადებით, არჩევნები ჩატარებულად ითვლება.

## გუშინ უკანასკნელ გზაზე გააცილეს საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, პრეზიდენტ შევარდნაძის მეუღლე ნანული ცაგარეიშვილი



## გამოხმაურება

ა.წ. 23 ოქტომბერს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ინტერვიუსთან "პრეზიდენტთან შეხვედრა 100 ათასი ჯდება"..." დაკავშირებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არასდროს არ აპირებდა და არც აპირებს საქართველოს თამბაქოს წარმოების მეწილესთან ჰუსეინ ალისთან შეხვედრას და მის საეჭვო გარიგებებში რაიმე ფორმით მონაწილეობის მიღებას.

*პრეზიდენტის ადმინისტრაციის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

## მოკლედ

### ნინო ბურჯანაძე გუდაურის შეხვედრის მონაწილეებს შეუერთდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუდაურში, სასტუმრო "მარკო პოლოში" ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით მიმდინარე შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა.

ბურჯანაძის განცხადებით, საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული მისი შენიშვნები სამართლიანი იყო და ამას რაიმე პოლიტიკური კრიზისის ნიშნებთან არანაირი კავშირი არ ჰქონია.

"გარკვეული ძალები დაინტერესებულნი არიან, ბიუჯეტთან და ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით მიმდინარე საქმიანი შენიშვნები პოლიტიკურ დებატებში გადაიზარდოს. ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი გაუგებრობა ამოწურულია. მთავრობა და პარლამენტი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ბიუჯეტი და კოდექსი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღონ," - განაცხადა ბურჯანაძემ. **ინტერ-პრესი**

### "არ უნდოდათ მუხროვანში წასვლა? წავლენ ახლა ციხეში"

შინაგანი ჯარის ზუგდიდის ბატალიონი გუშინ გამთენიისას თვითნებურად ოთხმა რიგითმა მიატოვა.

ბატალიონის ხელმძღვანელების ახსნა-განმარტებებით, ჯარისკაცების გაუჩინარების ერთადერთი მიზეზი, შესაძლოა, მუხროვანში დაგეგმილი სამხედრო წვრთნები იყოს, რომელში მონაწილეობასაც რიგითებმა გაქცევით აარიდეს თავი.

**"სამხედრო სავალდებულო სამსახურში სხვა წესები მოქმედებს და ყველა ვალდებულია, მეთაურის ბრძანებას დაემორჩილოს. მომავალში მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებლად, დეზერტირები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. გაქცეული ოთხივე ჯარისკაცის ვინაობა დადგენილია. არ უნდოდათ მუხროვანში წასვლა? წავლენ ახლა ციხეში"** - ასეთი მკაცრი შეფასება მისცა ზუგდიდის ბატალიონში მომხდარ ფაქტს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა გიგი უგულავამ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისობის"' დღესასწაულის ფარგლებში საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიურმა კორპუსმა ერთობლივი ღონისძიება მოაწყო. დედაქალაქის მერიის შენობის წინ რუსეთის, თურქეთის, უკრაინის, ლატვიის, იტალიის, საფრანგეთის, ირანის საელჩოებმა და ყაზახეთისა და ევროკომისიის წარმომადგენლობებმა გამოფენა მოაწყვეს. სპეციალურად დამზადებულ დახლებზე თითოული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ნივთები და ბუკლეტები იყო წარმოდგენილი, მხიარული განწყობის შესაქმნელად კი კოსტიუმირებული სანახაობა მოეწყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში 2004 წლის საშემოდგომო გაწვევა იწყება. პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, 25 დეკემბრამდე უნდა გაიწვიონ 1.950 წვევამდელი, აქედან: შინაგან ჯარში, რომლის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში გადაცემის პროცესი პირველი ნოემბრისთვის უნდა დასრულდეს, - 1200 წვევამდელი, 350 - სასაზღვრო ძალებში, 200-200 კი სამთავრობო დაცვისა და უშიშროების სამინისტროსთვის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს და სომხეთის პრეზიდენტებმა - მიხეილ სააკაშვილმა და რობერტ კოჩარიანმა, რომელიც თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, შაბათს საღამოს მიუსამძიმრეს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მეუღლის გარდაცვალების გამო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ორგანიზაციის "ეროვნულ ძალთა გაერთიანება – კონსერვატორების" ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი აცხადებს, რომ დიდუბის რაიონში რამდენიმე საარჩევნო უბანზე "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები ე.წ. კარუსელების ამოქმედებას ცდილობდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაციის "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის განვითარების კავშირის" მონაცემებით, 24 ოქტომბერს შუალედური არჩევნების მიმდინარეობისას თბილისის დიდუბის მე-20 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ბიულეტენებზე ბეჭდის არასწორი დარტყმის ფაქტი, კერძოდ, ბიულეტენზე საუბნო კომისიის ბეჭდის ნაცვლად სხვა ბეჭედი დაარტყეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლეონიდ სლუცკიმ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ეუთო-ს მისიის მონიტორინგის გაგრძელების საკითხი განიხილეს. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დეპარტამენტები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვა[illegible], ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბოლონიის პროცესი და კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ

პირველი გვერდიდან

ამ დეკლარაციის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეებს საერთო ევროპული სტანდარტებისათვის დამახასიათებელ განათლებას მისცემენ. ამის შედეგად, დეკლარაციის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა უმაღლესი განათლების და დოქტორის დიპლომი საერთაშორისო სტატუსს შეიძენს. ამისათვის ყველა ამ ქვეყანაში უმაღლესი განათლება ორსაფეხუროვან (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა) სისტემაზე უნდა გადავიდეს და შეფასების საერთო საკრედიტო სისტემა ჩამოყალიბდეს. 1999 წელს ბოლონიის დეკლარაციას ყველა წამყვან ევროპულ ქვეყანასთან ერთად ხელი ბულგარეთის, ესტონეთის, თურქეთის, ლატვიისა და რუმინეთის განათლების მინისტრებმაც მოაწერეს. 2003 წლის სექტემბერში დეკლარაციას რუსეთი, ლიტვა და ალბანეთიც შეუერთდნენ.

ამ პროცესში მონაწილეობაზე საუბარი საქართველოში რამდენიმე წლის წინ მიმდინარეობდა, მაგრამ შეჩერდა... "ბოლონიის ჯგუფის" შეხვედრების ორგანიზატორმა პაველ ზგაგამ განაცხადა, რომ საქართველოსათვის ამ პროცესში ჩართვა შესაძლებელია, რადგან ევროპული კულტურული კონვენციის წევრებიც ვართ და ჩვენთან "ტასისისა" და "იუნესკოს" პროგრამებიც ხორციელდება. მთავარია სურვილი და ვალდებულებების აღებისა და მისი შესრულების უნარი.

ბოლონიის პროცესთან შეერთების კიდევ ერთი შანსი საქართველოს გაისად მიეცემა. თუ ჩვენი ქვეყანა ამ შესაძლებლობასაც ხელიდან გაუშვებს, მომავალში ამის განხორციელება ბევრად უფრო რთული, ანდა, საერთოდ, დაგვიანებული იქნება. ბოლონიის პროცესისათვის მზადება 2010 წელს დასრულდება. თუ ამ დროისათვის საქართველოც ამ პროცესის წევრი ქვეყანა გახდება, მაშინ ქართველ, ისევე როგორც ნებისმიერ ევროპელ სტუდენტს მიეცემა უფლება, სწავლის ერთი წელი საქართველოში, მეორე კი, მაგალითად, იტალიაში, ან საფრანგეთში გაატაროს, მისთვის საჭირო კრედიტების რაოდენობა ასე დააგროვოს და საბოლოო ჯამში ისეთი დიპლომი მოიპოვოს, როგორსაც ერთნაირი ძალა ექნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. აღარ იარსებებს ისეთი დამამცირებელი სიტუაციები, როდესაც ჩვენი უმაღლესი განათლების დიპლომიან ახალგაზრდას გერმანიის უნივერსიტეტებში მეორე კურსზე სვამდნენ, ხოლო ჩვენი კანდიდატის დიპლომის მქონე მეცნიერს დიდი ბრიტანეთი მხოლოდ მაგისტრის კურსებს სთავაზობდა. საკამათო არ უნდა იყოს, რომ ამ პროცესში წარმატებული ჩართვა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემისათვის, არამედ ჩვენი ყოფის ყველა სფეროსათვის, იქნება ეს ეკონომიკა, სოციალური ყოფა, კულტურა თუ სხვა.



დღეს რუკაზე ბოლონიის პროცესი ასე გამოიყურება.

თუმცა, ამ პროცესთან მიერთებას ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემის ძირეული რეფორმა სჭირდება. როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის ძირითადი მიზანი სწორედ ისეთი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფაა, რომელიც მაქსიმალურად თავსებადი იქნება საერთო ევროპულ სივრცეში გაწევრიანებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ თავისუფლებას სწავლის გზების, ადგილების და მეთოდების არჩევაში; უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო პროგრამების და ხარისხების სრულ თავსებადობას და საუნივერსიტეტო სისტემების თანასწორობას.

# უმაღლესი განათლების კანონპროექტის ძირითადი მიზნები

უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის თანახმად, მისი ძირითადი მიზნები ღირსეული სასწავლო და სამეცნიერო გარემოს შექმნა, სტუდენტებისა და პროფესორების აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა, ბიუჯეტის ხარჯვისა და ადმინისტრირების გამჭვირვალობა, სწავლებისა და კვლევის შერწყმის ხელშეწყობა და ბოლონიის პროცესთან მიერთების გაადვილებაა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში აგვიხსნეს, სტუდენტებისა და პროფესორების აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა უმაღლესებში შემდეგნაირი პრაქტიკის შემოტანას გულისხმობს: სტუდენტს, პროფესორთან შეთანხმებით, საკუთარი სასწავლო პროგრამის დაგეგმვის შესაძლებლობა ექნება. აღარ იარსებებს ჩვენთვის ასე ნაცნობი მყარი კურსები და მყარი ცხრილები. სტუდენტს ენიჭება სრული თავისუფლება, აირჩიოს საკვლევი თემა, აირჩიოს პროფესორი, აირჩიოს სალექციო კურსები, აირჩიოს საკვლევი მიმართულება. თუ უმაღლესი მოსწავლეებს სთავაზობს სტანდარტულ მოდულებს, ვთქვათ, "განათლების პოლიტიკას" და "განათლების მენეჯმენტს", სტუდენტს შეუძლია, დეკანატთან შეთანხმებით, ამ ორი პროგრამის ნაწილები გააერთიანოს, ამ განსაკუთრებული პროგრამით ისწავლოს და ასე აიღოს თავისი ბაკალავრისა თუ მაგისტრის ხარისხი. რაც შეეხება სწავლებისა და კვლევის შერწყმის ხელშეწყობას, ჩვენთან არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, როდესაც სტუდენტი თავისი განათლების ძირითად ნაწილს თეორიული ცოდნის მიღებას ახმარდა და მხოლოდ შემდეგ გადადიოდა (ისიც იშვიათ შემთხვევებში) პრაქტიკულ კვლევაზე, სწავლებისა და სწავლის ახალი მეთოდების დაგეგმვის შემდეგ, სწავლის პროცესი მაქსიმალურად უნდა გახდეს მიბმული კვლევაზე.

ბიუჯეტის ხარჯვისა და ადმინისტრირების გამჭვირვალობის მიღწევა კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში ასე უნდა გახდეს შესაძლებელი: ადრე უმაღლესებში ფულის შემომტან ორგანოდ ადმინისტრაცია ითვლებოდა და შემდეგ თანხებს ფაკულტეტებს იგი უნაწილებდა. ახლა პროცესი შეტრიალდება, ფაკულტეტები ბიუჯეტის არა მხოლოდ მიმღებნი, არამედ შემომტანებიც ხდებიან. როდესაც აბიტურიენტი უმაღლესში სახელმწიფო ვაუჩერით, ან საკუთარი ფულით მივა, ეს ფული, უპირველეს ყოვლისა, ფაკულტეტის იქნება და შემდეგ გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, ადმინისტრაციაზე გადანაწილდება. ფაკულტეტებთან შეთანხმების შემდეგ უმაღლესის ბიუჯეტს კანცლერი და აკადემიური საბჭო შეიმუშავებს და სენატი დაამტკიცებს.

ბოლონიის პროცესთან მიერთებისათვის კი კანონპროექტი უზრუნველყოფს:

**სტუდენტების მობილობას:**

სტუდენტს უფლება აქვს მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსება რამდენიმე აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში განათავსოს მიმდევრობით 4 წლის განმავლობაში; მაგალითისათვის, შესაძლებელია კარგი ზოო-ტექნიკოსი ლექტორი და ძლიერი ზოო-ბაზა ზუგდიდშია და რატომ უნდა ისწავლოს სტუდენტმა 4 წელი მაინცდამაინც თბილისში? როდესაც შეიძლება ერთი წელი სხვაგან გაატაროს, იქ გააკეთოს მისთვის საჭირო კრედიტი და უკვე დაგროვილ კრედიტებს მიაბას. სტუდენტთა მობილობის ეს იდეა საკმაოდ ბევრს უმაღლესებიდან ფულის გადინების შიშით არ მოსწონს, მაგრამ სამინისტროში თვლიან, რომ ამ შემთხვევაში მთავარი სტუდენტია და რომ ეს სისტემა ჯანსაღი კონკურენციული გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

**პროფესორ-მასწავლებლების სოციალური დაცვის მექანიზმებს:**

65 წელს მიღწეული პროფესორი ხდება ემერიტუსი - უნარჩუნდება სრული ანაზღაურება (ანაზღაურებაში არა მხოლოდ ახლანდელი საბიუჯეტო ხელფასი, არამედ სრული შემოსავალი იგულისხმება) მთელი სიცოცხლის განმავლობაში; ემერიტუსს აქვს უფლება, იკითხოს ლექციები და იმუშაოს სტუდენტებთან საკუთარი სურვილის მიხედვით; მაგრამ მას ამ ასაკის მიღწევის შემდეგ აღარა აქვს უფლება, დაიკავოს აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობა, ანუ არა აქვს უფლება იყოს დეკანი, ან კათედრის გამგე.

მასწავლებლებზე, რომლებსაც არა აქვთ დაცული სამეცნიერო ხარისხი, ეს წესი არ ვრცელდება; მათ აქვთ უფლებას იმუშაონ სასწავლებელში თავიანთ თანამდებობაზე 65 წლის მიღწევის შემდეგაც. ამ და კანონპროექტით გათვალისწინებული სხვა პუნქტების სრულ ამუშავებამდე პროექტში 6-7 წლიანი გარდამავალი პერიოდია ჩადებული 2010-11 წლამდე.

**აკადემიურ/სამეცნიერო ხარისხების ახალ, ევროპულ და აშშ სისტემებთან თავსებად სისტემას:**

შემოდის აკადემიური ხარისხების ახალი სისტემა: ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი, რომელთა მინიჭებაც ფაკულტეტების პრეროგატივა ხდება. შესაბამისად ინერგება აკადემიურ/სამეცნიერო თანამდებობების ახალი სისტემაც: ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი. პროფესორის წოდება ახლანდელი კათედრის გამგის სტატუსის შესაბამისი იქნება, რაც თავისთავად პროფესორთა რიცხვს შეამცირებს, რადგან ჩვენთან კათედრის გამგეობა რაღაც ადმინისტრაციული დანამატი იყო და კათედრის გამგეს შესაძლებელია, კათედრაზე კიდევ 5 პროფესორი ჰყოლოდა. ასოცირებული პროფესორი დღევანდელი პროფესორის წოდებას უნდა შეესაბამებოდეს, ასისტენტ პროფესორი კი დღევანდელი კანდიდატისას.

# დაფინანსება და მართვა

უმაღლესი განათლების კანონპროექტით გათვალისწინებული აკადემიური თავისუფლების, სტუდენტთა მობილობის, პროფესორ-მასწავლებელთა სოციალური უზრუნველყოფისა და აკადემიური ხარისხების მინიჭების ახალი სისტემის დანერგვა, ბუნებრივია, შეუძლებელი გახდება უმაღლესი განათლების დაფინანსებისა და მართვის ახალი სისტემის შემოღების გარეშე. ამ სისტემების სრულ დანერგვას ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდი ესაჭიროება. კანონპროექტის მიხედვით, ეს ვადები 2010-2011 წლებით ისაზღვრება. პირველ რიგში, იმ უმაღლესმა სასწავლებლემა, ვისაც ამ პროცესში ჩართვა სურთ, აკრედიტაცია უნდა გაიარონ. აკრედიტაციის სისტემის საშუალებით სახელმწიფო თვალყურს ადევნებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხს და, საჭიროების შემთხვევაში, სთავაზობს დახმარებას; აკრედიტაცია აუცილებელია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის და - ნებაყოფლობითი კერძო სამართლის სუბიექტებისათვის; აკრედიტაცია არა მხოლოდ მოვალეობა, არამედ შეღავათებიცაა. აკრედიტირებული უმაღლესები მოიპოვებენ სახელმწიფო თანხების განთავსებისა და სტუდენტებისათვის სამხედრო სამსახურის გადავადების უფლებას. გარდა ამისა, ამ უმაღლესი სასწავლებლების დიპლომები აღიარებული იქნება სახელმწიფო სამსახურისათვის ვარგისად.

### დაფინანსება

იარსებებს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების ორი ძირითადი წყარო - სტუდენტთა ვაუჩერი და მეცნიერების კონკურენციაზე დამყარებული დაფინანსება. სახელმწიფო დააფინანსებს წარმატებულ პროექტებს, რაც უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო მუშაობის ძირითადი წყარო გახდება. პირველ ეტაპზე ის ვაუჩერი, რომელიც სტუდენტს გადაეცემა, ანდა ის ფული, რომელსაც სტუდენტი უმაღლესში თავად განათავსებს, ბუნებრივია, ბაკალავრიატის უზრუნველყოფასა და იმ მეცნიერზე დაიხარჯება, ვინც მას ასწავლის. მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთიანი მისაღები გამოცდები მაგისტრატურისთვისაც დაინერგება, სახელმწიფო გრანტს მაგისტრებიც მიიღებენ. ამას მეცნიერების მიერ გრანტების მოპოვებაც დაემატება. პირველ ეტაპზე ვაუჩერს თავისი აღწერა ექნება - როგორ და რაში შეიძლება იგი უმაღლესმა გამოიყენოს. უხეშად რომ ვთქვათ, შეუძლებელია, ვაუჩერი 100 პროცენტით წავიდეს ხელფასზე, ან - სამეურნეო ხარჯებზე. თუმცა რაღაც პერიოდის შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტები ადმინისტრირების ამ ფორმას შეეჩვევიან, შესაძლოა, ეს აღწერა საჭირო აღარ გახდეს. როგორც განათლების სამინისტროში ამბობენ, ჯერჯერობით აღწერა საჭიროა ფინანსური ანგარიშვალდებულებისათვის. რაც შეეხება სამეურვეო ხარჯებს, ბუნებრივია, იგი შესაძლებელია როგორც ვაუჩერის, ასევე სამეცნიერო გრანტის ხელშეკრულებაშიც ჩაიდოს.

### ვაუჩერი

ერთიან ეროვნულ გამოცდებში წარმატებულ სტუდენტებს აქვთ უფლება, მოპოვებული სახელმწიფო გრანტი ნებისმიერ აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში განათავსონ;

მომავალში სტუდენტთა ვაუჩერიზაცია არა მხოლოდ ბაკალავრის საფეხურს, არამედ სამაგისტრო საფეხურსაც შეეხება. ოღონდ, ამისათვის ჯერ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩატარება გახდება აუცილებელი. ახლა შემოგთავაზებთ სახელმწიფოს მიერ სტუდენტთა დაფინანსების იმ ვარიანტს, რომელიც წელს იმუშავებს.

როგორც ცნობილია, ერთიან ეროვნულ მისაღებ გამოცდებზე ჩაბარდება სამი სავალდებულო გამოცდა: ქართული ენა, უცხო ენა და უნარების ტესტი და ერთი დამატებითი გამოცდა – მათემატიკა - ფაკულტეტების მოთხოვნის მიხედვით. ე.ი. რეალურად ზოგიერთი აბიტურიენტი სამ გამოცდას ჩააბარებს, ზოგი კი - ოთხს. პირვანდელი გეგმით, იმისათვის, რომ აბიტურიენტები საერთო კონკურსში თანაბარ პირობებში მოხვედრილიყვნენ, ქულების ჯამის საშუალო რაოდენობის დათვლა უნდა მომხდარიყო, ანუ ერთ შემთხვევაში ჯამი გაიყოფოდა სამზე, მეორე შემთხვევაში კი ოთხზე. მიღწეული შედეგების მიხედვით კი სტუდენტების რანჟირება და საუკეთესოებისათვის გრანტების გაცემა მოხდებოდა. მაგრამ, როგორც შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და რეგიონების წარმომადგენლებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ასე დათვლილი ქულების მიხედვითაც კი სტუდენტები მაინც არათანაბარ პირობებში ხვდებიან, მით უმეტეს რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტები, რომლებსაც უცხო ენის სათანადოდ შესწავლის საშუალება არ ჰქონიათ. ამ მოსაზრების გათვალისწინებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ვაუჩერის მისაღებად იმ აბიტურიენტის ქულების დათვლისას, ვინც მათემატიკას ჩააბარებს, მის მიერ ჩაბარებული უცხო ენების ქულები არ დაითვლება. ანუ სახელმწიფო გრანტის მისაღებად მოხდება არა ქულების საშუალო რაოდენობის დათვლა, არამედ აბსოლუტური ჯამისა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, მაშინ, რატომ უნდა ჩააბაროს უცხო ენა იმ აბიტურიენტმა, რომელიც მათემატიკას აბარებს? ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: მოსწავლემ უცხო ენა უნდა ჩააბაროს, რათა მის მიერ არჩეულ ფაკულტეტზე მოხვდეს. აბიტურიენტები გამოცდებზე მიღებული შედეგების მიხედვით, ფაქტობრივად, ორ კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას. პირველია კონკურსი სახელმწიფო გრანტის მიღებისთვის, მეორე კი ფაკულტეტზე მოხვედრისათვის. ფაკულტეტებზე ჩარიცხვა ასე მოხდება: ფაკულტეტები წინასწარ ყოველ ჩასაბარებელ საგანს პრიორიტეტის მიხედვით, თავის კოეფიციენტს (ქულას) მიანიჭებენ. კოეფიციენტი უნდა იყოს მთელი რიცხვი, რომლის ჯამური რაოდენობა ათი იქნება. გამოცდების დასრულების შემდეგ აბიტურიენტის მიერ დაგროვილი ქულები სწორედ ამ კოეფიციენტზე გამრავლდება. მიღებული შედეგების მიხედვით კი აბიტურიენტთა რანჟირება კონკრეტული ფაკულტეტებისათვის ამ ფაკულტეტებზე არსებული ადგილების შესაბამისად მოხდება.

როგორ გაიცემა სახელმწიფო გრანტი

ნიმუში

| | აბიტურიენტის ქულები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | მათემატიკა | საბოლოო ქულა |
| სალომე მხეიძე | 80 | 60 | 50 | — | 190 (80+60+50) |
| თემურ [illegible] | 70 | 60 | 40 | 35 | 165 (70+60+35) |
| სოსო გოცაძე | 90 | 70 | 40 | 75 | 235 (90+70+75) |




### სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მართვა

კანონპროექტის მიხედვით უმაღლეს სასწავლებელს სამი სუბიექტი მართავს:

1.აკადემიური საბჭო და მის მიერ არჩეული რექტორი. აკადემიური საბჭო შედგება პროფესორებისაგან - ფაკულტეტების მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან;

რექტორი არის სასწავლებლის უმაღლესი წარმომადგენლობითი თანამდებობა;

2.სენატი - სენატი შედგება ფაკულტეტებიდან კვოტური პრინციპით არჩეული წარმომადგენლებისაგან. სენატში შედიან პროფესორები და სტუდენტები. სტუდენტები უნდა იყვნენ სენატის რაოდენობის არანაკლებ 1/3-სა. (პროფესორებში იგულისხმება ყველა ის პირი, ვინც აკადემიური თანამშრომელია და შეიძლება იყოს არჩეული);

3.კანცლერი და მისი აპარატი – კანცლერის კანდიდატურას რექტორი დასამტკიცებლად სენატს წარუდგენს. კანცლერი სასწავლებლის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობაა.

მარტივად რომ ვთქვათ, აკადემიური საბჭო ზედა პალატის მსგავსი ორგანოა, სენატი კანონმდებელი, კანცლერი კი აღმასრულებელი. სენატმა, შესაძლოა, დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული უმაღლესი სასწავლებლის განვითარების გეგმა, მაგრამ თავად სენატი განვითარების გეგმაზე მუშაობას არ იწყებს. კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დაწესებულების ტვინი აკადემიური საბჭოა, vox populi – სენატი, კანცლერი კი ადმინისტრაციული თანამდებობაა, რომელსაც შესყიდვებისა და სამუშაოზე აყვანის ორგანიზებიდან დაწყებული, სამეურნეო საქმეებით დამთავრებული ყველაფერი ეხება. მიუხედავად ასეთი განაწილებისა, არ შეიძლება ითქვას, რომ აკადემიურ საბჭოს მხოლოდ აკადემიური საკითხები ეხება. მართალია ბიუჯეტს კანცლერი შეიმუშავებს, მაგრამ საბოლოოდ, მაინც აკადემიური საბჭო ამბობს, შეიძლება თუ არა იგი სენატში წავიდეს განსახილველად. სენატის მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილების შინაარსობრივ მხარეზე პასუხისმგებელი აკადემიური საბჭოა.

ფაკულტეტი უმაღლესი სასწავლებლის ძირითადი შემადგენელი ერთეული ხდება; ფაკულტეტს აქვს მაღალი ხარისხის ავტონომია სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, დაფინანსების მიღებასა და მიღებული თანხების განთავსებაში

ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად ახსენებენ უნივერსიტეტებისათვის ავტონომიის შეზღუდვის საშიშროებას. თუმცა ახალი კანონპროექტის მიხედვით, ხელისუფლება უნივერსიტეტის საქმიანობაში მხოლოდ ორ უკიდურეს შემთხვევაში ერევა. პირველი, თუ ორი დამოუკიდებლად არჩეული ორგანო - აკადემიური საბჭო და სენატი - ერთმანეთში ვერა და ვერ თანხმდება, თუ სენატი არაფრით არ ამტკიცებს აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებულ დადგენილებას, თუ წარმოიშობა სერიოზული კრიზისი და იგი გადაუწყვეტელია, სახელმწიფო ამ კრიზისის გადაწყვეტის უფლებას იტოვებს და მეორე, სახელმწიფო უმაღლესის საქმიანობაში ერევა მაშინ, როდესაც უმაღლესი ზედიზედ რამდენჯერმე ვერ ახერხებს აკრედიტაციის გავლას. როგორც განათლების სამინისტროში ამბობენ, ამჟამად არსებული ვითარების მიხედვით, უმაღლესებს სრული ავტონომია მხოლოდ მისაღები გამოცდების ორგანიზებისას ჰქონდათ. ცხადია, რომ ახალი სისტემით მათ ეს უფლება ერთმევათ. რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, ფორმალურად უმაღლესი სასწავლებლების ბიუჯეტს ფინანსთა სამინისტრო ამტკიცებდა, სასწავლო გეგმებს განათლების სამინისტრო, რექტორს კი პრეზიდენტი. ახალი კანონპროექტის მიხედვით, სამინისტროები ბიუჯეტსა და სასწავლო გეგმებს აღარ ამტკიცებენ, პრეზიდენტი კი - რექტორს. რექტორის კანდიდატურა აკადემიური საბჭოდან აირჩევა და მას აღარავის დამტკიცება აღარ სჭირდება.

# როგორ დავიწყოთ ბიზნესი

ნინო ნარჩემაშვილი

*იმ ადამიანებისათვის, ვისაც არასოდეს ჰქონია საკუთარი ბიზნესის წამოწყების შანსი ან მოძველებული მანქანა-დანადგარებით მუშაობს, დღეისათვის, ევროპის ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც გაჩნდა კერძო ბიზნესის დაწყების შესაძლებლობა. ამ შესაძლებლობას კი ლიზინგი იძლევა, რომელიც საბანკო სესხის ალტერნატიულ, მარტივ და მომგებიან ფორმას წარმოადგენს.*

საქართველოში ასეთი მიმართულების პირველი კომპანია, "საქართველოს სალიზინგო კომპანია","თბილუნივერსალბანკის" ბაზაზე ჯერ კიდევ 2001 წელს ჩამოყალიბდა, მაგრამ როგორც ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ტარიელ გვალია აღნიშნავს, სრულფასოვანი ფუნქციონირების საშუალება მხოლოდ ახლა გაჩნდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ **"საქართველოში არ არსებობდა კანონი ლიზინგის შესახებ, რომლის მიღებასაც ორი წელი დასჭირდა".** სწორედ აღნიშნული კანონის მიღებამ გახადა შესაძლებელი "საქართველოს სალიზინგო კომპანიასა" და აშშ-ს კერძო ინვესტიციების კორპორაციას (OPIC) შორის ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც "თბილუნივერსალბანკის" შვილობილი კომპანიისათვის ერთი მილიონი აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზის გამოყოფას ითვალისწინებს და ხელშეკრულება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა AgVANTAGE-სთან, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი კომპანიების ლიზინგით მომსახურებას აწარმოებს. გარდა ამისა, დღეისათვის "საქართველოს სალიზინგო კომპანიის" კლიენტებს წარმოადგენენ ისეთი მსხვილი კომპანიები როგორიცაა "სანტე უოლშ პროდაქტი", "მარიოტ თბილისი", შპს "სამგორი" "აგრიტექნიკს" და სხვა. კომპანია თანამშრომლობს ისეთ მსხვილ უცხოურ ორგანიზაციასთან, როგორიცაა საბეჭდი დანადგარების მწარმოებელი Heidelberg-ი.

"საქართველოს სალიზინგო კომპანიის" აღმასრულებელი დირექტორი გია ფუტკარაძე აღნიშნავს, რომ **"მსხვილ ბრენდებთან არსებული ურთიერთობების მიუხედავად, კომპანიის, ისევე როგორც "თბილუნივერსალბანკის" მიზნობრივ ბაზარს მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიების მომსახურება წარმოადგენს".** მისივე თქმით, დღეისათვის საქართველოში სალიზინგო ბაზარი ფაქტობრივად თავისუფალია - საწარმოებში არსებული დანადგარები ამორტიზირებულია და მოძველებული. მათზე წარმოებული პროდუქცია კი არაკონკურენტუნარიანი. ამდენად, მნიშვნელოვანია AgVANTAGE-სთან გაფორმებული კონტრაქტი, რომელიც რეგიონების აგრარულ სექტორში მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელსაც გია ფუტკარაძე აღნიშნავს - "საქართველოს სალიზინგო კომპანია" ცდილობს გადახდის სპეციალური გრაფიკი თითოეული კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე და თითოეული კომპანიის შემოსავლებიდან გამომდინარე შეიმუშაოს, რათა ლიზინგით აღებული დანადგარის საფასურის გადახდა მძიმე ტვირთად არ დააწვეს მის კლიენტს.

აღსანიშნავია, რომ სალიზინგო კომპანიას არა აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. საბანკო კრედიტისაგან განსხვავებით, ის არ ითხოვს საგარანტიო უზრუნველყოფას ანუ გირავნობის საგანს, რაც მომგებიანია კომპანიებისათვის და კერძო პირებისათვის. აგრეთვე, ლიზინგის შემთხვევაში ყველა საბაჟო თუ სხვა სახის ხარჯი სალიზინგო კომპანიის მიერ იფარება და შედის დანადგარის თვითღირებულებაში, ხოლო მიმღებ კომპანიას საშუალება აქვს, ყველა ხარჯი მომავალი პერიოდის განმავლობაში დაფაროს, თანაც უკვე მიღებული შემოსავლებიდან. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შეღავათიანი პერიოდიც.

"საქართველოს სალიზინგო კომპანიაში" აღნიშნავენ, რომ OPIC-ის საკრედიტო ხაზით კომპანია გააფართოებს თავის ოპერაციებს საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტზე, ხოლო "თბილუნივერსალბანკს" საშუალება ექნება თავის კლიენტებს უფრო მრავალფეროვანი მომსახურება შესთავაზოს. კომპანია განაგრძობს აქტიურ მუშაობას სალიზინგო ოპერაციებისათვის საერთაშორისო საფინანსო რესურსების მოზიდვაზე, რაც ქართულ ბანკებში არსებულ საფინანსო რესურსებზე გაცილებით იაფია.

დაინტერესებული პირებისა და საწარმოების საყურადღებოდ კი "საქართველოს სალიზინგო კომპანიაში" აღნიშნავენ, რომ კომპანიის მეშვეობით საკუთარი, ინდივიდუალური საქმიანობის წამოწყების და გაფართოების შესაძლებლობა ყველა იმ პირს, ინდივიდუალურ მეწარმესა თუ წარმოებას შეუძლია, რომელსაც კომპანიის მართვის ან ფინანსური ოპერაციების წარმოების გარკვეული გამოცდილება ან შესაბამისი განათლება გააჩნია.

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

## საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ 2004 წლის 9 თვის შედეგების მიხედვით

2004 წლის --- აგვისტოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლები განისაზღვრა 65150 ათასი ლარის ოდენობით, გარდამავალი ნაშთის - 1500 ათ. ლარის გათვალისწინებით ჯამში შეადგენს 66550 ათას ლარს.

2004 წლის შემოსავლების 9 თვის მიხედვით განსაზღვრული იყო 56830,4 ათასი ლარით, ფაქტიურად საგზაო ფონდის შემოსავლები შეადგენს 59744,2 ათას ლარს, ანუ იგი გადაჭარბებით არის შესრულებული და მოცემულია ცხრილში N1.

ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის 9 თვის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია და ანალიზი კონკრეტულ ციფრობრივ გამოხატულებებში მოცემულია ცხრილში N2.

მთლიანად 9 თვის განმავლობაში ფაქტიური ხარჯები შეადგენს 46040,3 ათას ლარს, საიდანაც გზების მოვლა-შენახვაზე (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება, გზების ზამთრის პერიოდში შენახვა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები), საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო და ექსპერტიზის სამუშაოებზე, სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდებისა და გვირაბების დაცვაზე და სხვა ამასთან დაკავშირებულ თანმდევ სამუშაოებზე გახარჯულია 23865,1 ათასი ლარი, მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით შესასრულებელ სამუშაოებში თანამონაწილეობის ხარჯები შეადგენს 2287,6 ათას ლარს, უცხოური კრედიტების ძირითადი თანხებისა და მომსახურების პროცენტების გადახდა მოხდა 7160,3 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარიმართა ცენტრალურ ბიუჯეტში, წინა წლებში შესრულებული საგზაო-სამშენებლო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდამ შეადგინა 5560,9 ათასი ლარი.

სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად გადასახდელმა თანხებმა შეადგინა 409,4 ათასი ლარი, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებულ სამუშაოებზე გაწეულმა ხარჯმა 6104,1 ათასი ლარი, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატების შენახვის ხარჯებმა 558,3 ათასი ლარი.

შესრულებული სამუშაოებისა და კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში შეტანილი გადასახედების (გარდა კრედიტებით შესრულებული სამუშაოებისა, ვინაიდან გადასახადების თანადაფინანსება ხდება ცენტრალური ბიუჯეტიდან) ანალიზი ცხადყოფს, რომ 2004 წლის 9 თვეში გადასახადების სახით ცენტრალურ ბიუჯეტში ერთიანი საგზაო ფონდის სახსრებით შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შეტანილია 6 მლნ. ლარზე მეტი, ხოლო უცხოური კრედიტების ძირითადი ნაწილისა და პროცენტების სახით 7 მლნ. ლარზე მეტი, სულ 13 მლნ ლარზე მეტი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
ც ნ ო ბ ა
სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლები
2004 წლის იანვარ-სექტემბრის თვეში

ცხრილი № 1

/ოპერატ. მონაც./ ათ. ლარი

| № | მაჩვენებლის დასახელება | 2004 წ. გეგმა | 2004 წ. 9 თვის გეგმა | ფაქტ. ჩარიცხული საგზაო ფონდში 9 თვე | 9 თვის შემოსავ. შედარება გეგმასთან გამოხატ. პროცენტ. | 9 თვის შესრულ. შედარება წლიურ გეგმასთან გამოხატ. პროცენტ. | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | *I. შემოსავლები* | | | | | | |
| 2 | აქციზი (იმპორტირებული ბენზინის აქციზიდან შემოსავლის 30%) | 18200,0 | 12594,0 | 12361,0 | 98,1 | 67,9 | |
| 3 | საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადი | 28500,0 | 28500,0 | 30434,0 | 106,8 | 106,8 | |
| 4 | ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის გადასახადი | 2750,0 | 2204,0 | 1966,5 | 89,2 | 71,5 | |
| 5 | გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის | 13900,0 | 10662,0 | 11365,4 | 106,6 | 81,8 | |
| 6 | გადასახ. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზენორმატიული დატვირთვისათვის | 900,0 | 711,4 | 801,4 | 112,7 | 89,0 | |
| 7 | საწვავ-საცხები მასალების რეალიზაციის გადასახადი | - | - | 286,3 | - | - | |
| 8 | რიკოთის გვირაბით სარგებლობის საფასური | 900,0 | 659,0 | 851,8 | 129,3 | 94,6 | |
| 9 | გარდამავალი ნაშთი | 1500,0 | 1500,0 | 1677,5 | 111,8 | 111,8 | |
| | სულ საგზაო ფონდის შემოსავალი | 66650,0 | 56830,4 | 59744,2 | 105,1 | 89,6 | |

2004 წლის 9 თვეში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის ხარჯების შესახებ

/ოპერატ. მონაცემები/ ათასი ლარი

ცხრილი №2

| № | ხარჯების დასახელება | 2004 წლის ბიუჯეტის კანონით | შესრულებული სამუშაოების მოცულობა 9 თვეში | საკასო ხარჯი 9 თვეში |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | გზების მოვლა-შენახვის ხარჯები (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება და ზამთრის პერიოდში შენახვა) | 36817.3 | 23,865.1 | 20,128.5 |
| | მათ შორის: | | | |
| ა | გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია | 19,892.3 | 9,895.7 | 8,109.9 |
| ბ | გზების მიმდინარე შეკეთება | 11,500.0 | 9,647.9 | 8,664.5 |
| გ | გზების შენახვა ზამთრის პერიოდში | 2,600.0 | 2,035.5 | 1,400 |
| დ | სხვა ხარჯები: | 2,825.0 | 2,286.0 | 1,954.1 |
| | აქედან: | | | |
| | საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო და ექსპერტიზის სამუშაოები | 1,400.0 | 1,216.2 | 1,041.6 |
| | საზედამხედველო ღონისძიების ხარჯები | 635.0 | 480.9 | 359.3 |
| | კომპიუტერიზაციისა და ინფორმაციის ხარჯები | 180.0 | 167.4 | 107.5 |
| | სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდებისა და გვირაბების დაცვის ხარჯები | 340.0 | 296.3 | 199.5 |
| | დანარჩენი ხარჯები (რიკოთის საუღელტეხილო საავტომობილო გვირაბის ელექტროენერგიით მომარაგებისა და სხვა ხარჯები) | 270.0 | 195.2 | 186.2 |
| 2 | მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით შესასრულებელ სამუშაოებში თანამონაწილეობის ხარჯები | 5550,0 | 2,287.6 | 2,287.6 |
| | მათ შორის: | | | |
| ა | მსოფლიო ბანკის კრედიტი (3357 GE) | 4040,0 | 2,027.6 | 2,027.9 |
| ბ | კუვეიტის ფონდის კრედიტი (589 kf) | 1510,0 | 260.3 | 260.3 |
| 3 | უცხოური კრედიტების ძირითადი თანხებისა და მომსახურების პროცენტების გადახდა ცენტრალურ ბიუჯეტში | 8,465.0 | 7,160.3 | 7,160.3 |
| | მათ შორის: | | | |
| ა | მსოფლიო ბანკის კრედიტის (2809 GE) ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების გადახდა | 4,325.0 | 3,259.2 | 3,259.2 |
| ბ | მსოფლიო ბანკის კრედიტის (3357 GE) ათვისებულ ნაწილზე მომსახურების პროცენტების გადახდა | 635.0 | 585.5 | 585.5 |
| გ | კუვეიტის ფონდის კრედიტის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების გადახდა | 3,505.0 | 3,315.6 | 3,315.6 |
| 4 | წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა | 5600.0 | 5,560.9 | 5,560.9 |
| 5 | საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატების შენახვის ხარჯები | 558.3 | 558.3 | 558.3 |
| 6 | სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯები | 409.4 | 409.4 | 409.4 |
| 7 | მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები | 9,000.0 | 6,104.1 | 4884.2 |
| 8 | კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები | 250.0 | 94.8 | 94.8 |
| | ს უ ლ : | 66,650.0 | 46,040.3 | 41,084.0 |

შენიშვნა: 9 თვეში შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და საკასო ხარჯის შორის სხვაობა გამოწვეულია სამუშაოების სექტემბრის თვის შესრულებით, რადგან მისი გადახდა ხორციელდება ოქტომბრის თვეში და იგი 9 თვის საკასო ხარჯში არ აისახება

ცხრილი №3

| № | საავტომობილო გზის დასახელება | სამშენებლო ობიექტის ღირებულება ათ. ლარებში | | საავტომობილო გზის სიგრძე | | 2004 წლის ბოლომდე ჩაბარდება | 2005 წელში ჩაბარდება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მთლიანი მოცულობა | მ.შ. 2004 წლის 9 თვეში შესრულებულია | მთლიანი | მ.შ. 2004 წლის 9 თვეში შესრულებული | | |
| | I. მსოფლიო ბანკის კრედიტით განხორციელებული სამუშაოები | | | | | | |
| 1 | თბილისი-სენაკი-ლესელიძე | 12,710.7 | 1,436.4 | 81 კმ | 37 კმ | 44 | - |
| 1.1 | ხიდი [illegible] | 2,958.3 | 180.0 | 86 გრძ.მ. | 86 გრძ.მ. | - | - |
| 2 | სენაკი-ფოთი-სარფი | 1,689.9 | 978.1 | 5 კმ | მიმდინარეობს | 5 კმ | - |
| 3 | სამხედრო გზა | 6,826.1 | 5,141.0 | 15.3 კმ | - | 15.3 კმ | - |
| 3.1 | ხიდი [illegible] | 3,792.1 | 1,890.9 | 60 გრძ.მ. | - | 60 გრძ.მ. | - |
| 4 | [illegible] ხიდი | 3,327.2 | 2,080.1 | 16 კმ | 16 კმ | - | - |
| 5 | თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი | 5,549.4 | 1,988.0 | 29 კმ | - | 24 კმ | 5 კმ |
| 6 | თბილისი-მარნეული | 1,081.4 | 900.0 | 6 კმ | - | 6 კმ | - |
| 7 | მარნეული- სადახლო | 13,663.2 | 7,352.1 | 20.5 კმ | - | 20.5 კმ | - |
| 8 | ხაშური-ახალციხე-ვალე | 4,197.4 | 1,532.0 | 16 კმ | 7 კმ | 9 კმ | - |
| 9 | ზესტაფონი-ბაღდათი | 2,269.9 | 638.1 | 10 კმ | - | - | 10 კმ |
| | ჯ ა მ ი : | 58065.6 | 24,116.7 | 198.8 კმ | 60 კმ; 86 გრძ.მ. | 123.8 კმ | 15 კმ |
| | II. კუვეიტის ფონდის კრედიტით განხორციელებული სამუშაოები | | | | | | |
| 1 | ფოთის შემოსავლელი გზა | 9800.9 | 690.9 | 4.8 კმ | 4.8 კმ | - | - |
| 2 | სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთი | 21862.0 | 1839.6 | 57 კმ | 21 კმ | 20 კმ | 16 კმ |
| | ჯ ა მ ი : | 31662.9 | 2530.5 | 61.8 კმ | 25.8 კმ | 20 კმ | 16 კმ |

# ნადირობა ამომრჩევლის გულებზე

ირაკლი კაკაბაძე
ვაშინგტონიდან

ჯონ კერი ოჰაიოს შტატში სანადიროდ წავიდა. მას რამოდენიმე მონადირე მეგობარი ახლდა და ისინი გარეულ ფრინველზე ნადირობდნენ, დილის 9 საათიდან 11 საათამდე ტყეში იყვნენ. ჟურნალისტები თვით ნადირობის პროცესს არ დაასწრეს. ისინი ტყის პირას დააყენეს და 11 საათისათვის ტყიდან გამოსულ კერისა და მისი მეგობრებისათვის რამოდენიმე სურათის გადაღების საშუალება მისცეს. მასაჩუსეტსელი სენატორის სურათი "ნიუ იორკ პოსტმა" წინა გვერდზე გამოაქვეყნა და სათაურიც შესაბამისად მიაწერა: "კერი მონადირეების ხმებს დასდევს". ოჰაიოს შტატი ერთ-ერთი სვინგ შტატია, სადაც უპირატესობა გარდამავალია და ამ შტატში გამარჯვებისათვის არც ერთი კანდიდატი არაფერს იშურებს. ამ და კიდევ რამოდენიმე სვინგ შტატის მოგებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც ორივე კანდიდატის საარჩევნო შტატი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს ამ პერიპეტიებს. ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ მაშინვე კომენტარი გაუკეთა კერის ნადირობას: "ეს მხოლოდ ფარისევლობაა. სენატორმა კერიმ ბევრჯერ მისცა ხმა იარაღის გაყიდვის წინააღმდეგ. 20 წუთიანი "ფოტო-ოპორტუნიტი" (სურათის გადაღების შანსი) ვერ შეცვლის მის ნამდვილ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი."




უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჩეინი მართალია. სენატორი კერი მართლაც იყო იარაღის გაყიდვის აკრძალვის მომხრე. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კოლუმბაინის სკოლაში ერთ-ერთმა მოწაფემ მამამისის იარაღით რამოდენიმე კლასელი მოკლა და ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ეპიზოდი გამოიწვია. იარაღის ხელმისაწვდომობის გამო, დღეს ძალიან ბევრ ფსიქიურად გაუწონასწორებელ ადამიანს, კრიმინალს და ყველაზე უარეს შემთხვევაში ტერორისტსაც კი აქვს საშუალება, შეიძინოს იარაღი ჩვეულებრივ მაღაზიაში. ამიტომაც, ამერიკაში უკვე მეტად გახშირდა დებატები ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. იარაღის ტარების უფლება ამერიკის კონსტიტუციის ნაწილია. ჩვეულებრივ მოქალაქეს აქვს უფლება, რომ სახლში იარაღი ჰქონდეს და თავდასხმის შემთხვევაში საკუთარი თავი დაიცვას. მაგრამ კონსტიტუციის ამ შესწორების მიღების შემდეგ დიდი ხანი გავიდა და დღეს ამერიკულ საზოგადოებას ბევრად უფრო დიდი საშიშროება ემუქრება, ვიდრე ვილაცის ოჯახის გაქურდვა ან გაძარცვაა. სხვადასხვა ჯურის მანიაკები და ტერორისტები ამ იარაღს ბევრი ადამიანის განადგურების მიზნით იყენებენ და დიდ საშიშროებას უქმნიან მთლიანად საზოგადოებას. სწორედ ამის გამო დაიწყო დიდი დებატები მთელს ამერიკაში და სწორედ ამას მიეძღვნა მაიკლ მურის კიდევ ერთი ცნობილი ფილმი "კოლუმბაინის ძიებაში". სწორედ ამ ფილმისათვის მიიღო რეჟისორმა მრავალი პრემია და მერე გადაიღო თავისი ახლანდელი ბლოკბასტერი "ფარენჰეიტ 9/11". ამ ფილმში მეტად ემოციურად და მართლად არის ნაჩვენები ის შესაძლო ტრაგედია, რომელიც იარაღის ასე გაუკონტროლებელმა გაყიდვამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალში. საზოგადოების ბევრი გამოჩენილი მოღვაწე გამოვიდა მოთხოვნით, რომ იარაღის ასეთი გაუაზრებელი გაყიდვა აიკრძალოს. მაგრამ, ამერიკის იარაღის ნაციონალურმა ასოციაციამ (National Rifle Association) დიდი კამპანია გაშალა და მოისყიდა პოლიტიკოსები ორივე პარტიიდან. რესპუბლიკური პარტიის წევრები თითქმის მთლიანად იარაღის ასოციაციის მხარეზე იყვნენ და არიან. მაგრამ ამ ასოციაციამ დემოკრატიულ პარტიაშიც ძლიერად იმუშავა და, შეიძლება ითქვას, მას მომხრეები იქაც გაუჩნდა. სენატორი კერი ხომ პრეზიდენტობის კანდიდატია და ახლა იმისათვის, რომ ოჰაიოს ამომრჩეველთა ხმები მიიღოს, საკუთარ პრინციპებს უღალატა და ტყიდან დასისხლიანებული ხელებით გამოვიდა იქაურ მონადირეებთან ერთად. ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ორ კანდიდატს შორის დიდი სხვაობა არაა. ხმების გულისათვის ერთიც და მეორეც იცვლის პრინციპებს, - ამბობდნენ ლიბერალების ბანაკში ამ ფაქტის მერე. თუმცა, ამ ორ კანდიდატს შორის კონტრასტი მაინც არის. მათი ხედვები განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ოპორტუნიზმი და კონიუნქტურისათვის ანგარიშის გაწევა დღევანდელი პოლიტიკის აუცილებელი ნაწილია და მაშასადამე ვისაც არ უნდა საკუთარი პრინციპების ხშირად ცვლა და კონიუნქტურის მონობა, ის პოლიტიკაში არ უნდა წავიდეს. ხანდახან სიმართლე მონადირეთათვის არის მიუღებელი, ხანაც მეცხოველეობის ბიზნესის წარმომადგენელთათვის, ხან ნავთობის კორპორაციებისათვის და ხან უოლ სტრიტის ელიტისათვის. ყველასთვის მისაღები სიმართლე რთული მოსაძებნია. თუმცა, თუ საბოლოოდ ამომრჩეველი და დონორი არ არის მსაჯული, და მათს მაგივრად ღმერთია, მაშინ კონიუნქტურა ნაკლებად მნიშვნელოვანია.

არჩევნებამდე ორ კვირაზე ნაკლები დარჩა და ორივე კანდიდატს დაახლოებით თანაბრად აქვს ხმები. ლიბერალური მედია ჯონ კერის ემხრობა, კონსერვატიული წრეები ჯორჯ ბუშს. მსოფლიოში ისევ 3,5 მილიარდი ღატაკია. მდიდრები ისევ უფრო მდიდრები ხდებიან და ღარიბები უფრო ღარიბები. ტერორიზმის საშიშროება ისევ არის. ორივე კანდიდატის მოხრეები 2 ნოემბერს საკუთარ გამარჯვებას გვიწინასწარმეტყველებენ, თუმცა მხოლოდ ღმერთმა იცის, ვინ გაიმარჯვებს.

# რატომ ქმნის კრემლი ახალ ლიბერალურ პარტიას?



*მიხეილ დელიაგინი: ვიცე-პრემიერ გერმან გრეფს საქართველოს ეკონომიკური ექსპანსია აქვს დავალებული.*

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთში გატარებული რეფორმებისა და მომხდარი ტერაქტების სამწუხარო ქრონოლოგიამ პრეზიდენტისა და ხელისუფლების პარტიის რეიტინგის ერთდროული ვარდნა გამოიწვია. ამასთანავე, ნათელი გახდა, რომ ქვეყანაში არ არსებობს ისეთი პოლიტიკური ოპოზიციური ძალა, რომელიც ქვეყნის ცხოვრებაზე რეალურ გავლენას მოახდენს. თუმცა, ცოტა ხნის წინ რუსეთში ჩატარებული უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა (66%) თვლის, რომ ამგვარი ძალის არსებობა აუცილებელია. კრემლი სასწრაფოდ შეუდგა ახალი, "ლიბერალურ ღირებულებებზე" ორიენტირებული პოლიტიკური პარტიის კონსოლიდაციას. რუსი ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთში ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნა მხოლოდ გარეგნული ფაქტორითაა მნიშვნელოვანი, რადგანაც ახალი პოლიტიკური ძალის სავარაუდო ლიდერები პუტინის ეკონომიკური რეფორმების აქტიური გამტარებლები არიან: ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი, ვიცე-პრემიერი გერმან გრეფი და კონტროლის პალატის თავმჯდომარე სერგეი სტეპაშინი. ანუ ის ხალხი, ვინც რუსეთის პოლიტიკურ წრეებში კრემლისადმი მუდამ ლოიალურ ფიგურებად ითვლებოდა..

მოსკოვის ექსპერტთა საზოგადოება ამ დღებში აქტიურად ეხმაურება კრემლის ახალ პროექტს და მას დასავლეთის თვალში "დემოკრატობანას თამაშის" სურვილით ხსნის. ასეთი თვალსაზრისი "24 საათთან" საუბარში გლობალიზაციის პრობლემათა ინსტიტუტის დირექტორმა ***მიხეილ დელიაგინმა*** გამოთქვა.

**- რუსეთში ახალი, ცენტრისტული პარტიის დაბადება კონსტიტუციურ ცვლილებებს ხომ არ გამოიწვევს?**

- ფაქტია, რომ კრემლის ნოვაციას რაღაც ჩანაფიქრი აქვს. ეს რაღაცა, როგორც კი პუტინის მმართველობის მესამე ვადაზე კრემლი უფრო აქტიურ პროპაგანდას დაიწყებს, სავარაუდოდ, საპრეზიდენტო მმართველობის მოდელის რევიზიასთან იქნება დაკავშირებული.

**- მოსალოდნელია, რომ რუსეთშიც ბელორუსის მაგალითი განმეორდება?**

- კი არ განმეორდება, არამედ ინტენსიურად დაიწყება ბელორუსთან გაერთიანების იდეების პროპაგანდა, ახალი, სამთა ან ორთა კავშირის შეკოწიწების იდეოლოგიის მუსირება. გააჩნია, როგორ ჩაატარებს ვაშინგტონი "წაბლების რევოლუციას" კიევში. ახალი წარმონაქმნის კარი კი, როგორც ეს დსთ-ს შემთხვევაში იყო, ღია იქნება ყველა მსურველისათვის. ვინ იქნება რუსეთ-ბელორუსია-უკრაინის პრეზიდენტი? ამ შეკითხვამ შეიძლება ბევრ ლიდერს წაატეხინოს კისერი. ამიტომაც ახალ სახელმწიფოში საპრეზიდენტო მმართველობის იდეას ბევრი მხარს არ დაუჭერს.

**- საპარლამენტო სახელმწიფო შედის კრემლის ინტერესებში?**

- კრემლის ინტერესებშია უნიტარული სახელმწიფოს მოდელი, სადაც იქნება პოლიციური მმართველობა, რეჟიმი და, სადაც ნაკლები ადგილი დარჩება დემოკრატიული რეფორმებისათვის, დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის, სადაც საერთოდ არ იქნება სიტყვის თავისუფლება. არ არის გამორიცხული სახალხო რეფერენდუმიც ბელორუსის მაგალითზე. ამ იდეების გატარებას კი შედარებით ლიბერალური, შედარებით დემოკრატიული, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ხალხი სჭირდება.

**- როგორ საგარეო პოლიტიკას გაატარებს კრემლის ახალი პოლიტიკური პარტია, როგორია ექსპერტთა პროგნოზი?**

- პოლიტიკა დსთ რესპუბლიკებისადმი გამკაცრდება, რადგანაც ახალი პოლიტიკური ძალა, მართალია, შორს დგას სახალხო-პატრიოტული ძალების იდეოლოგიისაგან, მაგრამ იგივე აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ყარაბაღის კონფლიქტების დარეგულირება მათი თავსატეხი ნაკლებად იქნება. კრემლმა ამ პრობლემას ვერ მოუარა. ამიტომ ახალი პარტია ამ ავადმყოფობას სხვა ძალებს გადაულოცავს. ეს ხალხი კი, დამიჯერეთ, სულაც არ არიან დემოკრატები. ეს მათი შირმაა დემოკრატიული, სინამდვილეში კი ისინი კრემლის ერთგული მეგობრები არიან. მაგალითად, ვიცე-პრემიერ გერმან გრეფს საქართველოს ეკონომიკური ექპანსია აქვს დავალებული.

# ლიტვის პარლამენტში არჩევნების მეორე ტური გაიმართა

გუშინ ლიტვის 66 ერთმანდატიან ოლქში სეიმის (პარლამენტი) არჩევნების მეორე ტური გაიმართა. ლიტვის სეიმში არჩევნები შერეული სისტემით იმართება. ორი კვირის წინ დეპუტატები პარტიული სიებით აირჩიეს. ამჯერად კი ჯერი ერთმანდატიანებზე მიდგა.

პირველ ტურში საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა "შრომის პარტიამ", რომელსაც ლიტვის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, რუსული წარმოშობის მილიონერი ვიქტორ უსპასკიხი უდგას სათავეში.



*ლიტვის მმართველი პარტიის ვინაობას სეიმის არჩევნების მეორე ტური გამოავლენს.*

წინასწარი მონაცემებით, მისმა მოძრაობამ ქვეყნის მოსახლეობის მესამედის მხარდაჭერა მოიპოვა. მეორე ადგილზე სოციალ-დემოკრატიული კოალიცია – "მუშაობა ლიტვისათვის" გავიდა, რომელსაც პარლამენტის სპიკერი არტურას პაულაუსკასი და პრემიერ-მინისტრი ალგირდას ბრაზაუსკასი ხელმძღვანელობენ.

უსპასკიხის პირველ ტურში გამარჯვება ექსპერტებისათვის დიდი მოულოდნელობა იყო. თუმცაღა, საპარლამენტო უმრავლესობა მის მოძრაობას არ ჰყავს და ამდენად, გარკვეული კოალიციის შექმნაა მოსალოდნელი. ლიტვაში ბევრს მიაჩნია, რომ მომავალში უსპასკიხი ყოფილ პრეზიდენტ პაკსასთან გაერთიანდება. ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ მეორე ტურის შემდეგ გახდება ცნობილი, თუ რომელი პარტია წარმართავს ლიტვის პოლიტიკას უახლოესი ოთხი წლის მანძილზე.

როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სააგენტო ИТАР-ТАСС-ის წარმომადგენელი ზენონას ვაიგაუსკასი იტყობინება, 1805 უბნად დაყოფილ 66 საარჩევნო ოლქში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიიდან 122 და 10 დამოუკიდებელი კანდიდატი იყრის კენჭს.

თითოეულ ოლქში გაიმარჯვებს ორიდან ერთი კანდიდატი, რომელიც, ამომრჩეველთა დასწრების მიუხედავად, ხმათა უბრალო უმრავლესობას დააგროვებს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ლიტვის 2,4 მილიონ მოქალაქეს აქვს, რომლებმაც საარჩევნო სიებში წინასწარი რეგისტრაცია გაიარეს.

სეიმის არჩევნების მეორე ტურში საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებს მონაწილეობა არ მიუღიათ. გმონაკლისს ერაყის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია წარმოადგენდა, რომელსაც მსგავს ღონისძიებებში ლიტვის გამოცდილების შესწავლა სურს. ცენტრალური საარჩევნო კომისია წინასწარ შედეგებს ორშაბათს გამოაქვეყნებს.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ !!!
GIPA
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ამა წლის 27 ოქტომბერს, 4 საათზე ატარებს
ღია კარის დღეს
მისამართი: ქ. თბილისი, მარი ბროსეს ქ.N2. ტელ: 931466, 934346, 932201

# აშშ-ს გამოძიებათა ფედერალური ბიურო მორიგ ანტიტერორისტულ ოპერაციებს ახორციელებს

აშშ-ში, საპრეზიდენტო არჩევნების წინ შესაძლო ტერაქტების მცდელობის აღმკვეთი ღონისძიებების ფარგლებში ჩატარებული ოპერაციების შედეგად, რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს. ამის შესახებ ინფორმაცია აშშ-ს გამოძიებათა ფედერალური ბიუროს მაღალჩინოსნებმა გაავრცელეს, რომლებმაც ანონიმურობა არჩიეს.

იმავდროულად, როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, დღეისათვის ამერიკის ძალოვან სტრუქტურებს შესაძლო ტერაქტების თაობაზე კონკრეტული უტყუარი ინფორმაცია არ მიუღიათ.

აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები გამუდმებით საუბრობენ იმაზე, რომ საერთაშორისო ტერორისტები, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებზე გარკვეული გავლენის მოხდენას შეეცადონ. ამის თაობაზე საუბარი მადრიდში მიმდინარე წლის მარტში განხორციელებული აფეთქებების შემდეგ უფრო ინტენსიური გახდა. ფედერალური ბიუროს აგენტების მიერ სპეციალური ღონისძიებების შედეგად რამდენიმე ათასი ადამიანი დაიკითხა.

საერთოდ, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთ თვეზე ცოტა მეტი იყო დარჩენილი, სპეცსამსახურების მზადყოფნა მაქსიმუმამდე იქნა აყვანილი. მაგალითისათვის, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების თავზე არსებულ აკრძალულ საჰაერო სივრცეში მცირე ზომის თვითმფრინავების შეღწევისას, ისინი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ავია-გამანადგურებლების კონტროლის ქვეშ აღმოჩნდნენ.

მთელი ამ პერიოდის მანძილზე მსგავსი ინციდენტი მხოლოდ ორჯერ მოხდა. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, სახელმწიფოს მეთაურის სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ დამუქრებია. თვითმფრინავების პილოტები ფედერალური ბიუროს აგენტებმა დაკითხეს, ხოლო შემდეგ კი გაუშვეს.

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა არაერთხელ განაცხადა, რომ ეროვნული უსაფრთხოების ძალები ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ მუდმივ მზადყოფნას 2004 წლის 2 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეინარჩუნებენ. ამასთან, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერჯერობით კონკრეტული ინფორმაცია მოსალოდნელ ტერორისტულ საფრთხეზე არ არსებობს, თუმცა, მისი გამოჩენის შემთხვევაში, ამის შესახებ განცხადება საჯაროდ გაკეთდება.

სხვათა შორის, პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატი ჯონ კერი მიიჩნევს, რომ ჯორჯ ბუში ტერორიზმის მიმართ ამერიკელი ხალხის შიშს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს.

გარდა ამისა, ჯონ კერიმ აღნიშნა, რომ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას შეიარაღებულ ძალებს ალ-ქაიდას მეთაური უსამა ბინლადენი 2001 წელს ავღანეთში "ხელიდან დაუძვრა". დემოკრატების კანდიდატმა პრეზიდენტს ბრალი იმაშიც დასდო, რომ ავღანეთის ჯარებმა აშშ-ს სამხედრო-მოსამსახურეების მხრიდან ჯეროვანი დახმარება ვერ მიიღეს, როდესაც ისინი უსამა ბინ-ლადენის დაკავებას ცდილობდნენ. მისი თქმით, ეს ნომერ პირველი ტერორისტი "უკანა კარიდან გაიპარა".

ჯონ კერის აზრით, ჯორჯ ბუშის კრიტიკა, მისი ანტიტერორისტული პოლიტიკის მიმართ, უსაფუძვლოა. "პრეზიდენტი ცდილობს, ხალხში შიში დანერგოს. ის მხოლოდ ტერორიზმსა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე საუბრობს. ტერორთან ბრძოლის თვალსაზრისით, მე უფრო ეფექტურ პოლიტიკის გატარება შემიძლია, ვიდრე ბუშს. მზად ვარ, ამ სფეროში ვიმუშაო კიდეც", - განაცხადა კერიმ.

ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

26 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
რაჭის, ბახმაროს, ახტალის, ჟღენტის, გომარეთის, ლეჩხუმის, ზიარის ქუჩების მაცხოვრებლებს.

27 ოქტომბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
ყაზბეგის(ნაწილობრივ) და ვაჟა-ფშაველას(ნაწილობრივ) გამზირების, ამბროლაურის, საირმის, ცინცაძის, ბურძგლას ქუჩების მაცხოვრებლებს.

# „თბილისობა-2004" დასრულდა

წლევანდელმა – "ევროპულმა" თბილისობამ სტარტი 22 ოქტომბერს აიღო.

ქუჩებში გამართული ღრეობა წელს მოძრავმა სუფრამ შეცვალა. ქართული ეროვნული ელემენტებითა და შემოდგომის ნობათით გაფორმებული ტრამვაი 22 ოქტომბერს დილით 9 საათზე მეტრო სადგურ „დიდუბიდან" დაიძრა და ავჭალის მიმართულებით გაემართა. ვაგონში გაშლილ თბილისურ სუფრას უამრავი სტუმარი ეწვია. დღის პირველი საათისთვის ამ „მოძრავი სუფრის" მესაჭეობა თბილისის მერმა იტვირთა. დღის ბოლოს მას უკვე კიი ეჭირა ხელში და ოლიმპიელ ჩემპიონს გოირგი ასანიძეს ხვდებოდა. გვერდით მაგიდაზე კი ქალაქის ვიცე პრემიერები – ირაკლი თოდუა და თემურ ქურხული თამაშობდნენ. აზარტში შესულ ქალაქის მერს გულშემატკივრებმა ისიც შესთავაზეს, იქნებ კაზინოები დავხუროთ და საბილიარდოები გავხსნათ ჩვენს დედაქალაქშიო.

თბილისობა დატვირთული იყო: თეატრალური წარმოდგენებით, კონცერტებით, სპორტული სანახაობებით და გამოფენებით. ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე პირველი საერთაშორისო ფესტივალი "აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნების არტ ექსპო" გაიხსნა. ფესტივალში აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნის 100-ზე მეტი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო როგორც ოპერა, კლასიკური მუსიკა და სახვითი ხელოვნება, ისე ფოლკლორი, თანამედროვე ცეკვა, ფოტოგრაფია და ხელოვნების სხვა სფეროები. "არტ ექსპო" საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა სტრუქტურების თანადგომით გაიმართა და აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნების წარმოჩენასა და საერთაშორისო პრომოუშენის დაწყებას ისახავდა მიზნად.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერმა თბილისის ქუჩებში სოფლის ნობათით ვაჭრობა აკრძალა, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, სახელმწიფო არქივის მიმდებარე ტერიტორიაზე სოფლის ნობათი მაინც გამოჩნდა. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ამ გამოფენა-გაყიდვის ორგანიზატორი ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა" გახლდათ. საქართველოს სახვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული გლეხები თავს სწორედ იქ იწონებდნენ.

მერიასთან არსებულმა მრჩეველთა საბჭომ 22 კანდიდატიდან შვიდს საპატიო თბილისელის წოდება მიანიჭა: არღანის ოსტატს იაკობ ქიტესოვს, თბილისის კოლორიტს ვანო მაჭავარიანს, ქალაქ ნანტის მერს შარლ მარკეროს, ნიუნრბერგის მუსიკალური ფესტივალის დირექტორს მარკ მალკოვიჩს, კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილსა და პოეტ ჯემალ აჯიაშვილს. საპატიო თბილისელთა სიაში აღმოჩნდა სომხეთის პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი, რომელიც თბილისს ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა. საპატიო თბილისელების დაჯილდოება რესტორან „კოპალაში", ფორაქიშვილების დარბაზში შედგა.

გუშინ საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, თავისუფლების მოედანზე გამოფენა მოაწყვეს. მათ თბილისელებს საკუთარი ქვეყნის კულტურა გააცნეს. ქართველები ყველაზე მეტად 11 ქვეყნის ეროვნული კერძებით დაინტერესდნენ. ყველაზე ძვირი პროდუქტი აქ თურქების მიერ მომზადებული შაურმა იყო. რუსები და იტალიელები საგულდაგულოდ გამომცხვარ ალადებსა და ღვეზელებს უფასოდ არიგებდნენ.

ხალხმრავლობა იყო შარდენის ქუჩაზე, სადაც გამოფენები და თეატრალური ჩვენებები მოეწყო. ჯაზის მოყვარულთათვის ლესელიძის ქუჩის დასაწყისში კონცერტი გაიმართა. ბამბის ქუჩაზე ებრაელებმა საკუთარი შემოქმედება წარმოადგინეს. მერია სხვადასხვა პრეზენტაციებსა და სემინარებს მასპინძლობდა. თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, გუშინ "ჩოხოსანთა საზოგადოებაში" 12 ახალი წევრი მიიღეს, აქედან ხუთი მანდილოსანია. სადღესასწაულო პროგრამა მთლიანობაში 68 დასახელების ღონისძიებას ითვალისწინებდა და მათი სათითაოდ ჩამოთვლა შეუძლებელია. სამდღიანი დღესასწაული რესპუბლიკის მოედანზე გამართულმა ტრადიციულმა გალა კონცერტმა დაასრულა.







ვახო ბესელიას ფოტოები

*24 საათი*

რეგიონი

# „არ ჯობდა, ქართულად გვესაუბრა?"

*ოცდაჩვიდმეტი წლის არტურ ერემიანი გასული წლის დეკემბერში დაინიშნა ახალქალაქის გამგებლად. იგი წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, ბოლოს რაიონის საგადასახადოს თავკაცობდა. ახალგაზრდა გამგებელს ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.*

ლელა მარგიანი

**არტურ ერემიანი, ახალქალაქის გამგებელი**: "ბოლო 10-12 წელია, რაიონის მთავარი პრობლემა იყო და არის უშუქობა. გამოსავალი კი შემდეგშია: რაიონში არის გამზადებული ხაზი - "აშოცკი-ნინოწმინდა". ჩვენი იდეაა, რაიონისთვის განკუთვნილი დენის ლიმიტი დარჩეს სხვა რაიონებში: ბორჯომში, ასპინძაში, ადიგენსა და ახალციხეში. ჩვენ კი უწყვეტი დენი მოგვცენ ხაზით - "აშოცკი-ნინოწმინდა". პირობას ვდებთ, რომ დენის საფასურს მოსახლეობა აუცილებლად გადაიხდის. როგორც აღვნიშნე, დიდი ხანია, ვმუშაობთ ამ საკითხზე, ყველაფერი მოვაგვარეთ, შევთანხმდით სომხურ მხარესთან. 4 ოქტომბრიდან დენი უნდა მიგვეღო, მაგრამ მაინც, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, შეთანხმება ვერ შედგა. რაიონს დენი კვლავ არ მიეწოდება. ამის შესახებ რამდენჯერმე თბილისშიც გვქონდა საუბარი დარგის მინისტრთან, ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობასთან. ყველა საქმის კურსშია.

**- თბილისი წინააღმდეგია?**

- არა, ჩვენი მხრიდან თანხმობა მიღებულია. ორიოდე დღის წინაც ვიყავი თბილისში და გავარკვიე, რომ შეფერხება გამოწვეულია სომხური მხარის მხრიდან, - თურმე ისინი დენის ტარიფის გაძვირებას აპირებენ. (ჩვენ სემეკი-ს დადგენილი ტარიფით ვიხდიდით). ამავე დროს, "არმენერგოში" რაღაც რეფორმები დაუწყიათ და არ იციან, ვინ უნდა მოაწეროს ხელი შეთანხმებას. იმედი მაქვს, მალე შეხვედრა ჩატარდება და ყველაფერი მოგვარდება.

**- მოსახლეობისგან გავიგეთ, რომ ახალქალაქში არის რამდენიმე კერძო ჰესი, საიდანაც ისინი დენს იღებენ, ოღონდ ძალიან ძვირად. ისიც გვითხრეს, რომ ერთ-ერთი ჰესი ეკუთვნის ახალქალაქის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს.**

- მართლაც ასეა და ეს ყველამ იცის. ერთი მხრივ, მიხარია, რომ არიან ადამიანები, ადგილობრივი მეწარმეები, ვინც თავისი ხარჯით ააშენა მცირე ჰესები.

რაც შეეხება გადასახადს - 20 დოლარი თვეში, მართლაც საკმაოდ ძვირია. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ არსად მრიცხველები არ აყენია, ანუ მოხმარებული დენის აღრიცხვა, ფაქტობრივად, არ ხდება. უბრალოდ, აბონენტთან ხდება სიტყვიერი შეთანხმება. სინამდვილეში რამდენი კილოვატი გამოდის თვეში, ანუ რა უჯდება ახალქალაქელს ერთი კილოვატ-საათი ენერგია, არავინ იცის. რაც შეეხება თქვენს კითხვას, თუ ვის ეკუთვნის ეს ჰესები, მინდა განვმარტო, რომ ქალაქი მარაგდება მდინარე ფარავანზე აშენებული ოთხი მცირე ჰესით. ეს ჰესები ადრე არ არსებობდა. მხოლოდ ერთი იყო 80 წლის წინათ აშენებული, მაგრამ მისგან არაფერი აღარ დარჩა. ეს ჰესები კერძო პირებმა თავისი ხარჯით ააშენეს. ქალაქსა და ახლო-მახლო სოფლებს მათი საშუალებით მაინც აქვთ ცოტა შუქი.

**- კიდევ რა პრობლემებია?**

- მოგეხსენებათ, ჯავახეთი მაღალმთიანი რეგიონია. დილა-საღამოს საკმაოდ ცივა. უკვე ყინვებიც იყო. ოც დღეში კი შეიძლება, ჩამოთოვოს კიდეც და ძლიერი ყინვები დაიწყოს. წელს ჩვენთან ძალიან დიდი პრობლემა გახდა ენერგომატარებლები. რაიონში ტყე, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამიტომ, ხე-ტყე შემოგვაქვს სხვა რაიონებიდან, ძირითადად ბორჯომ-ბაკურიანიდან და ადიგენიდან. შეშის შემოტანა ძალიან ძვირი ჯდება, მით უმეტეს წელს, რადგან ზაფხულის განმავლობაში ხე-ტყის ჭრაზე მორატორიუმი იყო გამოცხადებული. ამის გამო ხალხმა ვერ დააგროვა შეშა. მართალია, მორატორიუმი დამთავრდა და ხალხს სანიტარიული ჭრის უფლება მისცეს, მაგრამ ეს ბევრს ვერაფერს შეცვლის. შეშაზე ფასებმა ძალიან მოიმატა.

საბჭოთა კავშირის დროს ქვანახშირი შემოგვქონდა რუსეთიდან და უკრაინიდან. ახლა მისი შემოტანა ძალიან ძვირი გვიჯდება, მხოლოდ ზოგი ორგანიზაციისთვის თუ ვახერხებთ კერძო პირების მიერ ტყიბულიდან შემოტანილი ქვანახშირის შეძენას. წელსაც შევიძინეთ 200 ტონა ქვანახშირი, პირველ რიგში, საავადმყოფოსთვის.

**- სკოლებისთვის?**

- სკოლებისთვის არ შემოგვაქვს. იმიტომ, რომ რაიონში 74 სკოლაა და ყველასთვის ტყიბულიდან ქვანახშირის შემოტანას ძალიან დიდი თანხა სჭირდება. ამავე დროს, ბოლო 12 წლის მანძილზე სკოლების უმოქმედოდ მყოფი საქვაბეები მწყობრიდან არის გამოსული. თან შუქიც არაა, რომ წყალსაქაჩები ვამუშაოთ. ამიტომ სკოლებში ადრე არსებულ ცენტრალურ გათბობის სისტემებს ვერ ავამუშავებთ. გამოსავალი მაინც გამოინახა: ადგილობრივი ბიუჯეტიდან 30 ათასი ლარი გადავურიცხეთ სატყეო მეურნეობას შეშის დამზადებისთვის.

ძალიან ცუდ დღეშია თვითონ სკოლების შენობებიც. ყველა შენობა სარემონტოა, ზოგან გაკვეთილების ჩატარებაც კი საშიშია. მართალია, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყველაზე დაზიანებული ცხრა სკოლისთვის გამოვყავით 50 ათასი ლარი, მაგრამ ეს თანხა ზღვაში წვეთია.

გვაქვს სასმელი წყლის პრობლემაც. არის რაიონში ექვსი სოფელი, რომელთაც არა აქვთ სასმელი წყალი. მართალია, სამი კილომეტრი წყალსადენი გავიყვანეთ, მაგრამ სამუშაოების დასრულებას კიდევ 150 ათასი ლარი სჭირდება. იმ სოფლებში პატარა ბავშვები ისევ ზურგზე მოკიდებული ჭურჭლებით ათრევენ წყალს.

**- გზები?**

- რაიონის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ცუდი გზებია. უფრო სწორად, გზა საერთოდ არ არსებობს. ამაში თქვენ თავადაც დარწმუნდებოდით მგზავრობისას. ახალციხიდან ახალქალაქამდე რამდენიმე ათეული კილომეტრის გავლას მსუბუქი მანქანით 3-4 საათი სჭირდება. წლების განმავლობაში ამ პრობლემას არანაირი ყურადღება არ ექცეოდა. ახლა ვითარება ოდნავ შეიცვალა. ჩვენთან რამდენჯერმე იყო საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელი რომან დალაქიშვილი და პირველი სასიკეთო ნაბიჯებიც გადაიდგა, ადგილობრივი ბიუჯეტით, ქალაქის ცენტრში რამდენიმე კილომეტრი ორპირი ასფალტის დაგება მოხერხდა. შეიცვალა ბორდიურები. თუ ნინოწმინდისკენ მიმავალ გზაზე ადრე მხოლოდ ტრაქტორები და სატვირთო მანქანები მოძრაობდნენ, ახლა მშვენიერი მოასფალტებული გზაა. მოძრაობა თავისუფლად შეიძლება. ის, რაც არ გაკეთებულა ბოლო 15 წლის განმავლობაში, ცხრა თვეში გაკეთდა.

**- კიდევ რა სასიკეთო ცვლილებებია რაიონში?**

- ჩვენს რაიონს დამტკიცებული ბიუჯეტი აქვს 800 ათასი ლარი. ეს მიზერული თანხაა, რაიონს მეტი შეუძლია. ამავე დროს, ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით მივიღეთ 3 მილიონი ლარი. ეს საკმაოდ დიდი თანხაა. იგი აბსოლუტურად აკმაყოფილებს რაიონის საბიუჯეტო ორგანიზაციებს. გარდა ზემოთქმულისა, ცხრა თვის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა სასიკეთო. პირველ ყოვლისა, ბოლომდე გავისტუმრეთ მასწავლებელთა ოცთვიანი სახელფასო დავალიანება - მილიონ ხუთასი ათასი ლარი. პრეზიდენტის საჩუქარმაც ყველა ძალიან გაახარა. ადრე ხომ მსგავსიც არაფერი ყოფილა.

ერთი პრობლემა დაგვრჩა მოუგვარებელი: რაიონში არსებული 74 სკოლიდან მხოლოდ 8 სკოლაა ქართული. სომხური სკოლებისთვის წიგნებს სომხეთიდან ვიღებთ. რაც შეეხება ქართულ სკოლებს, იქ წიგნების პრობლემა გვაქვს. ქართულ სკოლებში მხოლოდ 150 ბავშვი სწავლობს. დაახლოებით 600 ცალი სხვადასხვა სახის სახელმძღვანელო სჭირდებათ. რაიონის ხელმძღვანელობამ მიმართა განათლების სამინისტროს, რომ გამოყონ ქართული სოფლების მოსწავლეების წიგნების შესაძენად დაახლოებით 2500 ლარი. მივწერეთ სამინისტროს და ველოდებით.

**- რა რესურსები არსებობს რაიონის განვითარებისთვის?**

- რესურსები ნამდვილად არსებობს. საბჭოთა კავშირის დროს ქვეყანას ბევრი რამით ვამარაგებდით - ცნობილი ჯავახური კარტოფილიდან დაწყებული, რძის პროდუქტებით დამთავრებული. ახლა ვითხოვთ, რომ რაიონში გაიხსნას პროდუქტების მიმღები ბაზა.

რაიონში გვაქვს ბაზალტის დიდი მარაგი. რუსეთშიც შეიძლება მისი გატანა. ამით შეიქმნებოდა სამუშაო ადგილები, სოციალური მდგომარეობაც თავისთავად გამოსწორდებოდა.

ადრე ჩვენთან წარმოებები მუშაობდა, სხვათა შორის გვქონდა ლუდის ქარხანაც, მშვენიერი ლუდი კეთდებოდა, რადგან ქერი კარგი ხარისხის მოდის და წყალიც გემრიელია. მაგრამ ამას, ყველაფერს, ელექტოენერგია სჭირდება.

**- როგორ მიდის სახელმწიფო ენის სწავლების საქმე?**

- სახელმწიფო ენას ყველა უნდა ფლობდეს. საჭიროა სპეციალური პროგრამები და გამარტივებული სახელმძღვანელოები. ძალიან გვინდა, რომ იყოს ქართული ტელევიზია. მხოლოდ "იმედს" ვიჭერთ და ისიც მხოლოდ ქალაქში. სკოლებში დაიწყო ქართული ენის სწავლება. ჩემი შვილებიც სწავლობენ ქართულს, ხაშურელი მასწავლებელი ჰყავთ. მინდა, ბავშვებმა კარგად იცოდნენ სახელმწიფო ენა. მე რუსეთში მაქვს უმაღლესი დამთავრებული, ამიტომ ქართულად ვერ ვსაუბრობ. თორემ რატომ უნდა ვსაუბრობდეთ ჩვენ ახლა მესამე ენაზე, არ ჯობდა, ქართულად გვესაუბრა?



ლალი ნიკოლაევას ფოტო

*მე რუსეთში მაქვს უმაღლესი დამთავრებული, ამიტომ ქართულად ვერ ვსაუბრობ. თორემ რატომ უნდა ვსაუბრობდეთ ჩვენ ახლა მესამე ენაზე, არ ჯობდა, ქართულად გვესაუბრა?*


**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის განცხადება!**

საქართველოში არსებული ყველა ტიპის (სახელმწიფო და კერძო) დაწყებითი (პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები) და საშუალო პროფესიული (ტექნიკუმები, კოლეჯები) სასწავლო დაწესებულების დირექტორების საყურადღებოდ:

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მოგმართავთ თხოვნით, მიმდინარე წლის 31 ოქტომბრამდე წაიღოთ ანკეტა-კითხვარის ბლანკები, რომელთა შევსება აუცილებელია აბიტურიენტების მონაცემთა ბაზის შესაქმნელად.

მისამართი: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) ქუჩა N 60

ტელ.: 95 25 88
96 80 78

**სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"**

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**
**ტელ: 32 21 21**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

**თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11**

# ქართულ-სომხური კოლეგია

ამიერიდან საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სამართალდამცველები თვეში ერთხელ მაინც შეიკრიბებიან და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებსა და ერთობლივ გეგმებზე ისაუბრებენ. გუშინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სწორედ სომხეთის რესპუბლიკის პოლიციისა და საქართველოს შს სამინისტროს შორის ერთობლივი კოლეგიის შექმნის შესახებ დოკუმენტაციას მოეწერა ხელი. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ირაკლი ოქრუაშვილმა და საქართველოში ვიზიტად მყოფმა სომხეთის პოლიციის სამმართველოს უფროსმა აიკ არუთინიანმა.

**"ერთობლივი კოლეგია მოსაზღვრე რეგიონებში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას შეუწყობს ხელს. ერთობლივი კომისია საშუალებას მოგვცემს, ეფექტიანად ვებრძოლოთ საქართველოსა და სომხეთის სასაზღვრო რაიონებში დანაშაულის აღკვეთას. იმუშავებენ ჯგუფები, ხოლო კოლეგია თვეში ერთხელ მუშაობის შედეგებზე იმსჯელებს. ორ ქვეყანას შორის ამგვარი თანამშრომლობა ავტომანქანების უკანონო გადაყვანისა და ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას გაზრდის,"** - ასე აფასებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ქართულ-სომხური ერთობლივი კოლეგიის შექმნას.



*ერთობლივი კოლეგია 18-წევრიანი იქნება და ის ქართული და სომხური მხრიდან თანაბარი რაოდენობით - ცხრა-ცხრა წევრით დაკომპლექტდება.*

ირაკლი ოქრუაშვილის განმარტებით, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ერთობლივი კოლეგია 18-წევრიანი იქნება და ის ქართული და სომხური მხარეებიდან თანაბარი რაოდენობით - ცხრა-ცხრა წევრით დაკომპლექტდება.

სომხეთ-საქართველოს ძალოვანი უწყებების კოლეგიის პირველი სხდომის გამართვის კონკრეტული თარიღი ჯერ დანიშნული არ არის, თუმცა, ცნობილია ის, რომ ერთობლივი კომისიის პირველი სხდომა დეკემბერში გაიმართება.

*24 საათი*

## მზადდებოდა თუ არა ტერაქტი „აჭარა მიუზიკ-ჰოლში"?

*მიუხედავად იმისა, რომ "აჭარა მიუზიკ-ჰოლის" ერთ-ერთ ოთახში იარაღს უშულოდ ორი ქვეყნის პრეზიდენტის სტუმრობის წინ მიაგნეს, ქართველმა სამართალდამცველებმა, შეფასებებისას, უჩვეულო სიფრთხილე გამოიჩინეს და მომხდარისთვის ტერაქტის მზადების კვალიფიკაცია არ მიუციათ.*

როგორც ცნობილია, "აჭარა მიუზიკ-ჰოლში" საქართველოს და სომხეთის პრეზიდენტების მისვლამდე ცოტა ხნით ადრე, პრეზიდენტის დაცვის სამსახურმა, შენობის დათვალიერებისას, დირექტორის კაბინეტის გვერდით, სასაწყობე ოთახში სნაიპერის ორ შაშხანას, ერთ "კალაშნიკოვის" ავტომატს და ტყვია-წამალს მიაგნეს. აღმოჩენამ "აჭარა მიუზიკ-ჰოლში" გაუთვალისწინებელი სტუმრების სიმრავლე გამოიწვია. კერძოდ, ოპერატიულ-სამძებრო მუშაკთა გარდა, გასართობ დაწესებულებას, საქმეში გასარკვევად, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებიც ესტუმრნენ, თუმცა, განსაკუთრებული კომენტარები მათ არ გაუკეთებიათ. საბოლოოდ, კონცერტი პრეზიდენტებისთვის, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც გაიმართა – როგორ სამართალდამცველები ირწმუნებიან, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მიმდინარეობის პარალელურად. თუმცა, რა შედეგებითა და მტკიცებულებებით დატოვეს სამართალდამცველებმა ამ ღონისძიებების ჩატარების შემდეგ მიუზიკ-ჰოლი, ჯერჯერობით, უცნობია. უშიშროების სამინისტროში, სადაც მომხდარის გამო საქმე აღიძრა, კომენტარის გაკეთებას თავს არიდებენ და დასკვნებს გამოძიებას ანდობენ.

თავად "აჭარა მიუზიკ-ჰოლის" მესვეურთა პოზიცია ცნობილია. გასართობი დაწესებულების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ წარმოდგენა არ აქვთ, როგორ მოხვდა საკმაოდ სერიოზული იარაღი სასაწყობე ოთახში, რომლის კარიც საერთოდ არ იკეტება.

ფაქტია, რომ "აჭარა მიუზიკ-ჰოლში", ჯაზური მუსიკის კონცერტზე ჯაზის მოყვარული სომხეთის პრეზიდენტის დასწრება, მისი ქართველი მასპინძლის სიურპრიზებს შორის არ ყოფილა. ეს ღონისძიება პრეზიდენტის ვიზიტის დღის წესრიგში წინასწარ იყო ჩასმული და, შესაბამისად, დაცვის სამსახურის ტრადიციული შემოვლა, რომელიც პრეზიდენტის სტუმრობას ყველგან წინ უსწრებს, წინასწარ დაგეგმილი გახლდათ. საეჭვოა, რომ ეს არ სცოდნოდა "აჭარა მიუზიკ-ჰოლის" არა მარტო ხელმძღვანელობას, არამედ ჩვეულებრივ რიგით თანამშრომელსაც. ამიტომ, იქ რომ სხვა დროს რამე უკანონო კიდეც ხდებოდეს ან ინახებოდეს, პრეზიდენტების სტუმრობის წინ სწორედაც რომ ამ ყველაფრის მიჩქმალვასა და გადამალვას შეეცდებოდნენ და არა სააშკარაოზე გამოტანას. აქედან გამომდინარე, მომხდარი მრავალ ეჭვს და კითხვას ბადებს, რომლებზე პასუხის გაცემაც, ისევ სამართალდამცველ ორგანოებს მოუწევთ.

*24 საათი*

# წინასწარი პატიმრობა, როგორც არა უკიდურესი, არამედ აუცილებელი ზომა

"ყვარყვარეს ციხეები" XXI საუკუნის საქართველოში

*არასამთავრობო ორგანიზაციები დღეს უკვე ღიად აცხადებენ, რომ ქართული საპყრობილეები "ყვარყვარეს ციხეებს" დაემსგავსა. ამის მიზეზი არის წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანებით გადატვირთული საკნები, თუმცა ყველა პატიმრის იზოლაციაში ყოფნა, ხშირ შემთხვევაში, აუცილებლობას არ წარმოადგენს. კანონით მკაცრად განსაზღრული მოთხოვნა, რა შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული უკიდურესი ფორმა - წინასწარი პატიმრობა - საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებს დიდი ხანია, აღარ ახსოვთ.*

თამარ კაციტაძე

სხვათა შორის, ამას აღიარებს იუსტიციის მინისტრი, რომელმაც წინასწარ პატიმრობაში მყოფი ორასზე მეტი პატიმრის საქმის ხელახალი გადასინჯვა მოითხოვა; აღიარებს თვით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც, რომელმაც წინასწარი პატიმრობის პრობლემას სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა და მოსამართლეებს პირდაპირ მიუთითა, რომ წინასწარი პატიმრობის ფორმა მხოლოდ და მხოლოდ კანონის დაცვით, უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენონ. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ დღემდე არაფერი შეცვლილა და პრობლემაც პრობლემად რჩება.

საოლქო სასამართლო ამ დღეებში კიდევ ერთხელ იმსჯელებს, დარჩეს თუ არა წინასწარ პატიმრობაში საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე მერაბ ახობაძე, რომელსაც, თავდაპირველად შუალედური აქტის საფუძველზე, ბიუჯეტისათვის 4 170 ლარის ზარალის მიყენებაში ედებოდა ბრალი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის მესამე ნაწილით, "აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული დაემალება გამოძიებასა და სასამართლოს, ხელს შეუშლის სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, ანდა თუ ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული". ამასთან, იმავე კოდექსის 154 მუხლით "აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ითვალისწინებს წაყენებული ბრალდების სიმძიმეს, ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს".

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში დაკავებული იყო 60 წლის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის სისტემის კათედრის პროფესორი, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სექტორის ხელმძღვანელი, პიროვნება, რომელიც სასამართლო რეფორმის განხორციელებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, იუსტიციის საბჭოს წარდგინებით, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და რომლის მუშაობაც თვით დღევანდელი პრეზიდენტის მხრიდან არაერთგზის შეფასდა დადებითად, ამასთან იგი გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, ანუ ჩვენების მიცემაზე უარს არასოდეს ამბობდა და მისი მტკიცებით, არც ქვეყნიდან გაქცევაზე უფიქრია, გენპროკურატურის არცთუ არგუმენტირებული მოთხოვნა სასამართლომ მაინც დააკმაყოფილა და მას სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

**"სამთვიანი გამოძიება კი იმით დასრულდა, რომ პროკურატურამ ის შუალედური აქტი, რომელიც საფუძვლად დაედო ახობაძის დაპატიმრებას, ფაქტობრივად, თავადვე გააბათილა",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში მერაბ ახობაძის ადვოკატმა თამაზ რუსაძემ.

გამოძიების მასალებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ 4 170 ლარის გადასახადი ბიუჯეტს 2001 წელს შპს "მზესთან" დადებული ხელშეკრულების მეშვეობით დააკლო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებული თანხა შეგროვილია ცხრა ეპიზოდიდან, ანუ, პროკურატურის მტკიცებით, ახობაძემ ცხრა სხვადასხვა გადარიცხვიდან ბიუჯეტს ჯერ 59 ლარი დაუმალა, შემდეგ 100 და აშ.

**"როგორც კონტროლის პალატის რევიზიით დადგინდა, საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და შპს "მზეს" შორის აპარატურის მიწოდების შესახებ გაფორმებული იყო სამწლიანი ხელშეკრულება. მართალია, მხოლოდ 2001 წლის დოკუმენტაციის შემოწმებით გარკვეული ფინანსური დარღვევა მართლაც დაფიქსირდა, მაგრამ მომავალში იგი გამოსწორებულია და მთლიანობაში დადგინდა, რომ აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ოპერაცია აბსოლუტურად კეთილსინდისიერად არის შესრულებული. ბიუჯეტს კი აქედან არც ერთი კაპიკი არ უზარალია",** - ამბობს ადვოკატი.

კონტროლის პალატის რევიზიის აქტი ახობაძის დაცვის მხარემ სასამართლოში გაასაჩივრა.

**"თუ არ არსებობს დარღვევა, ესე იგი არ არსებობს დანაშაული და აქედან გამომდინარე, ადამიანის პატიმრობის საფუძველიც, ამიტომ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს ახობაძის პატიმრობის გაუქმების მოთხოვნით მივმართეთ",** - აღნიშნა რუსაძემ.

იმავე პერიოდში საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ პრეზიდენტს და გენერალურ პროკურორს წერილობით მიმართა და სთხოვა, მისი საქმით დაინტერესებულიყვნენ, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად გამოძიება მას ახალ ბრალდებას წარუდგენდა.

**"სწორედ იმ დღეს, როდესაც მთაწმინად-კრწანისის რაიონის სასამართლოს ჩვენი სარჩელი უნდა განეხილა, გამომძიებელმა ახობაძეს ახალი ბრალდება წაუყენა. ამჯერად საქმე ეხება სასამართლოების მოსაკრებლის და ჯარიმების თანხას, სულ 280 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც თითქოსდა საერთო სასამართლოების ანგარიშზეა ჩარიცხული. ამის გამო პროცესი გადაიდო",** - ამბობს ადვოკატი.

რუსაძის თქმით, კანონის თანახმად, აღნიშნული თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა ჩარიცხულიყო და არა სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც ამას პროკურატურა ამტკიცებს. როგორც ადვოკატი აღნიშნავს, გამოძიებას ამ ეტაპზე არც იმის დამადასტურებელი მასალები გააჩნია, ნამდვილად ჩაირიცხა თუ არა დეპარტამენტის ანგარიშზე დასახელებული მოსაკრებლების და ჯარიმების თანხა ან სად წავიდა იგი. ამასთან, არ არის გარკვეული რატომ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა საერთო სასამართოების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, როცა აღნიშნული თანხების სწორ მისამართზე ჩარიცხვის უზრუნველყოფა თავად რაიონული სასამართლოების პრეროგატივაა.

ერთი სიტყვით, მერაბ ახობაძის საქმესთან დაკავშირებით დაცვის მხარეს უამრავი კითხვის ნიშანი გააჩნია, პროკურატურა კი ამ საკითხზე დუმილს არჩევს: ჩვენს თხოვნაზე, კომენტარი გაეკეთებინათ ახობაძის ადვოკატის პრეტენზიებზე, პასუხად უარი მივიღეთ – ახობაძის საქმეზე საუბარი არ გვსურსო.

ამასობაში რაიონულმა სასამართლომ, პროკურატურის მოთხოვნით, მერაბ ახობაძეს წინასწარი პატიმრობა კიდევ სამი თვით გაუგრძელა, რაც ამჟამად საოლქო სასამართლოშია გასაჩივრებული. გაითვალისწინებს თუ არა საოლქო სასამართლო ახობაძის დაცვის მხარის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის თავისუფლებაში ყოფნა საშიში არ არის, ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, რომ მისი დაცვის მხარე ახობაძის დაპატიმრებას გამოძიების მხრიდან სხვა ინტერესით ხსნის: **"მერაბ ახობაძის პატიმრობა საკმაოდ საეჭვოა. გამოძიებას აშკარად სხვა ინტერესი აქვს, მაგრამ რა, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებენ,"** - ამბობს ადვოკატი.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი ..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........

საკონტაქტო ტელეფონი..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

*ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს "ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს მხოლოდ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.*

# რას ელის საზოგადოება ხელისუფლებისგან

## ენერგოსექტორის რეფორმირება მოსახლეობის უმეტესობისთვის კორუფციისა და ენერგოდეფიციტის აღმოფხვრასთან ასოცირდება

*მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ენერგოსექტორის რესტრუქტურიზებას მიჰყო ხელი, უკვე ათი წელი გავიდა. რესტრუქტურიზაციის მიზანი თავიდანვე დარგის რენტაბელურ ბიზნესად ქცევა იყო, რისი წინაპირობაც იმთავითვე აღრიცხვიანობის მოწესრიგება იყო. სწორედ ამ საკითხის მოსაგვარებლად (და ელექტროსადგურების შესაკეთებლად) დაიწყეს დონორებმა ფულის გამოყოფა ქართული ენერგეტიკისთვის. თუმცა, აღრიცხვიანობის მოწესრიგება, სინამდვილეში, მხოლოდ "თელასში" მოხერხდა და ისიც არა დონორების, არამედ ინვესტორების მიერ გაღებული იმ თანხებით, რომლის გასტუმრებაც დღემდე, დენის გაზრდილი ტარიფის მეშვეობით ხორციელდება. ენერგოსექტორის პრობლემად ამ დრომდე იგივე დარჩა, რაც თავიდანვე იყო. კერძოდ, დარგში აღრიცხვიანობა ჯერ ისევ მოუწესრიგებელია და ამ პრობლემის გადასაჭრელად ქვეყანა ისევ და ისევ დონორების დახმარებას საჭიროებს. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) თანხებით "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" რეგიონების გამრიცხველიანება მხოლოდ წელიწადნახევარია, რაც დაიწყო, მაგრამ დღეისთვის კომპანიამ ელექტროენერგიის საფასურის ამოღება, ჯერჯერობით, მხოლოდ 10-12 პროცენტით გაზარდა. ბუნებრივია, ეს ვითარების გაუმჯობესებისთვის საკმარისი არ არის. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შედეგის მისაღწევად კომპანიას დრო კიდევ დასჭირდება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ენერგორეფორმების დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი.*

საზოგადოებამ არ იცის ტარიფი, არ აინტერესებს ინფორმაცია ენერგეტიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, თვლის, რომ სისტემა უსაშველოდ კორუმპირებულია, ენერგომომარაგების შეწყვეტის და მაღალი ტარიფის გამო არ აპირებს პროტესტის გამოთქმას და ამბობს, რომ გაზრდილ ტარიფებს ვერ გადაიხდის...

ნებისმიერი რეფორმის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხდება საზოგადოების მომზადება ამ რეფორმისთვის, რამდენად ადეკვატური იქნება საზოგადოების ქცევა და მისი აღქმა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია საზოგადოების როლი ენერგეტიკაში, რადგან ეს სფერო ქვეყნის აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს უშუალოდ ეხება.

როგორ აფასებს საზოგადოება ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესებს, რა მოცულობით და რამდენად სრული ინფორმაცია აქვს მას სფეროში შექმნილ რეალურ ვითარებაზე, რამდენად ახერხებს საკუთარი როლის სწორად განსაზღვრას ამ პროცესში? როგორია მოსახლეობის ჩვევები ელექტროენერგეტიკულ სექტორთან დაკავშირებით? როგორია მათი დამოკიდებულება რეფორმების მიმართ? ამ კითხვებზე საპასუხოდ BCG Research-მა წელს მარტში საგანგებო კვლევა ჩაატარა. ჯგუფმა თბილისში, გორში, რუსთავში, ფოთში, ზუგდიდში, ახალციხესა და ქუთაისში პირდაპირი ინტერვიუს მეთოდით 1200 რესპონდენტი - 18 წელზე მეტი ასაკის მქონე მოსახლეობა გამოკითხა და აი, რა შედეგები მიიღო:

### ძირითადი პრობლემები

რესპონდენტთა მიერ დასახელებული საერთო ენერგეტიკული პრობლემების ათეული მთლიანად საქართველოსთვის ასე გამოიყურება:

1. სისტემა არის კორუმპირებული - 76,8 პროცენტი;
2. ელექტროენერგიის ტარიფი არის ძალიან მაღალი - 48,3 პროცენტი;
3. ადგილობრივი ელექტროსადგურები არ არის ამუშავებული მთელი დატვირთვით - 43,3 პროცენტი;
4. სისტემის ტექნიკური მდგომარეობა - 34,2 პროცენტი;
5. ელექტროენერგიის არასწორი განაწილება - 31,6 პროცენტი;
6. ენერგოდეფიციტი - 30,5 პროცენტი;
7. სახელმწიფომ დაკარგა კონტროლი - 27,3 პროცენტი;
8. დაბალი გადახდისუნარიანობა - 25 პროცენტი;
9. სტრატეგიული დარგი გადაეცა უცხოელებს - 23,5 პროცენტი;
10. სისტემაში პროფესიონალიზმის დაბალი დონეა - 20 პროცენტი.

### დარგში გამეფებული კორუფცია

საზოგადოების მიერ ელექტროენერგეტიკული სექტორის მთავარ პრობლემად კორუმპირებულობაა მიჩნეული, რაც, გამოკითხულთა აზრით, ტარიფების სიდიდის და არასტაბილური ენერგომომარაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. 11-ბალიანი შეფასების შედეგად კორუმპირებულთა პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიკვეთა:

1. ენერგეტიკის სამინისტრო - 8 ქულა,
2. საბითუმო ბაზარი - 7,5 ქულა,
3. სემეკი - 7,4 ქულა,
4. გადასახდელი პუნქტი - 4.9 ქულა,
5. ინკასატორი - 5,7 ქულა,
6. ქვესადგური - 5 ქულა,
7. სადისტრიბუციო კომპანია - 6,5 ქულა,
8. საქენერგო - 7,6 ქულა,
9. ადგილობრივი ხელისუფლება - 6,1 ქულა,
10. პარლამენტი - 5 ქულა,
11. პრეზიდენტი - 2,5 ქულა.

თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის თანახმად, საზოგადოების დამთრგუნველი უმრავლესობა არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას არც ენერგეტიკული რეფორმის მიმდინარეობის, არც ცალკეული სტრუქტურების ზუსტი ფუნქციების შესახებ და, მაგალითად, გამოკითხვის შედეგად შედგენილ ენერგოტარიფების განმსაზღვრელთა ნუსხაში ვის არ მოიძიებთ - პრეზიდენტს, ენერგეტიკის სამინისტროს, პარლამენტსა თუ ლეიბორისტულ პარტიას.

კვლევის შედეგების გადახედვისას აშკარა ხდება, რომ საზოგადოება ამ კორუფციულ წრედში საკუთარ როლს ვერ აცნობიერებს.

### ელექტროენერგიის დატაცება

საინტერესოა რესპონდენტთა პოზიცია ელექტროენერგიის მიტაცებასთან დაკავშირებით. საზოგადოება, რომელიც ხმამაღლა საუბრობს კორუფციაზე, ტაშისკვრით ეგებება დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის იდეას და ხშირად საკმაოდ მკაცრი ზომების მომხრეა დამნაშავეებისადმი, ელექტროენერგიის მიტაცებასთან დაკავშირებით კვლევის მიხედვით ასეთ პოზიციას აფიქსირებს:

გამოკითხულთა 68,6 პროცენტს მიაჩნია, რომ ელექტროენერგიის მიტაცებისთვის უნდა იყოს დაწესებული ფულადი ჯარიმა, 31,3 პროცენტი კი ასეთი სადამსჯელო ზომის კატეგორიული წინააღმდეგია.

გამოკითხულთა 58,3 პროცენტს "იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო არ ზრუნავს თავის მოქალაქეებზე, ელექტროენერგიის მიტაცება არ მიაჩნია დანაშაულად" და მხოლოდ 41,7 პროცენტი თვლის, რომ დატაცება ნებისმიერ შემთხვევაში დანაშაულია.

დაახლოებით იგივე თანაფარდობით (57,8 პროცენტი 42,1 პროცენტის წინააღმდეგ) იზიარებენ გამოკითხულები პოზიციას, რომ "ელექტროენერგიის მიტაცება ჩვენს ქვეყანაში არ არის დანაშაული, ვინაიდან მაინც კორუმპირებული ჩინოვნიკების ჯიბეში მიდის თანხა".

კიდევ უფრო მეტი ადამიანია მზად, წავიდეს მორალურ დანაშაულზე: გამოკითხულთა 66 პროცენტი თვლის, რომ "ელექტროენერგის მიტაცება მორალური თვალსაზრისით არ არის გამართლებული, მაგრამ არ უნდა ისჯებოდეს, ვინაიდან ქვეყანაში მძიმე სოციალური მდგომარეობაა".

ამ პასუხების პარალელურად იმედისმომგვრელად ჩანს ის ფაქტი, რომ მხოლოდ 37 პროცენტი თვლის, რომ მის მიერ "ელექტროენერგიის მიტაცება დიდს ვერაფერს შეცვლის, ვინაიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი იპარავს".

და ზემოთ მოწოდებული პასუხების ფონზე საკმაოდ უცნაურია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 81,2 პროცენტი აცხადებს, რომ "ელექტროენერგიის მიტაცება იგივე ქურდობაა და იგი კანონით უნდა ისჯებოდეს ".

საბოლოო ჯამში, ელექტროენერგიის მიტაცებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხები ცხადყოფს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დენის მოპარვას სოციალური მდგომარეობით და ჩინოვნიკთა კორუმპირებულობით ხსნის და ამ ქმედებას ქურდობად არ განიხილავს, რაც ერთმნიშვნელოვნად დამაფიქრებელია.

### ელექტროენერგიის ტარიფი

გამოკვლევის შედეგად გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობამ არ იცის მოწოდებული ელექტროენერგიის (80 პროცენტზე მეტი) თვითღირებულება. მეტიც - არა მხოლოდ თვითღირებულების, არამედ თავად ტარიფის შესახებაც ზუსტი ინფორმაცია არ აქვს გამოკითხულთა 2/3-ს. გამონაკლისია მხოლოდ ქალაქი ზუგდიდი.

კვლევის თანახმად, გამოკითხვის პერიოდის მონაცემების მიხედვით, ენერგომომარაგების ყველაზე ცუდი სურათია ზუგდიდში. კვლევის ავტორთა აზრით, შესაძლოა აქედან მომდინარეობდეს ენერგომომარაგებისა და გაზმომარაგების სისტემებისადმი ზუგდიდელების გამორჩეული დამოკიდებულება - რესპონდენტებისათვის არასასურველი მდგომარეობის დროს გაზრდილია მათ ინტერესი და, შესაბამისად, მაღალია სისტემების მუშაობის შესახებ ცოდნის დონე.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი - მიუხედავად იმისა, სწორია თუ არა რესპონდენტების მიერ მოპოვებული ცნობები, რესპონდენტები თვლიან, რომ მათ აქვთ ზუსტი ინფორმაცია ენერგომომარაგების სისტემის მუშაობის შესახებ. ზუგდიდელი რესპონდენტების პასუხებში შეიმჩნევა რადიკალიზმი: მათი უმრავლესობა დასმულ შეკითხვას ყოველთვის ერთნაირად - ან მკვეთრად დადებითად, ან მკვეთრად უარყოფითად უდგება.

რაც შეეხება საქართველოს მასშტაბით მიღებულ შედეგებს - კვლევის ავტორთა აზრით, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ მომხმარებლებს უბრალოდ არ აინტერესებთ დენის თვითღირებულება, მათ აინტერესებთ მხოლოდ ტარიფი, ანუ საკითხი, რომელიც უშუალოდ მათ ეხება და პირდაპირ უკავშირდება მათ ეკონომიკურ მდგომარეობას.

რაც შეეხება თავად ტარიფთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობას - კვლევის ავტორთა აზრით, ეს, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ორი მიზეზით:

გადამხდელებს აქვთ მაღალი შემოსავალი, რაც საშუალებას იძლევა არ გააკეთონ ეკონომია (რაც ალბათ ძალიან მცირედ ფენას თუ ეხება);

და მეორე: (რაც უფრო რეალობასთან ახლოს უნდა იყოს) მომხმარებელი რაიმე გზით თავს არიდებს გადასახადის ტარიფის მიხედვით გადახდას და იხდის ან საცხოვრებელი ფართის, ან სულადობის მიხედვით. ერთი სიტყვით - იპარავს.

### მოსახლეობის გადახდისუნარიანობა

გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტების მიერ ელექტროენერგიის მოხმარება მრიცხველის ჩვენების მიხედვით ხდება. გამონაკლისია რესპონდენტების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა.

გამოკითხულთა 90 პროცენტზე მეტი პასუხობს, რომ გადახდის მათთვის სასურველი ფორმა სწორედ მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადახდაა.

ასეთი გადახდის მიზეზად სახელდება შემდეგი: "რათა გაუმჯობესდეს ელექტრომომარაგება და გაზმომარაგება".

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ თუ მოხდება ზუსტი აღრიცხვა და, შესაბამისად, საფასურის სრული გადახდა, ამით შესაძლებელია ენერგოკრიზისის დაძლევა.

მოსაზრებას ამყარებს რესპონდენტების მოსაზრება, რომ "საქართველოში ელექტროენერგია ძვირია, რადგან კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები არ იხდიან მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს".

ამასთან, საინტერესოა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, რომ ელექტროენერგიის გაიაფების შემთხვევაში დახარჯავს იგივე რაოდენობას, თუმცა - გადაიხდის ნაკლებს.

ეს პასუხი სოციოლოგიური კვლევების ავტორებს აძლევს საშუალებას დაასკვნან, რომ რესპონდენტების მიერ დღეს მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა თითქმის შეესაბამება მათ მოთხოვნილებებს და არ ხდება განსაკუთრებული ეკონომია. მოსახლეობისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თანხის ეკონომია და მეორეხარისხოვანი - ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მოხმარების რაოდენობის გაზრდა.

რაც შეეხება ტარიფის შესაძლო დიფერენციაციას - რესპონდენტების უმრავლესობა (57 პროცენტი) ამბობს, რომ ელექტროენერგიაზე ყველასათვის ერთი და იგივე ტარიფი უნდა არსებობდეს. ტარიფის დიფერენციაციის მომხრე მხოლოდ რესპონდენტების მცირე ნაწილია და ისინი თვლიან, რომ მაღალი გადასახადი მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოებისთვის უნდა იყოს დაწესებული.

სხვათა შორის, ეს პასუხი საკმაოდ სიმპტომატურია პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მოსახლეობისთვის, ანუ მოსახლეობისთვის, რომელიც ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რომ საწარმოებისთვის ტარიფის გაზრდა ირიბად საბოლოო ჯამში სწორედ მას - წარმოებული პროდუქციის მომხმარებელს უძვირებს ცხოვრებას.

საინტერესოა ისიც, რომ რესპოდენტების უმრავლესობის განცხადებით (62 პროცენტზე მეტი), თუ ისინი აღმოჩნდებიან მაღალ ტარიფსა და 24 საათიანი ენერგომომარაგების არჩევანის წინაშე, 24 საათიან ელექტრომომარაგებას აირჩევენ. ეს შედეგი იძლევა ერთგვარად დასკვნის გაკეთების საშუალებას იმასთან დაკავშირებით, რომ მომხმარებელთა 62 პროცენტს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსები, რათა გაზრდილი ტარიფი დაფაროს, თუმცა საინტერესოა, რომ თავად რესპოდენტები 24 საათიანი ენერგომომარაგების შემთხვევაში მათ მიერ გადახდილი თანხის მაქსიმალურ ზღვრად რეალურ ფასებთან შედარებით საკმაოდ მიზერულ თანხებს ასახელებენ:

გამოკითხულ რესპოდენტთა 4,8 პროცენტი ამბობს, რომ 24 საათიანი ენერგომომარაგების შემთხვევაში იმ თანხის მაქსიმუმი, რომლის გადახდასაც შესძლებდა მისი ოჯახი, არის 5 ლარამდე. რესპოდენტთა 24,1 პროცენტის აზრით - 10 ლარი. 15,7 პროცენტი ასახელებს 15 ლარს, 17,6 პროცენტი - 20 ლარს და მხოლოდ 5,5 პროცენტი ასახელებს მაქსიმალურად შესაძლებელ თანხას - 30 ლარს.

კიდევ უფრო მიზერულია რესპონდენტების უმრავლესობის მიერ დღემდე, მაგალითად, ზამთრის სეზონში გადახდილი თანხები, განსაკუთრებით კი თბილისის მიღმა "დარჩენილ" საქართველოში:

თბილისში ზამთარში 5 ლარამდე გადასახადს ელექტროენერგიისთვის მომხმარებელთა 9,1 პროცენტი იხდის, 10 ლარამდე - 18 პროცენტი, 15 ლარამდე - 38,5 პროცენტი, 20 ლარამდე - 14,3 პროცენტი.

გორში 5 ლარს იხდის - 21,3 პროცენტი, 10 ლარამდე - 35 პროცენტი, 15 ლარამდე - 19,3 პროცენტი, 20 ლარამდე - 15 პროცენტი. მსგავსი სიტუაციაა რუსთავში.

სამაგიეროდ, ფოთში 5 ლარამდე იხდის მოსახლეობის 64 პროცენტი, 10-მდე - 21 პროცენტი და მეტის გადამხდელი კი საერთოდ არ დაფიქსირებულა ისევე, როგორც ახალციხეში. ქუთაისში 30 პროცენტი 15 ლარამდე გადასახადს "სწვდება", ზუგდიდში კი გამოკითხულთა სრული უმრავლესობის - 84 პროცენტზე მეტის გადახდილი თანხა 5 ლარს არ აჭარბებს.

ცოტა განსხვავებულია სიტუაცია წყლის გამაცხელებლებთან და ოთახის გამათბობლებთან დაკავშირებით: წყლის გაცხელებასა და გათბობაზე ოჯახის მიერ საშუალოდ გაწეული ხარჯი ქალაქების მიხედვით ასე განაწილდა: თბილისი - 59,9 ლარი, გორი - 34,8 ლარი, რუსთავი - 35.9 ლარი, ფოთი - 44,8 ლარი, ზუგდიდი - 38,7 ლარი, ახალციხე - 186,3 ლარი, ქუთაისი - 72 ლარი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 64 პროცენტს არ აქვს წყლის გამაცხელებელი მოწყობილობა, 30 პროცენტს კი არ აქვს ოთახის გამათბობელი.

### პოსტ-საბჭოური მოტივები

კვლევის შედეგები ზოგადად ცხადყოფს, რომ საზოგადოება ახალი საბაზრო ურთიერთობების წესზე ჯერ კიდევ არ გადაწყობილა. ამის მაგალითად გამოკითხულთა უმრავლესობის მტკიცებაც გამოდგება. კერძოდ, ისინი აცხადებენ, რომ სოციალურად დაუცველ ფენაზე მხოლოდ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, ხოლო კერძო სექტორს ამ მხრივ არავითარი ვალდებულება არ გააჩნია.

სავარაუდოდ, ასეთი ხედვის ლოგიკური შედეგი უნდა იყოს ის, რომ დღეს კერძო სექტორში დასაქმებულ ადამიანთა უმრავლესობის სოციალური უფლებები აბსოლუტურად დაუცველია. საქართველოში დაქირავებული ვერ აცნობიერებს, რომ მისი დამქირავებლის მიერ სოციალური გადასახადების გადახდა მისივე სოციალურ დაცვას უნდა მოემსახუროს. სავარაუდოდ, სწორედ ასეთი მიდგომაა ქვეყანაში საპენსიო ფონდების განუვითარებლობის ერთ-ერთი მიზეზი და სწორედ ამის შედეგია, რომ ქართული კერძო კომპანიების უმრავლესობას პრაქტიკულად არ აქვს სოციალური ან ჯანდაცვის პროექტები, რითიც ყოველთვის გამოირჩევა ხოლმე წარმატებული უცხოური კომპანიები.

კიდევ ერთი დეტალი - ყველა ქალაქში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ ენერგოსექტორი სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს. მათი აზრით - "საქართველოში ელექტროენერგია ძვირია, რამდენადაც ენერგოსისტემა კერძო სტრუქტურების ხელშია, სახელმწიფოს ხელში უფრო იაფი იქნებოდა". ეს ნიშნავს, რომ საქართველოში გასატარებელი ენერგეტიკული რეფორმების არსი მოსახლეობისთვის, შესაძლოა, მეტად მტკივნეულად აღსაქმელი აღმოჩნდეს. ეს კი, თავის მხრივ, რეფორმების პროცესში დამატებით თავსატეხს წარმოშობს.

აქვე იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ, რესპონდენტთა 50 პროცენტზე მეტის აზრით, უნდა არსებობდეს რამდენიმე სადისტრიბუციო კომპანია და ეს ფაქტი თავისთავად გამოიწვევს კონკურენციას: ყველა მათგანი ეცდება მომხმარებელს შესთავაზოს უკეთესი პირობები. მათი აზრით, რამდენიმე სადისტრიბუციო კომპანიის არსებობის შემთხვევაში, თითოეული მათგანი შეეცდება, თავის მომხმარებელს უკეთესი პირობები შესთავაზოს, რაც საბოლოოდ მათ ჯანსაღი კონკურენციისკენ უბიძგებს და ეს ხალხისთვის მომგებიანი აღმოჩნდება.

### პროტესტის გრძნობა

საგულისხმო დეტალი - მიუხედავად იმისა, რომ ენერგომომარაგება საქართველს მასშტაბით 2004 წლისთვის კარდინალურად არ გაუმჯობესებულა, "ნარევოლუციონარ" საქართველოში საზოგადოების პროტესტის გრძნობა აშკარად შესუსტებულია. გამოკითხვის თანახმად, ელექტროენერგიის შეწყვეტის, ან მისი ტარიფის მომატების შემთხვევაში, აქტიურ საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მიღებას გამოკითხულთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა (60 პროცენტზე მეტი) არ გეგმავს. გამონაკლისია პროტესტის გამოხატვის ისეთი მსუბუქი ფორმები, როგორიცაა: "ჩემს აღშფოთებას გავუზიარებ ახლობლებს" (60 პროცენტამდე), "ხელს მოვაწერ საპროტესტო წერილს-მიმართვას" (54 პროცენტამდე).

პროტესტის გამოთქმის შედარებით მწვავე ფორმებზე, კვლევის თანახმად, გამოკითხულთა მესამედზე ნაკლები ფიქრობს.

მეტიც - საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი არა თუ არ აპირებს პროტესტის გამოთქმას, მას საერთოდ არ აინტერესებთ ინფორმაცია ენერგოსექტორში მიმდინარე რეფორმებსა და მოვლენებზე (გამონაკლისია ზუგდიდი, რომელზეც ცალკე უკვე ვისაუბრეთ). კერძოდ, საქართველოს მასშტაბით გამოკითხულთა 51 პროცენტს არ სურს რაიმე სახის ინფორმციის მიღება ელექტროენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

### დასკვნა

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საზოგადოების მხრიდან საკმაოდ თავშეკავებული შეფასებებისა, ენერგოსექტორის რეფორმირების მიმდინარე პროცესმა უკვე არაერთხელ გამოიწვია საზოგადოების საკმაოდ მკვეთრი აღშფოთება. მაგალითად მაშინ, როცა ურჩ გადამხდელთა შეზღუდვას ქუთაისსა და სამეგრელოში ფართომასშტაბიანი გაფიცვები მოჰყვა; როცა სხვადასხვა ელექტროსადგურებმა "სახელმწიფო ელექტროსისტემის" "სქემიდან ამოგდება" განიზრახეს და როცა ენერგოკრიზისი და ენერგოტარიფი სხვადასხვა ჯგუფებისთვის პოლიტიკური დივიდენდების ასაკრეფ საშუალებად იქცა.

ამ ვითარებაში, საქართველოში კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება რეფორმების კურსისათვის თვალყურის დევნება, რათა სტრატეგიული დარგის ინტერესები კორუფციული ჯგუფების გავლენის სფეროში, ან, თუნდაც, პოლიტიკური ვაჭრობის ეპიცენტრში არ მოექცეს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დარგის ყველა სტრუქტურიდან კორუფციის აღმოფხვრა დარგში მხოლოდ ეფექტური, ოპტიმალური რეფორმის გატარების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებაც და საზოგადოებაც ერთი გარდაუვალი ფაქტის წინაშე აღმოჩნდება: რეფორმირებული ენერგოსტრუქტურები კორუფციული ხვრელების ამოქოლვას და ერთმანეთთან უნისონში მუშაობას ვერ მოახერხებენ, რაც ენერგოდეფიციტის საკუთარი რესურსებით აღმოფხვრას არათუ გაართულებს, არამედ შეუძლებელსაც გახდის.

## სანახევროდ ევროპულად, სანახევროდ თბილისურად



B2

## რამდენიმე მოსაზრება უმაღლესი განათლების კანონპროექტის თაობაზე



B6

## ქალი-რობოტი



B8


გასულ კვირას საქართველოში ეპისტოლარული ჟანრის არნახული აყვავება შეიმჩნეოდა. თანაც ადრესატი ერთი და იგივე გახლდათ — საქართველოს პრეზიდენტი, **მიხეილ სააკაშვილი**. ქართული დოკუმენტური კინოს მესვეურებმაც წერილობით შესჩივლეს თავიანთი საწუხარი და სამოქალაქო საზოგადოების გამოჩენილმა წარმომადგენლებმაც მოაწერეს ხელი ერთი ტექსტის ქვეშ, რომლის თავში საზეიმო შემთხვევის შესაფერისად ანათებდა ორი სიტყვა: "მის აღმატებულებას...". ამაზე საუბარს კიდევ მოვასწრებთ, ეს ღირსშესანიშნავი ტექსტი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა საყოველთაოდ ცნობილი და ადვილად წასაკითხი ანბანით. მე კი მანამდე სულ სხვა წერილზე მოგახსენებთ...

ჯერ ტყუილი მეგონა, მაგრამ მერე გმირთა მოედანზე რომ **კარლო მორეტის** დაპროექტებული თერთმეტსართულიანი სახლია, იმის მცხოვრებლებმა დამიდასტურეს, მართლაც გავიგონეთ ძლიერი აფეთქების ხმაო. ერთი სიტყვით, ორმა რუსულმა მართლმადიდებლურმა საიტმა (www.portal-credo.ru და www.religare.ru) გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის ინფორმაცია:

**ტერორისტებმა სააკაშვილს მისწერეს წერილი ძველქართულ ენაზე "ნუსხური". სააკაშვილს საეკლესიო ენები არ ესმის.**

21 ოქტომბერი, 2004 წელი.

თბილისის ცენტრში, გმირთა მოედანზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალის მახლობლად აფეთქება გაისმა. საქართველოს უშიშროების სამინისტროს ცნობით აფეთქებას მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია, იუწყება "რია ნოვოსტი". ბომბი მიწისქვეშა გადასასვლელში, ნაგავსაყრელ ურნაში იყო ჩადებული. მუხტის სიმძლავრე 400-600 გრამი ტროტილის ეკვივალენტი იყო.

ადგილის დათვალიერების შემდეგ სამართალდამცავები ფრიად გაკვირდნენ, როცა აფეთქების ადგილას ქვეყნის პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისადმი მიწერილი წერილი აღმოაჩინეს წარწერით "სასწრაფო". საქართველოს უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლის, დავით როგავას სიტყვებით, წერილი შედგენილია "ნუსხურით" — ძველქართული დამწერლობის ენაზე.

როგორც თქვა როგავამ, ამჟამად წერილი გადაეცა სპეციალისტს, რომელმაც ის უნდა გაშიფროს. ძველქართული დამწერლობა "ნუსხური" გამოიყენებოდა მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეებში, უპირატესად საეკლესიო ლიტერატურაში.

თარგმანი ზუსტია, ამიტომ მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს, რომ ხშირად არეულია "დამწერლობა" და "ენა" — რუსული "პრავოსლავური" მედიის წარმომადგენლებს ამხელა განსწავლულებას ვერ მოვთხოვთ. მაგრამ საწყენი ისაა, რომ მათ ასეთი უნიჭო თრილერის მოქმედ პირად მიიჩნიეს საქართველოს პრეზიდენტი. ერთი მხრივ, თითქოს რა შუაშია ჩვენი ომბუდსმენური მოვალეობა ამ მედია-კურიოზთან, მაგრამ არც მთლად მასეა საქმე: ხსენებული ამბავი მჭიდროდაა დაკავშირებული "24 საათის" პუბლიკაციათა შემდგომ ბედთან ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, აშკარად გამოხატავს გარკვეული წრეების აფორიაქებას, გამოწვეულს ძველ ტაბუთა მოხსნით, რომლისთვისაც აქამდე დაუღალავად ვიბრძოდით და კვლავაც ვიბრძოლებთ; მეორეც, ადეკვატურია მოვლენათა წაკითხვის იმ დონისა, რომელიც ამ წრეებისთვისაა დამახასიათებელი.

ბოლოდან დავიწყოთ.

გაზეთ "ჯორჯიან თაიმსის" 42-ე ნომერში გამოქვეყნდა "სენსაციური" განცხადება: პატრიარქის ფიზიკურ განადგურებას აპირებენ. აქ, სხვათა და სხვათა სასწაულთა შორის, წერია, რომ "**ერთ-ერთი ინფორმაციის მიხედვით, უწმინდესს შეუტანეს თერთმეტ პუნქტად შედგენილი ულტიმატუმი, სადაც წერია, რომ საქართველოს პატრიარქი არ უნდა ჰყავდეს**". ამ "ულტიმატუმის" წაკითხვა ყველა მსურველს შეეძლო 11 ოქტომბრის "24 საათში", რადგან ეს "ულტიმატუმი" სხვა არაფერია, თუ არა მღვდელმთავართა საჯარო მიმართვა მისი უწმინდესობისადმი. მიმართვაში მართლაც არის თერთმეტ პუნქტად ჩამოყალიბებული მოთხოვნა, მაგრამ არსად წერია, რომ "საქართველოს პატრიარქი არ უნდა ჰყავდეს". მით უმეტეს, არავინ მცირე მინიშნებასაც არ აკეთებს მისი უწმინდესობის "ფიზიკურ განადგურებაზე", რომლითაც "ჯორჯიან თაიმსი" კარგა ხანია აშინებს საკუთარ მკითხველებს — მახსოვს, რამდენიმე თვის წინ ხსენებული ბეჭდვითი ორგანოს ავტორებმა **ილია მეორეზე** სავარაუდო თავდასხმის "შემკვეთად", არც მეტი, არც ნაკლები, რომის ეკლესიის მწყემსთმთავარი **იოანე პავლე მეორე** დასახეს.

ასე რომ, იკითხეთ "24 საათი" და არც უშიშროების სკოლაგამოვლილი ნუსხურის სპეციალისტები დაგჭირდებათ და არც წამდაუწუმ გამოყენებული ზედსართავი "საიდუმლო" აგიბნევთ თავგზას. თუმცა ეს ზედსართავი ხანდახან "24 საათშიც" ამოჰყოფს ხოლმე თავს: აი, იმავე თარსი დღის, 21 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ხელმოუწერელი მასალა — "საიდუმლო გეგმის" მხილება. აქ მამხილებელად უკვე კონკრეტული პიროვნება, "დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირის" თავმჯდომარე **ავთანდილ უნგიაძე** გვევლინება. თურმე, "საიდუმლო გეგმის" მიზანი ყოფილა "**საქართველოს ეკლესიის დაბრუნება მსოფლიო ეკუმენისტურ მოძრაობაში, ახალ სტილზე გადასვლა, უწმიდესის მმართველობის დამხობა, ეკლესიისა და მართლმადიდებლობის ერთგულთა დასჯა**". შთამბეჭდავია, არა? ავტორებს არ იკითხავთ? —






ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

"**სექტანტთა დამცველი "თავისუფლების ინსტიტუტი", "კავკასიის სახლი", კომკავშირის მემკვიდრე "კმარა" და სოროსის სხვა "შვილობილი" ორგანიზაციები**". საინტერესოა, რომ "24 საათში" გამოქვეყნებული ტექსტი, როგორც ეტყობა, სააგენტო "პრაიმ-ნიუსის" წყალობით, სიტყვასიტყვით მოხვდა ორივე ხსენებულ რუსულ საიტზე. ერთადერთი გამონაკლისი იყო: რუსებს შერცხვათ "კმარასთვის" კომკავშირის მემკვიდრეობა დაებრალებინათ, მიუხედავად იმისა, რომ უთარგმნელად, ფონეტიკური ტრანსკრიფციით გამოაქვეყნეს ამ ორგანიზაციის სათაური.

ერთი სიტყვით, ისე მოგვეძალა ეს რუსული "პრავოსლავური" ინტერნეტ-საიტები, რომ მოკრძალებული და უწყინარი **ვერა ნეფარიძეც** გაგვილიზიანა: 19 ოქტომბერს გამოაქვეყნა ვერამ სტატია კულტურული მიგრაცია და პატრიოტიზმი, რომელშიც საიტს www.pravoslavie.ru უსაყვედურა საქართველოს წინააღმდეგ ინფორმაციული ომის წარმართვა. ამ საიტის თანახმად, არც ისე ცუდი ყოფილა საქართველოსთვის რუსეთი, თუ **ნანი ბრეგვაძე** და **ბუბა კიკაბიძე** არა მარტო დიდი პოპულარობით სარგებლობენ რუსეთში, არამედ ამ პოპულარობის ნაყოფთა დასაკრეფად ძალ-ღონეს არ იშურებენ. რას იზამ, ჩვენი ბრალიცაა: **ვანო სარაჯიშვილის** ქვეყანაში საუკუნის მომღერლად რომ ნანი ბრეგვაძე არ გვეღიარებინა, ალბათ მისი რუსეთში "კულტპახოდებიც" ასე არ დაგვზაფრავდა...

მაგრამ ახლა ეს მაინცდამაინც არ გვაინტერესებს. ახლა იმის გარკვევაა უფრო მნიშვნელოვანი, რას ნიშნავს ეს ნაგავში ჩაყრილი ბომბები, პრეზიდენტისადმი ხუცურით მიწერილი უსტარები, ათასგვარი საიდუმლო გეგმები და ამ ყველაფრის ზუსტი ანარეკლი გარკვეული მიმართულების რუსულ ვებ-საიტებზე? — როგორც ეტყობა, საქართველოს შემთხვევაში რაღაც არ მოქმედებს, რაღაც არ ეწყობა. აი, უკრაინაში ეს ბიჭები გაცილებით უფრო პირდაპირნი არიან: 21 ოქტომბერს (ისევ ეს თარსი დღე!) კიევში ორიათასმა მართლმადიდებელმა საგანგებო მსვლელობა გამართა უკრაინის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში შესვლის წინააღმდეგ. ხატებისა და ხორუგვების გარდა დემონსტრანტებს ლოზუნგებიც მოჰქონდათ: "ჩვენ ღვთის მონები ვართ და არა ევროკავშირისა", "ნატო — სატანის ლეგიონი". გაცილებით უფრო კონკრეტულად მათ განუცხადეს მედიას, რომ "გაძლიერდება სლავური კულტურის წინაშე დამდგარი საფრთხე, რადგან იუშჩენკო დასავლეთის სახელმწიფოების კანდიდატურაა, ხოლო დასავლეთის კულტურის გავლენა ხელს შეუწყობს ხალხის ზნეობრივ გახრწნას". აი, ასე: იუშჩენკოს პრეზიდენტად არჩევა კი დიდ მართლმადიდებელ ძმას — რუსეთს არ ეპიტნავება. ჰოდა, იყენებენ უკრაინაშიც სარწმუნოებას პოლიტიკური მიზნებით.

ეს თავისთავად გასაგებია, მაგრამ საკითხავი სხვაა: რატომ არ გამოსდით საქართველოში ისევე პირდაპირ და გასაგებად, როგორც უკრაინაში.

პასუხი პირველი: ქართველი "პრავოსლავნები" ნაკლებად ბნელები არიან. სამწუხაროდ, ეს პასუხი უნდა უარვყოთ. აი, მაგალითად, სრულიად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით** გამომავალი ჟურნალის, "ერისა და ბერის" სპეციალური გამოშვება — აქ ერთადერთი თემაა მოცემული. სამ ენაზე — ქართულად, რუსულად და ინგლისურად — დაბეჭდილია ვინმე მამა **გიორგი პავლოვის** (პავლოვი კი ჰქვია, მაგრამ ქართველია) განცხადება. ეს მონა ღვთისა, არც მეტი, არც ნაკლები, ასახელებს ... არა, კარგად გაიაზრეთ, ასახელებს ... ანტიქრისტეს! ჟურნალში წერია: "**ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამა სოფლისათვის ცნობილი "მშვიდობისმყოფელი", რიჩარდ ჰოლბრუკი — იცოდეთ, რომ ეს ანტიქრისტეა!**". არა, უკრაინელ ბნელებს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი...

პასუხი მეორე: საქართველოში მაინც უფრო ძლიერია დემოკრატიულ ძალთა გავლენა. უფრო ქმედითია თავისუფალი სიტყვა. დიახ, დიახ, ბატონებო, რომ არა თავისუფალი მედიის, მათ შორის "24 საათის" ღვაწლი, ქ-ნ **შორენა თეთრუაშვილს** ხელები და ხმა არ აუკანკალდებოდა და უშიშროების სპეციალისტებს ხუცურად დაწერილი იდუმალი უსტარის კითხვა კი არ მოუწევდათ, არამედ საუკეთესო შემთხვევაში თავს დაატყდებოდათ ქუჩაში გამოსული ასობით სახელდახელოდ გამოყვანილი მედროვე მანიფესტანტი. ზუსტად ისე, როგორც 2003 წლის სექტემბერში მოხდა, როცა თსუ-ს მაღალინტელექტუალურ სტუდენტებს მოჰქონდათ სლოგანი: "საქართველო ვატიკანის გარეშე!". ეს უკეთეს შემთხვევაში, მაგრამ უარესიც ხომ არსებობს... 400 თუ 600 გრამ ტროტილს ხომ ტყუილად არ აგდებენ ნაგვის ურნაში.

არა, ბატონებო, არავის წამოვძახებთ, თითქოს იმიტომ ვიმსახურებთ პატივისცემას, რომ "ვარდების რევოლუციის" დროს ხალხს ბარიკადებზე მოვუწოდებდით. ჩვენ აშკარად გეტყვით, რომ ვეთანხმებით **გია ნოდიას** — რევოლუცია უნდა დამთავრდეს (იხ. 18 ოქტომბრის "24 საათი"). უფრო მეტიც, ჩვენ მისი დამთავრებისკენ უკვე იანვარში მოვუწოდებდით. თქვენზე კარგად მოგვეხსენება, რომ წარსული არ არსებობს, როგორც არ არსებობს გაწეული სამსახური. საქმე სხვაგვარადაა: ჩვენი შრომა მომავალს სჭირდება და ჩვენგან დღევანდელი კრიტიკა თქვენთვის ხვალინდელი მალამოა!

ტყუილად კი არ დაეტყო შეშფოთება **ეკა კვესიტაძეს**, შეშფოთება კი არა და პესიმიზმიც: 20 ოქტომბერს გამოაქვეყნა სტატია სათაურით ერთადერთი შანსი. რომელია ეს ერთადერთი შანსი? — წავიკითხოთ სტატიის ტექსტი: "**იმისთვის, რომ არსებობდეს დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა უნდა არსებობდეს თავისუფალი მედია, რომელიც კონსტრუქციულად გააკრიტიკებს ხელისუფლებას და ნათლად მიახვედრებს პრეზიდენტს, რომ მსგავსი ფრაზები — "ვაი, თქვე საცოდავებო, ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ..." — აღარასოდეს გაიმეოროს**".

კაი დაგემართოს, მაგრამ ეს დემოკრატია მაინც რაღაა? აქ კი ასე გიპასუხებთ, ჩემო ძვირფასებო: აბა, დამისახელეთ ერთი მაინც ჩვენი ყბადაღებული ძირძველი ეროვნული ტრადიციებიდან, რომელიც იმის გარანტიას მოგცემთ, რომ თქვენს ძმებსა და შვილებს ჯიბეში ნარკოტიკს არ ჩაუდებენ, მერე ცემით არ მიასიკვდილებენ, ან ელექტროშოკით არ დაუფლეთენ ძარღვებს. გაგიჭირდათ? ნუ წვალობთ — არ არსებობს ასეთი ტრადიცია, გარდა დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისა.

დაიცავით მარხვები, ყველა სალოცავს შეუთქვით ცხვარი, სიბერემდე ქალწულებად დატოვეთ თქვენი ქალები, დაცალეთ ჯიხვის ყანწები და გათენებიდან გათენებამდე უსმინეთ რადიო "არ დაიდარდოს" — ეს მაინც ვერ იხსნის თქვენს ახლობელს, რომელიც ქუჩაში უხერხულ დროს უხერხულ ადგილას აღმოჩნდა. გამოვლენ წელიწადში ორჯერ ტელევიზორში შინაგან საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი და ყოველ ჯერზე გაიმეორებენ უკვე უაზრო მანტრად, გემოდაკარგულ საღეჭ კევად ქცეულ ფრაზას: "საქმეს არაფერი ეშველება, სანამ არ შეიცვლება სისტემა!". სისტემა ხომ თქვენა ხართ, ჩემო კარგებო? — ამდენი თუ გესმით, რაღას უცდით?

18 ოქტომბერს სწორედ ეს საკითხი გამოიტანა "24 საათმა" მთავარ თემად. ერთ-ერთი სტატიის სათაურიც სწორედ ასეთი იყო, როგორც უკვე მოგახსენეთ: კანონის უზენაესობა — ერთადერთი იარაღი წამების წინააღმდეგ. ისიც კი თქვეს, რომ "**ძალოვანები კვლავ ვიშინსკისეული საბჭოური პრინციპებით მოქმედებენ**". ვიშინსკი სსრკ გენერალური პროკურორი იყო 1937 წელს.

მაგრამ რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რა დგას წამების თვით ყველაზე ამაზრზენი ფაქტების უკან? მთელი ეს ტკივილი და უსამართლობა, ტანჯვა და შეურაცხყოფა თავისთავად სასოწარმკვეთია, მაგრამ არის უფრო დიდი საშინელება ყოველივე ამის უკან: ფაქტი, რომ **საქართველოს ციხეებში მოხვედრილი ადამიანების დიდი ნაწილი უდანაშაულოა!** სხვაგვარად აზრი არა აქვს აღიარებით ჩვენებებზე ნადირობას, სამართალდამცავთა მხრიდან ცრუ მოწმეთა გამოყენებასა და სხვა ჩვეულ ხერხებს.

ჰოდა, თქვენც იცოდეთ, ქრისტესმიერო დანო და ძმანო, რომ "თავისუფლების ინსტიტუტი" მარტო "სექტანტებს" კი არ იცავს, არამედ თქვენც. გიცავთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თქვენი ვაჟის, ძმის ან ქმრის ნაცემ სხეულზე დასადებ მალამოდ **ირაკლი ოქრუაშვილის** ელვასავით სწრაფი და მოუხელთებელი ტელე-ჩაცინება არ შეგრჩეთ, ნუგეშისმცემელად კი ქურდის ნაჩუქარ "ჯიპზე" დასკუპებული "მამაო". აბა, დაფიქრდით, კიდევ ვის ძალუძს, აგარიდოთ ამგვარ უბედურებას...

ჩვენს საერთო უბედურებას, რომელსაც მკვეთრად და მკაცრად უნდა აღვუდგეთ წინ და არა ისე, როგორც უკვე ხსენებულ, 18 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წერილზე ხელისმომწერები, რომლებმაც დავარცხნილი და მოლამაზებული ტექსტით მიმართეს მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს. "**განსაკუთრებით გვაშფოთებს ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში თქვენს საჯარო გამოსვლებში სულ უფრო მატულობს ოპონენტთა დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ფორმებით მოხსენიების ფაქტები**", — ჰმ, ამაზე სააკაშვილი კი არა, მეც ვიტყვი, რომ მხოლოდ ყიყინი და ბჟუტიალია. "მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს, მის ოჯახში მობინადრე ყველა პროფესორსა და აგრეთვე ბიძას" — ის დრო დადგა, რომ ასე უნდა დაიწყოს მიმართვა, რომელსაც ადრესატი ყურადღების ღირსად ჩათვლის.

დიახ, ბატონო პრეზიდენტო, ტკბილია რევოლუციის მიერ შებრალებულთა მურასა ლავაშები, მაგრამ მაინც ჩვენი სიტყვის გესლი გირჩევნოდეთ, რადგან სიტყვას საზრისი აქვს და მისი სიმწარეც დროთა განმავლობაში თაფლად იქცევა, ლავაშის ცომს კი ხანდახან ტროტილით აფუებენ, რაც ყოველივე პერსპექტივას გვიკარგავს თქვენცა და ჩვენც.

ვახო ბესელიას ფოტოები

თბილისობა

# სანახევროდ ევროპულად, სანახევროდ თბილისურად

ვერა ნეფარიძე

*ლიტერატურულ-მუსიკალური პერფორმანსები, საბრძოლო ხელოვნება, საგამომცემლო პროდუქციის გამოფენა-ბაზრობები, ფოლკლორი - თანამედროვე და ტრადიციული, - ამგვარი ღონისძიებებით აღნიშნეს ღია ცის ქვეშ პირველი ნახევრადევროპული თბილისობა. ტრადიციულ ზეიმს ახლებური ელფერი პირველმა აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნების არტ-ექსპომ შეჰმატა.*



ვახო ბასილიას ფოტო

*ნოდარ ლომოური და ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.*

## "კარტოფილებს ვყიდით განა?"

ქალაქის მერის არაერთხელ ამაყად ნათქვამი ფრაზა აბსოლუტური ჭეშმარიტება გახლავთ. წლევანდელი თბილისობა ნაკლებად მიიზიდავდა დიასახლისებს; მათ, ვინც მიეჩვია წლების განმავლობაში, რომ დედაქალაქისადმი მიძღვნილ საზეიმო დღეებში იაფად უნდა შეეძინა სოფლის ნობათი. მეორე მხრივ, სწორედ ეს ტრადიცია ედო საფუძვლად "თბილისობას" - დღესასწაულს, რომლის ავკარგიანობაზე და იმაზე, თუ რამდენადაა გამართლებული მისი აღნიშვნა, ისედაც ბევრს საუბრობენ. აღმოჩნდა, რომ სალაპარაკო და დასაწუნი "თბილისობას" კი არ სჭირდა, არამედ მის ფორმას. ამიტომაც გადაწყდა, ზეიმი ზეიმად დარჩენილიყო მწვადის სუნის, ჩურჩხელებისა და ნაგვის გარეშე; ეს ყველაფერი კი შეეცვალა სხვადასხვა უბნებსა თუ საკონცერტო და თეატრალურ სივრცეებში გაბნეულ საღამოებს, შეკრებებს. ამ ყველაფრის ორგანიზება, ცხადია, იოლი არ არის. "თბილისობის" ორგანიზატორებს სულზე მოუსწრო ფონდი "არტ-ბრიჯის" პროექტმა - "აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნების არტ-ექსპო", რომელიც "თბილისობის" ფარგლებში ჩაჯდა და დღესასწაულის კულტურული პროგრამაც ამგვარად გამრავალფეროვნდა. ასე რომ, კარტოფილითა თუ შემოდგომის სოფლის ნობათით ვაჭრობის ნაცვლად, "ევროპულ თბილისობაზე" (ასე უწოდეს წლევანდელ დღესასწაულს ქვეყნისა და ქალაქის ხელმძღვანელებმა) ადგილობრივებსა და დედაქალაქის სტუმრებს სხვადასხვა სანახაობით გაუმასპინძლდნენ (რასაკვირველია, ეს ოფიციალურ დონეზე, თორემ მწვადის ჭამას ან დღესასწაულებზე მთვრალების უბან-უბან ხეტიალს აბა, ვინ დაგვიშლის?).

## "თბილისობა" დახურულ სივრცეში

წლევანდელ "თბილისობაზე" გალაკონცერტის გარდა, დღესასწაულის კულტურულ პროგრამას სხვა ცენტრალური ღონისძიებაც ჰქონდა. ის, რომ პარასკევს დიდ საკონცერტო დარბაზში მხოლოდ მოსაწვევი ბარათებით ხვდებოდნენ "სუხიშვილების" კონცერტზე, ერთ-ერთი მიზეზია კონცერტი და საათნახევრიანი პროგრამის დასასრულს საზეიმოდ გახსნილი "სუხიშვილების" სახელობის ვარსკვლავი "ფილარმონიის ვარსკვლავთხეივანში", "თბილისობის" ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად მივიჩნიოთ.

ცეკვის მუზამ საოცარი გულუხვობა გამოიჩინა ქართველების მიმართ და ჩვენშიც განსაკუთრებით ეთაყვანებიან მას. მდიდარი ილეთებით ცნობილი ქართული ცეკვით ერთნაირად ამაყობენ ქართველები; უყვართ ცეკვა და რაღაცნაირად ცდილობენ, ტრადიციის შენარჩუნებას; ოჯახებით დადიან სხვადასხვა ანსამბლების კონცერტებზე და რა გასაკვირია, რომ ოჯახებით სტუმრობდნენ პარასკევსაც დიდ საკონცერტო დარბაზს სახელმწიფო მოხელეები, მსახიობები, ტელეწამყვანები, შოუბიზპერსონები და ყველა, ვისაც პატივი ხვდა "სუხიშვილების" მოსაწვევი ბარათი მიეღო. კონცერტი ჩვეულებრივი იყო-თქო, რომ ვთქვა, ეწყინებათ - ჩვენთვის ასე საყვარელი კონცერტები ყოველთვის არაჩვეულებრივია იმ ემოციის დამსახურებით, რაც, მართლაც, ასე უხვადაა ქართულ ცეკვაში. განსაკუთრებულია ჩვენთვის "სუხიშვილების" ანსამბლიც, რომელიც გინდა-არგინდა ქართულ ცეკვასთან ასოცირდება - რაც თითქმის სამოცწლიანმა თავდაუზოგავმა მოღვაწეობამ მოუტანა ანსამბლსა და მის ხელმძღვანელობას. ქართული ხელოვნების ნამდვილ ვარსკვლავებს უკანასკნელად დამსახურება მორიგი - ამჯერად ანსამბლის სახელობის ვარსკვლავის (ორიოდე წლის წინათ ფილარმონიის შესასვლელში ნინო რამიშვილის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა) გახსნით აღნიშნეს. ცერემონიალს ქვეყნისა და დედაქალაქის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

არტ-ექსპოს სახელწოდება ყველაზე მეტად მაინც დახურულ სივრცეში გამართულმა ღონისძიებებმა გაამართლა. ფილარმონიის გარდა, სადღესასწაულო კულტურული პროგრამა განაწილდა სამეფო უბნის თეატრში, კონსერვატორიაში, ოპერასა და თავისუფალ თეატრში. უდავოდ განსაკუთრებულ ყურადღებას მათ შორის სამეფო უბნის თეატრში გამართული წარმოდგენები იმსახურებს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ რაღაცნაირად აქ წარმოდგენილი ხელოვნება მთელ ამ აჯაფსანდალში დაიკარგა. იუგოსლავიელმა, ლიტველმა თუ უნგრელმა მსახიობებმა აჩვენეს თანამედროვე ცეკვის საკუთარი ხელოვნება, ვინც ნახა - მოეწონა, მაგრამ დასწრება ყოველთვის მცირე იყო და რაც მთავარია, აშკარად იგრძნობოდა ინფორმაციის ნაკლებობა. იმედია, შემდეგისთვის ორგანიზატორები მეტ ყურადღებას გამოიჩენენ. ამჯერზე კი ღონისძიება თითქოს უწესრიგობასაც იტანდა - იმიტომ, რომ მაინც "თბილისობა" იყო...

აკადემიურად გაიხსნა თბილისობისადმი მიძღვნილი გამოფენა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ექსპოზიცია მუზეუმში დაცული ნამუშევრებით საგანგებოდ შეკრა მუზეუმის ხელმძღვანელობამ და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად შესთავაზა დამთვალიერებელს. მაგრამ, ვინაიდან ფართო საზოგადოება უპირატესობას მაინც ქუჩის ღონისძიებებს ანიჭებდა, გუდიაშვილის, ფიროსმანის, კაკაბაძის, ჯაფარიძისა და ქართველი თუ უცხოელი მხატვრების დანატოვარი ძველი თბილისი ბევრმა ვერ ნახა. გამოფენის ნახვა კი ნამდვილად ღირს, ამიტომაც მუზეუმის წინაშე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა გამოთქვა გამოფენის მაღალი დონის კატალოგის გამოცემის (ფინანსურ ხარჯებს სამინისტრო საკუთარ თავზე აიღებს) სურვილი. წინადადებას მუზეუმის დირექტორიც მიესალმა, თუმცა ვიდრე ამ ყველაფერს კატალოგში ნახავდეთ, ექსპოზიციის დათვალიერება მაინც მუზეუმის დარბაზში ღირს - გამოფენა ხელოვნების მუზეუმში კიდევ ერთ კვირას გაგრძელდება.

## "თბილისობა" გარეთ

"თბილისობაზე" ქუჩას ყოველთვის მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა. სწორედ აქ იმართებოდა ძირითადი სანახაობანი და მწვადიც შუა ქუჩაში იწვებოდა და იჭმებოდა. წლევანდელ დღესასწაულზე ძირითადი ფუნქცია გუდიაშვილის ქუჩამ შეასრულა. მთელი დღის განმავლობაში აქ ხან გამოფენილი წიგნების დასათვალიერებლად და შესაძენად, ხანაც სახელდახელო სცენაზე მოწვეული მუსიკოსების მოსასმენად იკრიბებოდნენ. სცენაზე კი სომეხი, აზერბაიჯანელი, ლატვიელი, უკრაინელი და უნგრელი მუსიკოსები გამოდიოდნენ. თბილისელები უსმენდნენ მოდერნ-ფოლკ მუსიკას, ცეკვავდნენ დი-ჯეების მუსიკალურ სეტზე და ამ ყველაფერში ამინდიც ხელს უწყობდათ.

# მოდის ერთი საუკუნე

დიანა ჩაჩუა

*გუშინ თბილისის მერიამ, ნინო იოსელიანმა და კომპანია "ჯეოსელმა" თბილისის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს საზოგადოებაში გამოჩენის კიდევ ერთი მიზეზი მისცეს და თბილისის უძველესი უბნის ერთ-ერთ უძველეს შენობაში მოდის ერთი საუკუნე გააცოცხლეს.*

ძველ თბილისში მდებარე მანთაშოვის შენობა ქალაქში ერთ-ერთი უძველესია. ამჟამად იგი არ ფუნქციონირებს, თუმცა გუშინ ქართული მოდის ღამემ ის ერთბაშად გამოაცოცხლა. არანაირად არ გავდა გუშინდელი შეხვედრა თბილისში ჩატარებულ სხვა მოდის ჩვენებებს. პირველ რიგში კი იმიტომ, რომ იგი მოდის არა რომელიმე ერთ მიმდევრობას წარმოადგენდა, არამედ ერთბაშად გაძლევდა საშუალებას მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული დღემდე საქართველოში დამკვიდრებული მოდის ყველა ტენდენცია წაგეკითხა.

მოდის გუშინდელი საღამო შენობის სხვადასხვა ოთახებში ვითარდებოდა (ისეთი მისვლა-მოსვლა იყო მოდელს და სტუმარს ვერ გაარჩევდი). ხელში ლუდით დამშვენებული სტუმრები ოთახიდან ოთახში გასვლისას ხან მეოცე საუკუნის ოციანი წლების მოდელებში გამოწყობილ მანეკენებთან ირეოდნენ, ხან კი საბჭოეთისდროინდელი მოდელების ირგვლივ. როგორც ჩვენებაზე მოსულმა ერთ-ერთმა სტუმარმა აღნიშნა, ამ მოდელების ნახვისთანავე მას ბებიის დროინდელი, სურათებში ნანახი მოდა ნათლად აღუდგა თვალწინ. თუმცა, გუშინდელ "ფეშენ" საღამოზე გასული საუკუნის მოდის ნიმუშების გარდა, თანამედროვე, საქმიანი ქალის მოდელებიც იყო წარმოდგენილი. კერძოდ, ერთ-ერთ ოთახში ჯეოსელის ოფისის სიტუაცია იყო შექმნილი, სადაც საქმიან სამოსში გამოწყობილი "შარმის" და "ნატალის" მოდელები თანამედროვე, საქმიანი ქალის ტენდენციებს წარმოადგენდნენ.

მოდის ღონისძიებაში სულ სამი დიზაინერი და ორი სააგენტოს მოდელები იღებდნენ მონაწილეობას. გუშინ ძველ თბილისში თავისი მოდელების საშუალებით, ავთო ცქვიტინიძე 70-იან წლებს, ჯაბა დიასამიძე 50-იანს, ხოლო თამუნა ინგოროყვა 20-იან წლებს აცოცხლებდა. როგორც ავთო ცქვიტინიძემ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას, მან დიდი სიამოვნებით მიიღო ამ ინოვაციურ ღონისძიებაში მონაწილეობა და მას გამართლებული და მისასალმებელი უწოდა. გუშინდელ ჩვენებაზე ცქვიტინიძეს სხვა მოდელებთან ერთად ის მოდელიც ჰქონდა წარმოდგენილი, რომელიც მოსკოვში საუკეთესოდ აღიარეს.

რაც შეეხება გუშინდელი ღონისძიების ორგანიზაციულ მხარეს, აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიების მთავარი ორგანიზატორი და ფინანსური მხარდამჭერი კომპანია "ჯეოსელი" იყო, რომელსაც არაერთხელ უჩუქებია თბილისის საზოგადოებისთვის მსგავსი მრავალფეროვანი საღამო. როგორც საღამოს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და იდეის ავტორმა ნინო იოსელიანმა განაცხადა, წინასწარ იყო დაგეგმილი ღონისძიების ჩატარების დღეც და ადგილიც. **"ეს შენობა იმდენად ძველია, რომ არაჩვეულებრივად შეეწყო ღონისძიების იდეას და შინაარს გაგვეცოცხლებინა მოდის ერთი საუკუნე,"** - აღნიშნა ნინო იოსელიანმა.

გუშინდელი ქართული მოდის საღამო მასში მონაწილე მოდელებმა სასიამოვნო სიახლედ აღიქვეს, **"ჩემთვის ძალიან უჩვეულოა ეს ჩვენება იმიტომ, რომ პირველად გამოვედი ასეთ ჩვენებაზე. ძალიან მომწონს ნინო იოსელიანის საღამოები და ძალიან კმაყოფილი ვარ,"** - განაცხადა სააგენტო "შარმის" მოდელმა სოფო ჩიტრეკაშვილმა. **"ჩემთვის ასეთი საღამოები ნამდვილად უცხოა. ერთდროულად ყველა დრო ასე შეხამებული არსად მინახავს, როგორც ჩაცმულობით, ისე კომპოზიციურად. ძალიან ეფექტურია. თავიდან მეგონა მანეკენივით უნდა ვმჯდარიყავი და გარკვეული უხერხულობა შემექმნა, მაგრამ მერე გარშემომყოფთაგან კარგი განწყობა რომ შევიგრძენი, მოვეშვი,"** - დაამატა ამავე სააგენტოს მოდელმა ნინო ბერიკაშვილმა.

გუშინდელი შეხვედრა ულამაზესი ფეიერვერკით და ბარ "შარდენში" ცოხალი მუსიკის თანხლებით გამართული ფურშეტით დასრულდა. მოდის ერთი საუკუნე კი გუშინვე წარსულს ჩაბარდა.

# უმწვადოდ და უმუსიკოდ

## რატომ ვერ გახდა ოპერის თეატრი თბილისობის ეპიცენტრი

მადი სერებრიაკოვა

*თბილისობა თბილისელებისთვის, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება მწვადის, ტაშ-ფანდურისა და წალკის კარტოფილით ვაჭრობის დღესასწაულად. მიუხედავად წლევანდელი თბილისობის ორგანიზატორთა გულწრფელი მცდელობისა, წალკის კარტოფილი სიმფონიური ორკესტრით ჩაენაცვლებინათ - თბილისობა მაღალი ხელოვნების სახალხო დღესასწაულად მაინც ვერ იქცა. პირველ რიგში, იმიტომ, რომ მაღალი ხელოვნება აქ ძალზედ საეჭვო კრიტერიუმით იყო შერჩეული. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა თბილისობის ფარგლებში გამართული არტ-ექსპოს კლასიკური მუსიკის ორ კონცერტს უმასპინძლა. დიმიტრი კოგანისა და პოლონელ მუსიკოსთა ჯგუფის გამოსვლას თბილისობის საუკეთესო ეპიზოდს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ახალგაზრდა მევიოლინეს დმიტრი კოგანის კონცერტზე მსმენელი ძირითადად მისმა გვარიშვილობამ მოიზიდა. თუმცა, ლეონიდ კოგანის მოგონებით შთაგონებულ თბილისელებს საშუალო საშემსრულებლო გაქანების მევიოლინე დახვდათ, რომლის მუსიკალური შესაძლებლობა დროსა და სივრცესაც ნაკლებად პასუხობდა. თბილისობა დღეს, ოპერის თეატრში სულ სხვა რამეს ველოდით (ცხადია, მწვადებსა და კარტოფილს არ ვგულისხმობ).

დმიტრი კოგანის მუსიკალური ბიოგრაფია საკმაოდ მდიდარია. სიმფონიურ ორკესტრთან ერთად პირველად 10 წლისამ დაუკრა. პირველი საგასტროლო ტურნე კი 11 წლის ასაკში ჩაატარა. იგი პერტის, ნოთინგემის, ზალცბურგის და სხვა ფესტივალების მუდმივი მონაწილეა და რამდენიმე მუსიკალური ალბომის ავტორიც. 2003 წლიდან დმიტრი კოგანი ანტონიო სტრადივარიუსის ცნობილ ვიოლონოს "რუსეთის იმპერატრიცას" მფლობელია. ეს უკანასკნელი ეკატერინე მეორეს ეკუთვნოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, კოგანის გამოსვლას დიდად წარმატებულს მაინც ვერ დავარქმევთ. აქ მას ოპერის თეატრის მძიმე აკუსტიკა და არცთუ კლასიკური განწყობით მისული მსმენელი ვერ გაამართლებს. თუმცა, ამასაც ვერ დავმალავთ. მეორე განყოფილებაში დარბაზის შემადგენლობა მნიშვნელოვნად შემცირდა. სხვა ადგილას და სხვა შემთხვევაში, ახალგაზრდა მევიოლინეს უდავოდ წარმატება ექნებოდა. უმცროსი კოგანი მუსიკალური, ტექნიკურად გამართული მევიოლიონეა. თუმცა, ამჯერად, ეს საკმარისი არ იყო. ოპერის თეატრისთვის მას არც შესაფერისი ბგერა და ჟღერადობა გააჩნდა და არც პროგრამა. დათვური სამსახური კი დმიტრი კოგანს საკუთარმა გვარიშვილობამ გაუწია. ლეონიდ და პაველ კოგანის, ელიზავეტა გილელსის შთამომავალთან შეფასების კრიტერიუმი, ალბათ, ზედმეტად მაღალი იყო.

კოგანის კონცერტის გამოცდილებით, თუ უბრალოდ კვირა დღის მდიდარი პროგრამის გამო - პოლონელი მუსიკოსების კონცერტზე ოპერა ნახევრად ცარიელი იყო. მარეკ ვისოჩინსკის კულტურის პრომოუშენის ოფისის პროგრამის შესახებ დარბაზში მსხდომთ, ფაქტობრივად, არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა. დარბაზში არ დარიგებულა არანაირი ბუკლეტი ან პროგრამა. ვერც მონაწილეები დაიკვეხნიდნენ განსაკუთრებული პოპულარობით.

მარეკ ვისოჩინსკის ოფისი ძირითადად გამოფენებისა და კამერული კონცერტების მოწყობით არის დაკავებული ეგვიპტეში, სლოვენიაში, თურქეთში, პორტუგალიასა და თავად პოლონეთში. კონცერტზე ორი მომღერალი: ჯოანა დობრაკოვსკა და ჯოანა სპერსკა, ასევე, პიანისტი მარცინ კოზიელი წარმოგვიდგინეს. ვერც ერთი მათგანი იმ დონის პროფესიონალიზმითა და ბუნებრივი მუსიკალური მონაცემებით ვერ დაიკვეხნიდა, რომ კონცერტი თბილისის ოპერის თეატრში გაემართათ. იმ თეატრში, სადაც ზურაბ ანჯაფარიძე, დავით ანდღულაძე, პაატა ბურჭულაძე და კიდევ მრავალი დიდი მომღერალიც კი ძნელად გარისკავდა ფორტეპიანოს აკომპანიმენტით კონცერტის გამართვას. მათი მუსიკალური პროგრამაც კონსერვატორიის მისაღები გამოცდის დონეს არ აღემატებოდა. პირველ განყოფილებაში ლინგვისტური ინტერესიდან გამომდინარე, მოვუსმინეთ მათ მიერ შესრულებულ "ავე მარიას" მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე.

მოკლედ რომ ვთქვათ, ოპერის თეატრი თბილისობის ეპიცენტრად ნამდვილად ვერ იქცა. აღმოსავლეთ ევროპის არტ-ექსპოს კლასიკურ-მუსიკალური პროგრამა საკმაოდ ღარიბი და უსახური იყო. თუმცა, თბილისობის პროგრამა იმდენად ფართო იყო, რომ იმედი მაქვს, სადმე სხვაგან იპოვნიდით საინტერესო ღონისძიებას ან, უბრალოდ, თავშესაქცევს.

# ჰიპ-ჰოპის დროის მანქანა

1974 წლის 12 ნოემბერი: ბრონქსში გამართულ შინაურულ წვეულებაზე ჰერქ დიჯეიმ ყველა სიმღერა უცნაურად დაუკრა: ის მუსიკიდან ჭრიდა მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც დასარტყამი ინსტრუმენტების ჟღერადობა ისმოდა. როგორც კი დამთავრდებოდა ეპიზოდი, ნემსს იღებდა და ყველაფერს თავიდან იმეორებდა. ასე შეიქმნა რიტმი, რომელიც ჰიპ-ჰოპის საფუძვლად იქცა.

■ ■ ■

1977 წ.: ჩამოყალიბდა ჯგუფი "როქ სთიდი ქრიუ", რომელიც მალევე იქცა ბრეიკდანსის მოცეკვავეთა ყველაზე ცნობილ ჯგუფად.

■ ■ ■

1979 წ.: "ფეთბექმა" ჩაწერა პირველი რეპ-სიმღერა "კინგ ტიმ მესამე".

■ ■ ■

1979 წლის 16 სექტემბერი: "შუგარ ჰილ გენგმა" ჩაწერა სიმღერა Rapper's Delight.

■ ■ ■

1979 წლის 13 ოქტომბერი: Rapper's Delight პირველად გამოჩნდა რიტმ-ენ-ბლუზის ჩარტებში.

■ ■ ■

1980 წლის ოქტომბერი: კერტის ბლოუმ მონაწილეობა მიიღო გადაცემაში Soul Train, და გახდა პირველი რეპ-მომღერალი, რომელიც ნაციონალური ტელეარხით გამოჩნდა.

■ ■ ■

1981 წლის 14 თებერვალი: ჯგუფმა Funky 4 Plus One More ცოცხლად შეასრულა სიმღერა პოპულარულ ამერიკულ შოუში Saturday Night Live და გახდა პირველი ჰიპ-ჰოპ-რეპ ჯგუფი, რომლის ხმაც ნაციონალური ტელევიზიის ეთერით გადაიცა.

■ ■ ■

1981 წლის 28 მარტი: ისტორიული სიმღერაა "ბლონდიზის" Rapture-იც. ის იყო პირველი ჰიპ-ჰოპ ჩანაწერი, რომელიც ჟურნალ "ბილბორდის" სინგლების ჩარტებში პირველ ადგილზე გავიდა.

■ ■ ■

1981 წლის სექტემბერი: გამოვიდა სიმღერა Message, რომელიც პირველი პოპულარული ჰიპ-ჰოპ ჩანაწერია სერიოზული და პრობლემატური თემატიკით.

■ ■ ■

1983 წელი.: დოკუმენტური ფილმი "სტილების ომი" და მცირებიუჯეტიანი მხატვრული სურათი "ველური სტილი" გახლავთ პირველი ფილმები, რომლებიც რეპის გრაფიტისა და ბრეიკდანსის ნიუ იორკული იატაკქვეშეთის პირველი ვიდეო აღწერაცაა.

■ ■ ■

1983 წლის 15 აპრილი: ჯგუფ "როქ სთიდი ქრიუს" წევრებმა ითამაშეს ფილმში Flashdance. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ბრეიკდანსის მოცეკვავეები პოპკულტურის ძირითად ნაკადში ჩაერთვნენ.

■ ■ ■

1984 წელი.: ლოს ანჯელესში გაიხსნა რადიო-სადგური KDAY, რომელიც გახდა მხოლოდ რეპზე ორიენტირებული პირველი რადიო შტატებში.

■ ■ ■

1984 წელი.: რასელ სიმონსმა და რიკ რუბინმა ჩამოაყალიბეს სავაჭრო ნიშანი რეპში Def Jam, რომელმაც ჟანრის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა.

■ ■ ■

1984 წლის 17 დეკემბერი: Run-DMC-ის სადებიუტო ალბომი იყო პირველი ჰიპ-ჰოპ კრებული, რომელიც ოქროსი გახდა. ორიოდე წლის შემდეგ კი, 1986 წლის 15 ივლისს, პირველი პლატინის რეპ-კომპაქტი გახდა მისი ალბომი Raising Hell.

■ ■ ■

1986 წელი.: Run-DMC-ის ვიდეო-კლიპის Walk This Way ("აეროსმიტთან" ერთად) დატრიალება უკვე MTV-მაც დაიწყო.

■ ■ ■

1988 წელი.: ორიოდე წლის შემდეგ კი MTV-ზე გამოჩნდა გადაცემა Yo MTV Raps! რომელიც არხის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შოუ გახდა.

■ ■ ■

1989 წლის 22 თებერვალი: დი ჯეი ჯეზი ჯეფმა და ფრეშ პრინცმა მოიპოვეს პირველი "გრემი" რეპისთვის. ხმის ჩამწერმა აკადემიამ ისინი დააჯილდოვა სინგლისთვის Parents Just Don't Understand.

■ ■ ■

1991 წელი.: მარიონ ნაითმა ლოს ანჯელესში ჩამოაყალიბა ბრენდი Death Row, იგივე გააკეთა შონ "ფავ" ქომბსმა ნიუ იორკში და დააფუძნა Bad Boy Entertainment-ი. მოგვიანებით ორივე დაჯგუფებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებს შორის არსებული რეპდაპირისპირების გამო.

■ ■ ■

1993 წლის 24 თებერვალი: "არესთიდ დიველოფმენთი" გახდა პირველი ჰიპ-ჰოპ ჯგუფი, რომელმაც "გრემი" მოიპოვა, როგორც საუკეთესო ახალმა შემსრულებელმა.

■ ■ ■

1994 წლის 29 აპრილი: ქუინ ლატიფა გახდა პირველი ქალი შემსრულებელი, რომლის ალბომიც Black Reign ოქროს კომპაქტი გახდა.

■ ■ ■

1994 წლის 30 ნოემბერი: მანჰეტენზე, ხმის ჩამწერი სტუდიის ვესტიბიულში თუპაქ შაკურს ხუთჯერ ესროლეს; იმავე სტუდიაში შონ ქომბზი და ნოთორიოზ ბი.აი.ჯი. იწერდნენ.

■ ■ ■

1995 წლის აპრილი: სექსუალური ძალადობის ბრალდებით ციხეში მოხვედრილმა თუფაქმა ჟურნალ "ვაიბს" მისცა ინტერვიუ, რომელშიც მან ფავ დედი და ბიგი დაადანაშაულა სტუდიაში მომხდარი დაცხრილვის გამო. ეს იყო პირველი "გასროლა" აღმოსავლეთისა და დასავლეთის რეპსამყაროებს შორის.

■ ■ ■

1996 წლის 13 სექტემბერი: ლას ვეგასის ხალხით გადატენილ ბულვარზე 6 სექტემბერს მომხდარი გასროლის შემდეგ, დაიღუპა თუფაქ შაქური. ბევრის შეფასებით, ეს იყო კონფლიქტის ესკალაციის უმაღლესი წერტილი. ახალგაზრდა რეპერის მკვლელობის საქმე გაუხსნელი დარჩა.

■ ■ ■

1997 წლის 9 მარტი: ნოთორიოზ ბი.აი.ჯი., რომელიც ლოს ანჯელესში ფავ დედის სოლოალბომზე სამუშაოდ იყო ჩასული, სასიკვდილოდ დაჭრეს. ეს საქმეც დღემდე გაუხსნელია.

■ ■ ■

1999 წლის 24 თებერვალი: ლორენ ჰილი "გრემის" რეკორდულ - 10 ნომინაციაზე იყო წარდგენილი, რომელთაგან მან მოიპოვა ხუთი. ასეთი დადებითი აჟიოტაჟი მოჰყვა მის სადებიუტო სოლო-ჩანაწერს Miseducation of Lauryin Hill.

■ ■ ■

2000 წლის მაისი: ემინემის ალბომი The Marshall Mathers LP გახდა ყველა დროის ყველაზე სწრაფად გაყიდვადი რეპალბომი. საშუალო "სიჩქარე" იყო - 1.75 მილიონი კვირაში.

■ ■ ■

2001 წლის 21 თებერვალი: ემინემი ელტონ ჯონთან ერთად "გრემის" ცერემონიალზე გამოვიდა. იქვე ის შეეცადა გაექარწყლებინა ხმები იმის შესახებ, რომ მისი სიმღერების ტექსტებიდან ჰომოფობიური იდეები გამოსჭვივის და რომ ემინემი ქალთმოძულეა.

■ ■ ■

2002 წლის 30 ოქტომბერი: Run-DMC-ის წევრი ჯემ მასტერი მოკლეს. საქმე არ გახსნილა.

■ ■ ■

2003 წლის 23 მარტი: ემინემის ჰიტი Loose Yourself გახდა პირველი ჰიპ-ჰოპ სიმღერა, რომელიც "ოსკარით" დაჯილდოვდა.

■ ■ ■

2003 წლის 25 ნოემბერი: ფანებს დაემშვიდობა ჯეი-ზი და გამოსამშვიდობებელი კონცერტი ნიუ იორკში, მედისონ სქვეარ გარდენზე გამართა.

■ ■ ■

2004 წ.: ჰიპ-ჰოპი დაბადების 30 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამავე წელს ჰიტი Rapper's Delight 25 წლის გახდა.

# ჰიპ-ჰოპის რვა მილი

## მუსიკალური ჟანრის ანი-დან ჰაე-მდე

*ჰიპ-ჰოპი 30 წლისაა და დაბადებიდან ამდენი დროის გასვლის შემდეგაც პოპ-მუსიკის ყველაზე პოპულარულ მუსიკად რჩება. როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, მას შემცვლელი არ მოეძებნება.*
*ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით "ლოს ანჯელეს ტაიმსისა" და "ვაშინგტონ პოსტის" ერთობლივი საინფორმაციო სამსახური წერილების მთელ სერიალს აქვეყნებს. ჩავსხდეთ ჰიპ-ჰოპის დროის მანქანაში და დავიწყოთ თავიდან. ვნახოთ, ჰიპ-ჰოპი დღეს და გუშინ.*



"ჰიპ-ჰოპი შავკანიანებისთვის შექმნილი "სი-ენ-ენ"-ია," - თქვა ერთხელ მომღერალმა ჩაკ დიმ "ფაბლიქ ენემიდან" და იგულისხმა ის, რომ ხსენებული ჟანრი ეთნიკური უმცირესობებისთვის საუკეთესო საკომუნიკაციო საშუალებაა.

ათწლეულების შემდეგ კი, როცა ჰიპ-ჰოპმა შავკანიანების საზღვარი გადალახა და მთელი მსოფლიოს გემოვნების დაპყრობა შეძლო, ჩაკ დიმ განსაზღვრება განავრცო და თქვა: "ჰიპ-ჰოპი ახლა უკვე მსოფლიო რელიგიაა. მისი ენა ყველა ხალხს, თითოეული კულტურის წარმომადგენელს ესმის. თითოეულ ქვეყანას ჰიპ-ჰოპის თავისი ბრენდი და სტილი აქვს".

და მართლაც, ჰიპ-ჰოპი - ეს ტერმინი ბევრ რამეს ნიშნავს. ის ერთდროულად მუსიკაა. კულტურაა. საბაზრო პლატფორმაა. ამერიკული კულტურის თითოეული კატეგორიის ნაწილია - ფილმის, ტელევიზიის, მოდის, მეტყველებისაც კი (Yo, bro, Fo, shizzle... - ასე უკვე დღეს არა მხოლოდ ამერიკელი შავკანიანები ლაპარაკობენ). და ახლა ჟანრის მაგნატები, რასელ საიმონსი და შონ "ფი დიდი" ქომბზი ცდილობენ, ის სოციალური ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო ინსტრუმენტად აქციონ.

მოკლედ, პოპ-კულტურა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ჰიპ-ჰოპზე და ეს მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგენი ამ მუსიკის ძალადობრივ შინაარსს გმობენ და აპროტესტებენ.

ჰიპ-ჰოპი აერთიანებს ყველას: ბრუკლინელ საქმოსნებს, ბრაზილიელ მეამბოხეებს, პარიზის მაღალ წრეებს, იაპონელ ჰიპებს და ქართველ რეპერებსაც. ეს ჟანრი უკვე შინაარსობრივად იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ მას უკვე ყველაფერი აქვს ყველასთვის - განგსტერული სიუჟეტები 50 ცენტისგან, საცეკვაო ჰანგები ლი`ლ ჯონისგან, სოციალურად მძიმე ტექსტები მოს ედეფისგან და პოლიტიკურად გადატვირთული ჰიმნები ჯადაქისისგან.

არადა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჰიპ-ჰოპი იმედგაცრუებისა და სასოწარკვეთის ფონზე წარმოიშვა.

ეს 1974 წლის 12 ნოემბერს მოხდა. ნიუ იორკში, ბრონქსის ერთ-ერთ სახლში შინაურული წვეულება იმართებოდა. ქულ დი ჯეი ჰერქი კი ხალხის გართობას ვერაფრით ახერხებდა. ბოლოს მან ხერხი სცადა: სიმღერების ნუსხიდან აიღო მხოლოდ დასარტყამ ინსტრუმენტებზე შესრულებული ნაწილი და ჩართო. ხალხი გაისუსა. დი ჯეიმ იგრძნო, რომ ყველა დააინტერესა. და იგივე გაიმეორა. მოცეკვავეებისგან კიდევ უფრო დიდი მუხტი წამოვიდა და მერე ქულ ჰერქიმაც სულ ასე გააგრძელა, საკრავის ნემსს მაშინვე უკან აბრუნებდა, როცა დასარტყამების ხმა მიწყდებოდა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. "ფართი" გაველურდა...

ასე შეიქმნა რიტმი, რომელიც ჰიპ-ჰოპის ბაზისი გახდა. მერე კი, თანდათან, ქულ დი ჯეი ჰერქის გამოგონება თვითგამოხატვის სხვა საშუალებებს შეუერთდა - დი ჯეები ბრეიკდანსერებს დაუკავშირდნენ, ორივენი ერთად - გრაფიტის მხატვრებს. ყველამ ერთად კი აღმართეს ის საყრდენი სვეტები, რომლებზეც ჰიპ-ჰოპის მთელი ჟანრი დაფუძნდა. აზრობრივად კი ეს სვეტები ერთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გამოხატავდნენ - ჰიპ-ჰოპის მიმდევრები ამბობდნენ: "შემხედე. მიყურე. მე ვარსებობ და მე მნიშვნელოვანი ვარ!"

70-იანი წლების მეორე ნახევარში მსგავსი დევიზები ჭრიდა; მით უფრო - ბრონქსში, სადაც დაბალი ფენის ამერიკელები ცხოვრობდნენ და ის აგრესია და კრიტიკა, რაც ჰიპ-ჰოპიდან მოდიოდა პირდაპირ გამოხატავდა მათ პირად სათქმელს. ამიტომაც ჰიპ-ჰოპი უკვე ყველგან გაჩნდა - ნაციონალურ ტელევიზიებსა და რადიოებში, "გრემის" ცერემონიალზე, "ბილბორდის" ჩარტებში, კინემატოგრაფში, ეზოებსა და ქუჩებშიც.

ჰიპ-ჰოპმა მთელი თაობების "აღზრდის" საქმე გადაიბარა. ნიუ იორკში, სთეითენ აილენდზე ჰიპ-ჰოპის კოლექტივი ვუ-ტანგ კლანი ჩამოყალიბდა. ბრუკლინურმა ყოველდღიურმა სიუჟეტებმა ნოთორიოზ ბი.აი.ჯი. შთააგონა და მას მუშათა კლასის ჰიპ-ჰოპური ბალადები დაამღერებინა; ამერიკა გაწელილ ზანგურ აქცენტზე წარმოთქმულ - East და West Coast-ებად, ანუ დაპირისპირებულ აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებად დაჰყო; ბევრი სისხლის დაღვრის მიზეზიც გახდა - თუფაქ შაქურის, ნოთორიოზ ბი.აი.ჯი.-ს; ბევრი ფულის გაკეთების საშუალებადაც იქცა და ისეთი ფენომენიც წარმოშვა და შეითავსა საკუთარ თავში, როგორიც "ჰიპ-ჰოპ მაგნატია" - ამ ტიპის მომღერალია მაგალითად, დიდი, ბრჭყვიალა ჯვრებით კისერდამძიმებული შონ "ფი.დიდი" ქომბზი; რეპერი, რომელიც უკვე დიდი ხანია საქმოსანი გახდა და გარდა ამისა, საკუთარი ამბიციები მოდის სფეროშიც დააფიქსირა...

მოკლედ, 30 წლის თავზე ჰიპ-ჰოპს გასახსენებლი ბევრი აქვს. მისი ძირითადი მიზანი კვლავაც ისაა, რომ დაჩაგრული ადამიანის ხმად იქცეს. თუმცა, ჰიპ-ჰოპი უკვე ძალიან მომგებიანი და მრავალგანშტოებიანი ინდუსტრიაცაა, რომლის წლიური შემოსავალიც 10 მილიარდ დოლარამდეა.

ამ მხრივ ძალიან შთამბეჭდავია ამერიკის ხმის ჩამწერი ინდუსტრიის ასოციაციის მონაცემებიც: 2003 წელს შტატებში გაყიდული ყოველი მეოთხე დისკიდან თითქმის ერთი ჰიპ-ჰოპი ანდა რიტმ-ენ-ბლუზი იყო. ამ გაყიდვების ჯამი კი 2.8 მილიარდ დოლარს უკაკუნებდა. წლის ყველაზე პოპულარული ალბომი 50 ცენტის Get Rich or Die Tryin იყო. ამ ყველაფრის გამო კი, ჰიპ-ჰოპი სიდიდით მეორე მუსიკალური ჟანრი გახდა როკის შემდეგ.

და თუ უფრო მეტად გვინდა ჰიპ-ჰოპის პოპულარობის მასშტაბების დადგენა, მაშინ ეს სტატისტიკაც ვნახოთ: თურმე, 1995 წლიდან მოყოლებული ჰიპ-ჰოპის პოპულარობა ორჯერ გაიზარდა - ბაზრის 6.7 პროცენტიდან შარშან ის უკვე 13.3 პროცენტს ფლობდა.

მუსიკათმცოდნეები კი ამ ექსპანსიაში გასაკვირს ვერაფერს ხედავენ. ჰიპ-ჰოპი 30 წლის იუბილეს გადაიხდის და კვლავაც მუსიკის ძირითადი ნაკადის სათავეში დარჩება. "ის კვლავაც პოპ-კულტურის დომინანტი წევრი იქნება. ჰორიზონტზე ჯერაც არ გამოჩენილა მიმდინარეობა, რომელიც მას შეცვლის", - აცხადებს როკ-ენ-როლის დიდების დარბაზისა და მუზეუმის დირექტორი კლივლენდიდან ჰოვარდ კრამერი და იქვე დასძენს: "როცა როკ-ენ-როლი 30 წლის ხდებოდა, მის შესავსებად ანდა შესაცვლელად ჰიპ-ჰოპი უკვე იდგამდა ფეხს. ახლა კი როცა ჰიპ-ჰოპი ზეიმობს იუბილეს, მას კონკურენტი თითქმის არ ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითობის თვალსაზრისით, ის კვლავაც ათასგვარი ხილით სავსე ჩანთას წააგავს".

ჰიპ-ჰოპი, მართლაც, იმხელა თემაა, რომ საუბარი დიდხანს შეიძლება გაგვიგრძელდეს. ბრეიკდანსი, გრაფიტი, ქალები, ტანსაცმელი, რიტმი, სიმღერების შინაარსი, ე.წ. მაგნატები და ვარსკვლავები, ახალი ჟანრები - ჰიპ-ჰოპის ხსენებაზე ხომ ეს ყველაფერი ტივტივდება გონებაში. ასე რომ, ვნახოთ, იქნებ თემის გაგრძელებაც ღირდეს.

ნესტან კვინიკაძის სვეტი

# Sorry, We`re Dead



უტოპია თუ პოსტუტოპია?! მოკლედ, თბილისს არც წელს დასწყვიტეს გული. კიდევ ერთი დაბადების დღე და შეძლებისდაგვარად გათამაშებული სცენარი.

საზოგადოების რომელი ფენისთვის არის აქტუალური ეს დღე? მომავალზე გულაყრილთათვის; თინეიჯერებისთვის, თუ მთელი კვირის მანძილზე შრომით დაქანცული მოსახლეობისთვის? ისევ და ისევ ბავშვებთან მივედით. უფრო ზუსტად, კი ბავშვების იმ კონკრეტულ ნაწილთან, რომლებსაც მშობლები დაბადების დღეებს ვერ უხდიან და წლიდან წლამდე "დედაქალაქობას" ელოდებიან, რათა ღია ცის ქვეშ გემო გაუსინჯონ ტკბილეულს, ან ორგანიზებულ ღონისძიებას, მამის კისერზე მოკალათებულებმა, შორიდან მაინც მოკრან თვალი.

ეს ბავშვები კანონზომიერების მიხედვით გაიზრდებიან. მრავალფეროვანი იქნება მათი პროფესიული არჩევანიც, და შესაბამისად, ხან ბიბლიოთეკაში, ხანაც საავადმყოფოში მოუწევთ მისვლა.

ჯავახიშვილი მყუდრო ქუჩაა. უფრო მყუდრო კი იქვე მდებარე იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა გახლავთ - თანამედროვეობას მოწყვეტილი, კაფკას განწყობისეული და საშუალო ასაკის ქალბატონებით დამშვენებული.

კომპიუტერში წიგნების სისტემური აღრიცხვის ბედნიერება, ჯერჯერობით საჯარო ბიბლიოთეკას ერგო, ისიც მხოლოდ თანამედროვე წიგნებზე ვრცელდება. არის გამოცემები, რომლებიც ძველი ტომების მსგავსად გამქრალია შენობიდან და დაჟინებული მოთხოვნის შემთხვევაში, კეთილგანწყობილი თანამშრომლები, საჭირო წიგნის მოძიებას "ხელუხლებელ ფონდში" გირჩევენ.

ასოციაცია უამრავი არსებობს, მე გავიხსენებდი კიდევ რომელიმე მწერალს, რომლის განწყობასაც ქალაქში არსებულ უამრავ "მიტოვებულ" დაწესებულებას მიუსადაგებდი, მაგრამ ვფიქრობ, საკმარისია. მხოლოდ ავის მხილებით საქმე არ კეთდება. აქ, ალბათ, ზუსტი დაკვირვებაა საჭირო, რადგან აღშფოთება, ყოველთვის, რაღაც დასრულებულთან ასოცირდება.

ზემოთ ნახსენები, ყოველი დაწესებულება, ერთ სიტყვას მოიაზრებს, - ეს ინტელექტი გახლავთ.

რატომ მოვედით აქამდე? სილატაკის შედეგად, თუ ყველაფერი მაინც ჩვენივე სადარბაზოებთან დამოკიდებულებით მოტივირდება, - გადამტერებული მეზობლების ჯიბრის შედეგად გამოუგველი დერეფნები, ანდა, საკუთარ, კეთილმოწყობილ, ბინებში შეკეტილობით განპირობებული ფაქტი. ერთი სიტყვით, გათიშულობა და უპასუხისმგებლობა, - ჩვენ ერთმანეთის სახლები უფრო გვაინტერესებს, ვიდრე სადარბაზოები. ეს სინდრომი ყველა მიმართულებით ვრცელდება.

ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე მე მე-9 საავადმყოფოში, რომელიც ომის დროს ჭურვებში მოყოლილი შენობის ესთეტიკაშია გადაწყვეტილი, მხოლოდ გამონაკლის ოთახებში ინარჩუნებს გასაძლებ პირობებს, დანარჩენ შემთხვევაში, უბრალოდ, გმირობის ტოლფასია ასეთ სივრცეში მუშაობა.

ჩემ მიერ საქართველოს არაერთ სოფელში განხორციელებული ექსპედიციის შედეგად, თამამად შემიძლია ვაღიარო, რომ სოფლის სკოლა უფრო კეთილმოწყობილი და მობილიზებულია, ვიდრე დედაქალაქის ცენტრში დაწესებული შენობები. სოფლის მასწავლებლების მიერ საგულდაგულოდ მოწყობილი სამასწავლებლო ოთახები, ფაქტია იმისა, რომ პასუხისმგებლობა არსებობს, და "ქალაქელების" დასახვედრად დაწმენდილი ფანჯრის შუშები დადასტურებაა იმისა, რომ მართალია სოფლის ბავშვები კილომეტრებს და სირთულეებს გადიან სკოლაში მისასვლელად, მაგრამ ყველა გრძნობს ვალდებულებას და პასუხისმგებლობას "რაღაც ძვირფასთან" მიმართებაში.

ვანის რაიონის სოფელ ჭყვიში მდებარე გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმს, სადაც მოსწავლეთათვის შესვლა 25 თეთრი ღირს და რომელსაც, დარწმუნებული ვარ, მთელი არსებობის მანძილზე, არანაირი გრანტი არ ღირსებია, გვერდითა სახლში მცხოვრები ბიჭოია ტაბიძის ოჯახი საკუთარი კარ-მიდამოს მსგავსად უვლის.

მივდივართ დასკვნამდე, რომ არა მხოლოდ ასწლიან სიდუხჭირეს მიჰყავს მდგომარეობა ასეთ ფაქტოლოგიამდე. თუ ჩვენი დამოკიდებულება, განუკითხაობის ჟამის იდენტურია, მაშინ, მართლაც, ფსევდო-დიზაინერების დეფილეს ღირსები ვყოფილვართ. თუ ტექსტის დასაწყისში ნახსენებ დაწესებულებათა თანამშრომლების ელემენტარული პირობებით უზრუნველყოფაზე (ზამთარი ახლოვდება) არავინ არის პასუხისმგებელი, მაშინ კიდევ უფრო სიურეალისტური ასოციაციების ღირსნიც ვყოფილვართ.

თბილისობის ყოველწლიური აღნიშვნა, რატომღაც, ძალიან მაგონებს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის, ბატონ გოგი დოლიძის ერთ აკვიატებულ აზრს - ყოველ ახალ სასწავლო წელს, პირველკურსელების შეკრება და ძირძველ ქუთაისში, ვასილ ამაშუკელის საფლავის მონახულება.

კინოპიონერ ვასილ ამაშუკელთან არანაირი პრეტენზია რომ არ გამაჩნია, ამას მკითხველი მიხვდებოდა. არც კონკრეტულად პრორექტორს ვერჩი, - უფრო მეტად ის სისტემა მაოგნებს, რომელიც საძირკველშერყეულ უნივერსიტეტს 15 სარეჟისორო ჯგუფის აყვანის უფლებას აძლევს. წელიწადში ასზე მეტი რეჟისორის გამოშვება, ცოტა არ იყოს მისტიკურია.

ერთ დღესაც, ალბათ, ბოლო მოეღება მიამიტურ ტენდენციებს, უგემოვნობით გამოწვეულ აღტაცებას და ყველაფრიდან, ღირებულის ჩათვლით, დარჩება მითი. მაგრამ თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ მითი უფრო მეტი დაზუსტებისთანავე ქარწყლდება, რომ კრიტიკული და მკაცრი მზერის შედეგად იგი თოვლივით დნება ხელში, მაშინ გამოდის რომ აღარაფერი გვრჩება, არც კაფია, არც კავკასიელ ალქიმიკოსთა საიდუმლო.

ჩვენ სულ ახლახანს დავიწყეთ ყველაფერი თავიდან. და დღემდე საზეიმო განწყობით, საგულდაგულოდ გამოწყობილები, სადაც კი არ მივედით ყველგან ერთი უცნაური აბრა დაგვხვდა - Sorry, We`re Dead (უკაცრავად, ჩვენ მკვდრები ვართ).

ჭადრაკი

## კაცები ქალებს სჯობნიან

საჭადრაკო ოლიმპიადის დასრულებამდე ექვსი ტური დარჩა, მაგრამ უკვე წინასწარ შეიძლება ითქვას, ვინ იქნება ქალებში გამარჯვებული. დღემდე ნათამაშები რვა ტურიდან ჩინელებმა უკლებლივ ყველაში გაიმარჯვეს და დარჩენილ ტურებში მათი დაწევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მეორე-მესამე ადგილებისთვის კი დიდი ბრძოლაა გაჩაღებული. ყველასთვის მოულოდნელად, მეორე ადგილზეა ლიტვის ნაკრები, რომელიც ჩინეთს 4 ქულით ჩამორჩება. მესამე-მეოთხე ადგილებს კი რუსები და უნგრელები იყოფენ. ლიტველთა აღზევება სპეციალისტთა უმრავლესობას შემთხვევითობად მიაჩნია და დარჩენილ ტურებში ამ გუნდის დაქვეითებას ელიან. ჩვენი ქალები კი ჯერჯერობით მე-10-17 ადგილებს იყოფენ და მეორე ადგილზე მყოფ ლიტველებს 2 ქულით ჩამორჩებიან. მეშვიდე ტურში ქართველი ქალები რუმინელებს დაუზავდნენ (1,5:1,5), ხოლო მერვეში აზერბაიჯანელებს სძლიეს (2:1).

უკეთესად აქვთ საქმე კაცებს. ისინი მე-8-14 ადგილებს იყოფენ 20 ქულით, თუმცა, მესამე ადგილს სულ რაღაც ერთი ქულა აშორებთ. მეშვიდე ტურში, ქალების მსგავსად, მათაც ყაიმით დაასრულეს შეხვედრა კუბელებთან (2:2), მერვეში კი საკმაოდ ძლიერ ჰოლანდიის ნაკრებს სძლიეს (2,5:1,5). ზურაბ აზმაიფარაშვილმა, ზვიად იზორიამ და გიორგი ყაჭეიშვილმა ყაიმით დაასრულეს პარტიები, გამარჯვების ქულა კი ქართველებს მოუტანა თამაზ გელაშვილმა, რომელმაც ერიკ ვან დენ დოელი დაამარცხა. პირველობას კვლავ არავის უთმობს უკრაინის ნაკრები. მათ 25 ქულა აქვთ და მეორე ადგილზე მყოფ რუსებს 3 ქულით უსწრებენ.

გუშინ საღამოს, მეცხრე ტურში, ქართველი კაცები დაუპირისპირდნენ ფრანგებს, რომელთაც, ქართველთა მსგავსად, აქამდე 20 ქულა ჰქონდათ მოპოვებული.

მოკლედ

## ფრეის "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ინტერში" ეპატიჟებიან

იტალიური კლუბის "პარმას" მეკარემ სებასტიან ფრეიმ განაცხადა, რომ იანვარში "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა მასთან კოტრაქტის გაფორმებას აპირებს. სხვათა შორის, მისით "ინტერიცაა" დაინტერესებული. "მე უკვე შევუთანხმდი "პარმას" ხელმძღვანელობას" იმაზე, რომ ისინი წინააღმდეგობას არ გამიწევენ კლუბიდან წასვლის გამო იმ შემთხვევაში, თუ "მანჩესტერ იუნაიტედის" ან "ინტერის" მიერ შემოთავაზებული წინადადება ჩემთვის სასურველი და მისაღები იქნება."

## ამერიკელ მოკრივეს ციხე ემუქრება

ამ რამდენიმე დღის წინათ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ამერიკელი მოკრივის ფლოიდ მეივეზერის საქმის წინასწარი მოსმენა გაიმართა. მას ყოფილი მეგობარი ქალის ჟოზე ჰარისის ფიზიკურ შეურაცხყოფაში ედება ბრალი. საქმე ეხება 2003 წლის დეკემბერში მომხდარ ინციდენტს მოკრივესა და ჟოზე ჰარისს შორის, რომელიც, სხვათა შორის, მისი სამი შვილის დედაა. ამ რამდენიმე დღის წინათ გამართულ საქმის წინასწარ მოსმენაზე ქალბატონმა ჰარისმა აღიარა, რომ პოლიცია შეცდომაში შეიყვანა და რომ კონფლიქტი მისი პროვოცირებული იყო, რადგან იმ მომენტში, ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით გაბრუებული, საკუთარ ემოციებს ვეღარ აკონტროლებდა.

სასამართლო წლეულს, 8 ნოებერს გაიმართება. შესაძლოა, ამერიკელი მოკრივე გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს.

## კრისტიან პანუჩი ვარჯიშიდან გააძევეს

იტალიის მასობრივი საინფორმაციო წყაროების განცხადებით, "რომას" მცველი კრისტიან პანუჩი "აგრესიული საქციელის" გამო გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვარჯიშიდან გააძევა. "ის გამომწვევად და აგრესიულად იქცეოდა ჩემსა და თანაგუნდელების მიმართ. ვარჯიშზე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. უწესოდ მოიქცა," - განაცხადა ლუიჯი დელ ნერიმ, თუმცა, თავი შეიკავა, დაეკონკრეტებინა, რა უწესო საქციელზე იყო საუბარი.

## ბექჰემმა აგასის ავტოგრაფი სთხოვა

საინტერესო ამბავი მოხდა მადრიდში, ამერიკელ ანდრე აგასისა და ესპანელ ტომი რობრედოს შორის მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ. როგორც გაირკვა, ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი ანდრე აგასის დიდი გულშემატკივარი ყოფილა. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ მატჩის შემდეგ ბექჰემი ჩოგბურთელის ავტოგრაფის სათხოვნელად გაემართა. აგასიმ, რა თქმა უნდა, უარი არ უთხრა სახელოვან გულშემატკივარს და ავტოგრაფი ჩოგანზე დაუტოვა.

თურმე ასეც ხდება... პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს შეუძლია, ერთი წუთით ჩვეულებრივ გულშემატკივრად იქცეს და თავის კერპს ავტოგრაფი სთხოვოს. ეს იმას ამტკიცებს, რომ ვარსკვლავებისთვისაც კი არაფერი ადამიანური უცხო არ არის.

## "ბოლტონის" თავდამსხმელი, შესაძლოა, ფეხბურთიდან წავიდეს

შესაძლებელია, ინგლისური კლუბის "ბოლტონის" თავდამსხმელი ლესლი ფერდინანდი 2004-2005 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელის კარიერას დაემშვიდობოს, თუმცა, ფეხბურთელს, რომელსაც დეკემბერში 38 წელი უსრულდება, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. "ფეხბურთიდან წასვლას ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს ვაპირებდი, მაგრამ ვიგრძენი, რომ კიდევ ბევრი რამ მქონდა გასაკეთებელი. ამიტომ "ბოლტონის" შემოთავაზება სიხარულით მივიღე. ფეხბურთის თამაში ახლაც ისეთივე დიდ სისამოვნებას მგვრის, როგორც რამდენიმე წლის წინათ. თუ ფეხბურთელობაზე უარს ვიტყვი, აუცილებლად მწვრთნელად დავიწყებ მუშაობას. საუკეთესო მწვრთნელებთან მუშაობამ დიდი გამოცდილება შემძინა," - განაცხადა ინგლისური ფეხბურთის ვეტერანმა.

*მოამზადა*
*ნინო ტიკარაძემ*

ფეხბურთი

www.pfl.ge

# თემურ მახარაძე - კაცი, რომელმაც ფეხბურთი იცის

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-12 ტურის მთავარი მოვლენა, წესით, დღეს, ავლაბარში, "ოლიმპის" სტადიონზე უნდა მომხდარიყო, სადაც ამბიციური "თბილისი" ჩემპიონატის ლიდერს, თბილისის "დინამოს" უმასპინძლებს. მაგრამ გუშინ "ლოკომოტივის" სტადიონზე გამართულმა მატჩმა ყველა სხვა თამაში დაჩრდილა და, ალბათ, მიმდინარე ჩემპიონატის ყველაზე ხმაურიანი სენსაცია გამოაცხო.


თემურ სუხიტაშვილის ფოტო

*მახარაძემ ზესტაფონელებს ფეხბურთი დაუბრუნა.*

ბოლო პერიოდში სიჩქარეაკრეფილმა რკინიგზელთა გუნდმა აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელს, "ზესტაფონს" უმასპინძლა. ამ ორი გუნდის მდგომარეობა, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან. მე-12 ტურამდე "ლოკომოტივს" 20 ქულა ჰქონდა აქტივში. მართალია, ეს გუნდი სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზე იყო, მაგრამ მეორე ადგილზე მყოფ ქუთაისის "ტორპედოს" სულ 3 ქულით ჩამორჩებოდა და საპრიზო ადგილებისთვისაც საფუძვლიან პრეტენზიას აცხადებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო დროს რკინიგზელები საგრძნობლად გაძლიერდნენ. სეზონის დასაწყისში "დინამოდან" ამ გუნდში გადასულ გვარამაძეს, ბობოხიძეს და გოგობერიშვილს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ბურდულიც დაემატა. დაკომპლექტების თვალსაზრისით, "ლოკომოტივი" ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია საქართველოში.

აბსოლუტურად განსხვავებულ სიტუაციაშია "ზესტაფონი", რომელიც 7 ქულით გასავარდნ ზონაში იყო. ის წინა თერთმეტი მატჩიდან რვაში დამარცხდა და ასევე აუტსაიდერებთან, "დილასთან", "კოლხეთთან" და "სიონთან" ერთად, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის მთავარ კანდიდატად ითვლებოდა.

გუშინდელი წარმატების მიუხედავად, შესაძლოა, "ზესტაფონს" ბევრი ისევ გავარდნისთვის განწირულად მიიჩნევს, მაგრამ პირადად მე გამოვთქვამ ზოგიერთისთვის, ალბათ, ძალიან თამამ ვარაუდს და ვიტყვი: "ზესტაფონი" არათუ არ გავარდება, არამედ მედლებისთვის იბრძოლებს. შეკითხვას "რატომ" ძალიან მარტივი პასუხი აქვს: თემურ მახარაძე.

დიახ, "ზესტაფონს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, პიროვნება, რომელიც ქართულ საკლუბო ფეხბურთში ბევრი სასწაულის ავტორია და ისეთი პირი უჩანს, კიდევ ერთ სასწაულს მოახდენს. ახლო წარსულში მახარაძემ ყველა თვალსაზრისით დაქცეული გუნდები არათუ ფეხზე დააყენა, არამედ სერიოზულ გუნდებად აქცია და საპრიზო ადგილებთან ერთად უეფა-ს ტურნირების საგზურებიც მოაპოვებინა. "მერანი", რომელიც პირველი ლიგიდან გავარდნის ზღვარზე იყო, მისვლის პირველივე წელს უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა, ხოლო უძლიერესთა კომპანიაში პირველივე წელს ინტერტოტოს თასზე ასპარეზობის უფლება მოაპოვებინა; "ვიტ ჯორჯია" და "ლოკომოტივი" უეფა-ს თასზე გაიყვანა, ბოლნისის "სიონი" ამ გუნდში მუშაობის პირველივე წელს ეროვნული თასის ფინალში გაიყვანა, ხოლო მეორე წელს "სიონმა" საჩემპიონო "ოქროს მატჩში" მიიღო მონაწილეობა.

ასეთი გახლავთ ძალიან მოკლედ თემურ მახარაძის მიღწევები. სამწუხარო ის არის, რომ ამ მიღწევებს ვერავინ ხედავს. ვერ ხედავენ ფეხბურთის ფედერაციის შეფები, რომლებსაც ერთხელაც კი არ მიუციათ შანსი მახარაძისთვის, ფეხბურთის ცოდნა, ეროვნულის თუ არა, რომელიმე ასაკობრივი ახალგაზრდული ნაკრებისთვის მოეხმარებინა. ამას ვერ ხედავდნენ ვერც ის გუნდები, რომლებშიც ბატონმა თემურმა იმუშავა, დიდ წარმატებებამდე მიიყვანა, ხოლო მერე ის ისე გამოუშვეს ამ კლუბებიდან, მადლობაც არ გადაუხდიათ. თუმცა, რა მოიგეს? "მერანი" აღარ არსებობს, "სიონი" გავარდნის პირასაა და ძალიან გაუჭირდება ლიგაში ადგილის შენარჩუნება, თავად მახარაძე კი "ზესტაფონშია" და სულ მალე საქართველოში ახალი საფეხბურთო ლიდერის დაბადება უკვე ფაქტად იქცევა.

არ იფიქროთ, მხოლოდ "ლოკომოტივის" თუნდაც მისსავე მოედანზე ძლევა მაძლევს ამის თქმის საფუძველს. მახარაძე სამი ტურის წინ მივიდა ამ გუნდში და, თავად განსაჯეთ, ზედიზედ როგორი სამი თამაში ელოდა: სტუმრად "თბილისთან" და "ლოკომოტივთან", შინ - "ტორპედოსთან".

"თბილისთან" მატჩის წინ ახალმა მწვრთნელმა მხოლოდ ფეხბურთელების გაცნობა და მათთვის დავალებების მიცემა მოასწრო. იმ შეხვედრაში 85-ე წუთამდე ანგარიში 0:0 იყო, ამ დროს "ზესტაფონის" კარში დაინიშნა თერთმეტმეტრიანი და მახარაძის გუნდს კაპიტულაცია მოუხდა. თუმცა, პენალტამდე ათი წუთით ადრე ზესტაფონელები ორი ერთზე აღმოჩნდნენ "თბილისის" მეკარესთან, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეს.

შემდეგ იყო მატჩი "ტორპედოსთან", რომელშიც მაშინ ჯერ კიდევ პირველი წრის ერთპიროვნული ლიდერი ზესტაფონელებთან მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

გუშინ "ზესტაფონმა" "ლოკომოტივი" დაამარცხა, თანაც, საკმაოდ დამაჯერებლად. სტუმრები 2:0-საც კი იგებდნენ (გოლები გაიტანეს ზირაქიშვილმა და გვარუციძემ), თუმცა, "ლოკომოტივმა" შეძლო პრესტიჟის გოლის გატანა (ონიანი).

ერთი სიტყვით, "ზესტაფონს" 10 ქულა დაუგროვდა. აქედან 4 ბოლო ორ მატჩზე მოდის და პირადად თემურ მახარაძის დამსახურებაა. ზესტაფონელებს ვულოცავ არა ამ გამარჯვებას, არამედ იმას, რომ მათ გუნდში მიიყვანეს კაცი, რომელმაც იცის ფეხბურთი და გამარჯვების ფორმულა. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას: ზესტაფონში ფეხბურთი დაბრუნდა.

"ზესტაფონთან" ფრედ ნათამაშები მატჩის შემდეგ გონს მოსვლა ვერ შეძლო ქუთაისის "ტორპედომ", რომელმაც აუტსაიდერ "კოლხეთთან" ფრედ დაასრულა საშინაო შეხვედრა.

მართალია, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს (კოშკაძე 13`), მაგრამ ქუთაისელებმა ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა და მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. საპასუხო გოლი ფოთელმა თაყაძემ გაიტანა.

ასევე მოულოდნელ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს "სიონის" გამარჯვება ბათუმის "დინამოსთან". მატჩი ბოლნისში გაიმართა და მასპინძლებმა 32-ე წუთზე სტუმართა მცველის, თედორაძის მიერ საკუთარ კარში ჩაჭრილი ბურთის წყალობით გაიმარჯვეს.

**მე-12 ტური**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი - ზესტაფონი | 1:2 |
| ტორპედო - კოლხეთი | 1:1 |
| სიონი - დინამო (ბთ) | 1:0 |

**დღეს გაიმართება:**

თბილისი - დინამო (თბ)
ვიტ ჯორჯია - დილა

# "იმპერატორი"



*ტიფოზები ადრიანოს "იმპერატორს" უწოდებენ.*

გასულ კვირას "უდინეზეს" კარში გატანილ ორ გოლთან შედარებით, ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურში "ვალენსიას" განადგურებაში შეტანილი წვლილი მილანის "ინტერის" ფორვარდ ადრიანოსთვის, ცოტა არ იყოს, თავმდაბლურია, მაგრამ მან "მესტალიაზეც" გამოიჩინა თავი. იოლად შეაგდო ბურთი სანტიაგო კანისარესის კარში და თავისი გუნდის ხუთი გოლიდან მეოთხე გაიტანა. იმ დღეს "ინტერმა" გაანადგურა "ვალენსია" - 5:1.

შეიძლება, მართლაც, თავმდაბლური წვლილია, მაგრამ ეს გოლი 22 წლის ფორვარდს (რომელსაც ტიფოზებმა "იმპერატორი" შეარქვეს), ადრიანოს დაეხმარა, ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირობა შეენარჩუნებინა. საკვალიფიკაციო ეტაპზე "ბაზელთან" მატჩში სამი გოლი რომ გაიტანა, ჯგუფურ ეტაპზე ადრიანომ ამ მიღწევას კიდევ ოთხი დაუმატა.

მას შემდეგ, რაც "ინტერმა" "მესტალიაზე" სასტიკად გაანადგურა "ვალენსია", ესპანელთა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ ადრიანოს სახელოვანი ფეხბურთელი უწოდა. საინტერესო კი ის არის, რომ ასეთ შეფასებას ბევრი მწვრთნელი ვერ შეეწინააღმდეგება. ყოველ შემთხვევაში, რობერტო მანჩინის აზრიც რანიერის გამონათქვამის იდენტურია. "ის ფლობს ლუიჯი რივას ძალას, მარკო ვან ბასტენის სისწრაფეს და რომარიოს ალღოს. მე არასოდეს მინახავს სხვა, უფრო ნიჭიერი ფორვარდი", - კომპლიმენტებს არ იშურებს შავ-ლურჯების მწვრთნელი.

ამგვარი დამოკიდებულება, ბუნებრივია, ფეხბურთელს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, მაგრამ 12 თამაშში 11 გოლის გამტანი ადრიანო ამ პასუხისმგებლობას უმკლავდება. "უდინეზეს" კარში გატანილმა გოლებმა კი კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ბრაზილიელის უმაღლეს საშემსრულებლო ოსტატობას. პირველი გოლი საჯარიმოდან გაიტანა. ადრიანომ დაახლოებით 30 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა. მეორედ კი ინდივიდუალური ოსტატობით გაახარა გულშემატკივარი. ამის შემდეგ ადრიანომ ასისტენტობა გაუწია ვიერის, რომელმაც წერტილი დაუსვა "უდინეზეს" განადგურებას.

"ადრიანოს მეორე გოლმა მე ერთი ფეხბურთელი გამახსენა, სახელად პელე, - აღიარა მილანის "ინტერის" პრეზიდენტმა ჯიაჩინტო ფაკეტიმ, - ერთ-ერთ ეპიზოდში მან სიძლიერე, ტექნიკა, სიმამაცე, შესანიშნავი დრიბლინგი და, ამასთან, ცივსისხლიანობაც გამოავლინა, როცა გადამწყვეტ მომენტში კარში დარტყმა უაღრესად თავდაჯერებულად და მშვიდად შეასრულა. ეს მხოლოდ უდიდეს ფეხბურთელებს ახასიათებს. ახლა კი იმისთვის, რომ პელეს დონეზე გავიდეს, ადრიანოს რაღაც დიდი ტიტულის მოგება სჭირდება".

ადრიანოს მიღწევა მით უფრო შთამბეჭდავია, რომ თამაშამდე ცოტა ხნით ადრე მან გადაიტანა მომქანცველი მგზავრობა სამხრეთ ამერიკიდან, სადაც ბრაზილიის ნაკრების ღირსება დაიცვა. "მე დავიღალე, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თამაში მინდა, - განაცხადა მან "ვალენსიასთან" თამაშის შემდეგ, - ლამაზი გოლები, რა თქმა უნდა, მომწონს, მაგრამ უფრო მომწონს სერია A-ს პირველობაზე და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება".

იმ გუნდისთვის, რომელსაც კარგა ხანია დიდი მიზნებისთვის არ მიუღწევია, ასეთი ფეხბურთელის ყოლა ერთი ბედნიერებაა. სეზონის დაწყებამდე "ინტერი" ამ ფეხბურთელზე უფლებას "პარმასთან" იყოფდა, მაგრამ მილანელებმა 20 მილიონ ევროდ ადრიანო მთლიანად გამოისყიდეს. ახლა ენა არავის მოუბრუნდება თქვას, რომ ეს ფული ტყუილად დაიხარჯა.

როცა მაღალი და უნარიანი ფორვარდი ბრაზილიის "ფლამენგოდან" იტალიაში გადაბარგდა, მასში 5 მილიონი დოლარი იყო გადახდილი. მას შემდეგ, რაც ფეხბურთელმა მცირე ხნით "ფიორენტინაში" ითამაშა, "პარმამ" 17,3 მილიონი გადაიხადა იმისთვის, რომ ფეხბურთელზე უფლება "ინტერთან" გაეყო. ადრიანომ 18 თვის განმავლობაში დაიცვა "პარმას" ღირსება და ამ ხნის მანძილზე 37 მატჩში 23 გოლი გაიტანა.

შემდეგ საქმეში ჩაერთო "პარმას" ფინანსური პრობლემები და "ინტერმა" ადრიანო მთლიანად გამოისყიდა. ამის შემდეგ მას სინანულის მიზეზი ნამდვილად არ ჰქონია. იანვრის შემდეგ ფეხბურთელი შესანიშნავ თამაშს აჩვენებს და გოლები უხვად გააქვს როგორც იტალიის ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგის ტურნირში.

ბუნებრივია, ასეთი ტალანტი ბევრ მყიდველს იზიდავს, მაგრამ ცაცია სნაიპერი არ აპირებს, "ინტერის" შავ-ლურჯი მაისურა რომელიმე სხვაზე გაცვალოს. "ვიცი, რომ ჩემზე ბევრი კლუბი ნადირობს, მაგრამ ჩემი გული "ინტერს" ეკუთვნის, - ამბობს ადრიანო "ნერაძურის" ოფიციალურ საიტზე, - მინდა, აქ დიდხანს დავრჩე და ბევრი ტიტული მოვიგო". თუ ადრიანოს სურს, ეს იმას ნიშნავს, რომ "ინტერი" მალე გვირგვინს დაიდგამს.

ჩოგბურთი

# რუსები მოდიან

უიმბლდონის ჩემპიონი მარია შარაპოვა Swisscom Challenge-ის ტურნირის ფინალში გავიდა. როგორც ჩანს, მან სერიოზულად გადაწყვიტა, გახდეს მსოფლიოს პირველი ჩოგანი და ამ მიზნის მისაღწევად აღარავის ინდობს. ტურნირის ნახევარფინალში მან თანამემამულე ელენა დემენტიევა დაამარცხა - 4:6, 6:2, 6:3. რამდენიმე საათის შემდეგ კი მარატ საფინმა მადრიდში, მასტერსის ტურნირის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ნახევარფინალში მან ორ სეტში დაამარცხა ამერიკელი ანდრე აგასი - 6:4, 7:6 (7:4).



შარაპოვა სპორტული ფორმის პიკზე იმყოფება.

რაკი შარაპოვამ პირველმა მოიპოვა ფინალის საგზური, თავდაპირველად მის შესახებ მოგითხრობთ. ახალგაზრდა რუსმა ლამაზმანმა სერიოზული და, ალბათ, საბოლოო ნაბიჯი გადადგა წლის ბოლოს ქალთა შემაჯამებელ ტურნირში Tour Championship მონაწილეობისკენ, რომელიც ლოს-ანჯელესში გაიმართება. შვეიცარიის ჩრდილოეთის ქალაქ ციურიხში მან უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში გატეხა დემენტიევას წინააღმდეგობა.

უნდა ითქვას, რომ Swisscom Challenge-ის წლევანდელ ტურნირში სწორედ მარია შარაპოვას ასახელებდნენ უმთავრეს ფავორიტად. ბუნებრივია, ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, შარაპოვა აშკარად სპორტული ფორმის პიკზეა და მეორეც ის, რომ მარტო ოქტომბერში მან WTA-ის ორი ტურნირი მოიგო - სეულსა და ტოკიოში. როგორც ჩანს, რუსმა ჩოგბურთელმა გადაწყვიტა, მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს და ტრიუმფალური სვლა შვეიცარიაშიც განაგრძოს. შარაპოვა ცდილობს, საფუძველი მოიმზადოს მსოფლიოს პირველი ჩოგნობისთვის და წლის ბოლოს წარმატებული სვლა მას ამ მიზნის განხორციელებაში უდავოდ წაადგება. ყოველ შემთხვევაში, ასე ვარაუდობენ რუსი ჩოგბურთელის ბანაკში. ასეა თუ ისე, შარაპოვას არ გასჭირვებია შვეიცარიის ტურნირში საჩოგბურთო სამყაროში აღიარებული სახელების დამარცხება.

მეორე წრეში მისი მოწინააღმდეგე კიდევ ერთი ლამაზმანი, სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა იყო. შარაპოვას ოდნავ გაუჭირდა, თუმცა, მაინც მოახერხა მეტოქის ორ სეტში დამარცხება - 6:4, 7:5. მომდევნო სტადიაზე მას ამერიკელი ვინუს უილიამსის სახით უფრო სერიოზული მეტოქე გადაეღობა. შარაპოვა არ შეუშინდა უილიამსის ხმაურიან და ავტორიტეტულ სახელს და მასაც ორ სეტში - 6:3, 6:4 დააყრევინა ფარ-ხმალი. ამ მატჩის შემდეგ ნათელი გახდა, რომ უილიამსის ოცნება აუხდენელი დარჩება. მას სურდა, მსოფლიოს პირველი ჩოგნის სახელი დაებრუნებინა, მაგრამ აშკარაა, რომ უილიამსი ნამდვილად აღარ არის შარაპოვას მომრევი. უიმბლდონის ჩემპიონმა წლეულს უკვე ორჯერ დაამარცხა შავკანიანი ამერიკელი და დაამტკიცა, რომ სხვა ჩოგბურთელებივით მისი კომპლექსი არა აქვს.

დადგა ნახევარფინალის დროც, სადაც შარაპოვას ელენა დემენტიევა ელოდებოდა. ამ მატჩის წინ შარაპოვა, ცოტა არ იყოს, ნერვიულობდა. რაც უნდა იყოს, მისი თანამემამულე კარგ ფორმაშია, თანაც, ნახევარფინალამდე მან ელენა ბოვინა და აი სუგიამა დაამარცხა, რაც არანაკლებ დიდი დამსახურებაა, ვიდრე შარაპოვას მიღწევა. მოკლედ, ორივე მეტოქე ძლიერი და ერთმანეთის შესაფერისი იყო. ნახევარფინალის პირველ სეტში დემენტიევა მცირე უპირატესობას ფლობდა. კერძოდ, მან გამოიყენა შარაპოვას ერთადერთი შეცდომა, მისი გეიმი მოიგო და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სეტი თავის სასარგებლოდ დაემთავრებინა. ერთი სიტყვით, უფრო გამოცდილმა დემენტიევამ პირველი სეტი მოიგო - 6:4. ბუნებრივია, მოვლენების ასეთი განვითარება შარაპოვას ხელს არ აძლევდა, ამიტომ მეორე სეტისთვის მან მობილიზება შეძლო და სათამაშოდ, კარგი გაგებით, გაბრაზებული გამოვიდა. შედეგად, მან შანსი არ დაუტოვა გამოცდილ მეტოქეს და - 6:2 გაანადგურა. გადამწყვეტ სეტში შარაპოვა კვლავ ფლობდა უპირატესობას და თამაშიც მას მიჰყავდა. ეჭვი არ იყო, ასეთი თამაშის პირობებში დემენტიევა ვერ მოახერხებდა თამაშის სასურველ კალაპორტში დაბრუნებას და ახალგაზრდა მეტოქის დამარცხებას. საბოლოოდ შარაპოვამ მოიგო - 4:6, 6:2, 6:3. ფინალში მისი მეტოქე იქნება ავსტრალიელი ალისია მოლიკი, რომელმაც დაძაბული მატჩი მოუგო ტურნირის მასპინძელ პეტი შნაიდერს - 4:6, 6:1, 6:4.

ახლა კი ორიოდე სიტყვა მარატ საფინზე. შარაპოვას გამარჯვებიდან რამდენიმე საათში მან მოახერხა მადრიდის მასტერსის ფინალში გასვლა. კაცმა რომ თქვას, მანაც ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა და ამერიკელთა კერპი ანდრე აგასი დაამარცხა. თანაც, ეს ორ სეტში გააკეთა. მართალია, აგასი ბებერია, მაგრამ ჩოგბურთის თამაში არ დავიწყებია. ამიტომ მისი დამარცხება ნებისმიერი ჩოგბურთელისთვის უდიდესი წარმატებაა. ჰოდა, საფინმაც მიაღწია წარმატებას. ამ მატჩის წინ სპეციალისტებმა ანდრე აგასი შერაცხეს ფავორიტად, მაგრამ კორტზე საფინმა თავისი უპირატესობა დაამტკიცა. პირველი სეტი საფინმა უაღრესად მშვიდი, აუღელვებელი თამაშით მოიგო. მეტოქის ერთადერთი შეცდომა გამოიყენა, მისი მოწოდება აიღო და - 6:4 გაიმარჯვა.

სამაგიეროდ, რუს ჩოგბურთელს მეორე სეტში მოუხდა ნერვიულობაც და ოფლის ღვრაც. აგასი მიხვდა, რომ ასეთი თამაშით ვერაფერს გახდებოდა. მან შეძლო მობილიზება და მეორე სეტში სრულ საბრძოლო განწყობაზე გამოვიდა. მეტოქეები საკუთარ მოწოდებებს იგებდნენ და შეცდომების რიცხვი მინიმუმამდე დაიყვანეს. ასე მივიდა საქმე ტაი-ბრეიკამდე. დებიუტში საფინის საქმე ცუდად აეწყო. მან თავისი მოწოდება წააგო, მაგრამ შემდეგ, მობილიზებულმა, ამერიკელი, შეიძლება ითქვას, ნოკაუტში გაგზავნა. მან ზედიზედ ოთხი მოწოდება მოიგო და საბოლოოდ - 7:4 გაიმარჯვა.

ამრიგად, მასტერსის ტურნირის ფინალში მარატ საფინი გაეჯიბრება არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს, რომელმაც, თავის მხრივ, ნახევარფინალში ხორვატი ივან ლიუბიჩიჩი დაამარცხა - 6:4, 6:4.

კალათბურთი

# ვინ, რა, როგორ NBA-ში

## დასავლეთ კონფერენცია

სანდრო ნავერიანი

**8. "დალას მავერიქსი"**

**სასტარტო ხუთეული:** ჯოშ ჰოვარდი, დევინ ჰარისი, დერეფ ჰუდი, კალვინ ბუტი, ერიკ დამპიე.

"დალას მავერიქსი" არცთუ სახარბიელო ისტორიის მქონე კლუბია და წლევანდელ სეზონში, ალბათ, არაფერი შეიცვლება. დალასელმა მოხეტიალეებმა უკანასკნელ წლებში რამდენიმე კარგი სეზონი ჩაატარეს. ერთხელ დასავლეთ კონფერენციის ფინალშიც კი გავიდნენ, მაგრამ წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. ახლა უშუალოდ იმაზე, თუ რა შანსი აქვთ წლევანდელ სეზონში: სასტარტო ხუთეული ამგვარია მხოლოდ იმის გამო, რომ გუნდის წამყვან კალათბურთელებს ტრავმები აქვთ და არავინ იცის, როდის შეძლებენ მის მოშუშებას. თუმცა, არა მგონია, ჯოშ ჰოვარდს და ერიკ დამპიეს სეზონის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოუხდეთ. ამ კალათბურთელებმა შარშანდელ სეზონშიც გამოიჩინეს თავი და საკმაოდ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. უკანასკნელი წლების "დალას მავერიქსის" წარმოდგენა შეუძლებელია გერმანელი ლეგიონერის დირკ ნოვიცკის გარეშე. ნოვიცკიმ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში დიდი ღვაწლი გაწია იმისთვის, რომ დალასური გუნდი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ელიტაში შესულიყო. ის ასევე ხვდებოდა ყველა ვარსკვლავის (all star) დასავლეთ კონფერენციის შემადგენლობაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორი წლის მანძილზე დალასური კლუბის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელია. ერთი სიტყვით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სეზონის მსვლელობისას დირკ ნოვიცკი ჯოშ ჰოვარდს და ერიკ დამპიეს შეუერთდება, საკმაოდ სოლიდური ტრიო გამოვა. "დალას მავერიქსის" ლაზარეთში კიდევ ერთი კალათბურთელია, რომელიც ტრავმის გამო ვერ ხვდება სასტარტო ხუთეულში. ჯერი სტეკჰაუზს არც ერთ საკონტროლო მატჩში არ მიუღია მონაწილეობა (აღარაფერს ვამბობთ სასტარტო ხუთეულში მოხვედრაზე). მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ჯერი სტეკჰაუზი ტრავმის მოშუშებისთანავე სასტარტო ხუთეულში მოხვდება. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. დარწმუნებული კი იმიტომ ვარ, რომ მასზე კარგი კალათბურთელები ცოტანი არიან დალასურ კლუბში. დაბოლოს, "დალას მავერიქსს" პლეი-ოფში მოხვედრის ისეთივე შანსი აქვს, როგორც "ფენიქს სანზს" და "იუტა ჯაზს". იუტელ ჯაზმენებზე კი ქვემოთ მოგახსენებთ.

**9. "იუტა ჯაზი"**

**სასტარტო ხუთეული:** რაჯა ბელი, კალოს აროიო, კარლოს ბუზერი, ანდრეი კირილენკო, მეჰმეტ ოკური.

"იუტა ჯაზმა" შარშანდელი სეზონი საკმაოდ კარგად ჩაატარა. რა თქმა უნდა, ჯაზმენებს უკეთესი, გაცილებით კარგი სეზონებიც ჰქონიათ, მაგრამ მაშინ გუნდში მელოუნი, სტოქტონი და ჰორნეჩეკი თამაშობდნენ. შეიძლება ითქვას, რომ შარშან ჯაზმენების კარგი თამაში რუსი ანდრეი კირილენკოს დამსახურებაა. კირილენკომ, მართლაც, ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და, "დენვერ ნაგეთსთან" ერთით მეტი წაგებული მატჩი რომ არა, "იუტა ჯაზი" პლეი-ოფშიც მოხვდებოდა, მაგრამ... ამის შანსი წლეულს აქვთ... უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი: წლეულს უკეთესი შანსი აქვთ. რატომ უკეთესი? იმიტომ, რომ ანდრეი კირილენკო გაცილებით კარგ ფორმაშია, ვიდრე შარშან იყო. მეჰმეტ ოკურს, რომელიც ჯაზმენების შემადგენლობაში წლეულს ჩაირიცხა, ამ გუნდისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. მეჰმეტ ოკურს კარგი, დაყენებული ტყორცნა აქვს საშუალო დისტანციიდან. თუ მეჰმეტ ოკურს ტყორცნები წაუვიდა, ანდრეი კირილენკომ თავისი შედეგიანობა გააუმჯობესა, რაჯა ბელმა ისევე გაათამაშა ბურთი, როგორც შარშან და კარლოს აროიომ და კარლოს ბუზერმა თავიანთი შედეგიანობა შარშანდელთან შედარებით არ გააფუჭეს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ "იუტა ჯაზს" არ გაუჭირდება, ყოველ მატჩში 80-90 ქულა მოაგროვოს. ეს კი ძალიან კარგი შედეგი იქნება. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჯაზმენებს სათადარიგოთა სკამზე უზით საკმაოდ შედეგიანი მეტ ჰარპრინგი, რომელსაც შეუძლია, კარგად ითამაშოს როგორც დაცვაში, ისე შეტევაშიც. დაბოლოს, როგორც წეღან აღვნიშნე: "იუტა ჯაზს", "ფენიქს სანზს" და "დალას მავერიქსს" ერთნაირი შანსი აქვთ, პლეი-ოფში მოხვდნენ. რომელი გუნდი გამოვა ამ სამიდან გამარჯვებული, ამას ჩვენი თვალით გაზაფხულზე ვნახავთ. თუმცა, ისიც შესაძლებელია, სამივე გუნდი გავიდეს პლეი-ოფში, ან სულაც ვერც ერთი.

*გაგრძელება მომდევნო ნომერში*

# ქორწილი ფაფუ!

ბიბა ბურასაშვილი

*კარგა ხანია, ორივე ჩოგბურთის სამყაროში კაშკაშებს. ერთმანეთსაც შორიდან ადევნებდნენ თვალყურს. ასე გრძელდებოდა 2000 წლამდე, ვიდრე ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე მათი გზები არ გადაიკვეთა. ახლახან კი მათი გზები გაიყარა.*



კლიისტერსისა და ჰიუიტის სიყვარულს წერტილი დაესვა.

მათი კავშირი იმიტომაც იყო საინტერესო, რომ ბევრს ვერ წარმოედგინა, როგორ შეძლებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას რადიკალურად განსხვავებული ხასიათების გამო. ბიჭი აგრესიული მანერებითაა ცნობილი, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ. გოგო კი ერთ-ერთი ყველაზე თბილი და სასიამოვნო ბუნების ადამიანია. თუმცა, ფაქტია, რომ ცა და დედამიწასავით განსხვავებული თვისებების გამო კუპიდონს ხელი არ შეშლია, მათ შორის სიყვარულის ძაფი გაება. განსხვავებული ხასიათების მიუხედავად, მათ საერთო მაინც აქვთ. ჯერ ერთი, ორივე ჩოგბურთელია. მეორე ის, რომ ორივე სპორტული ოჯახიდან მოდის. მათი მამები თავის დროზე ფეხბურთელები იყვნენ.

ერთი სიტყვით, მოვრჩეთ მიკიბ-მოკიბვას. საუბარია ჩოგბურთელებზე - ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტსა და ბელგიელ კიმ კლიისტერსზე, რომლებსაც შარშან, დეკემბერში, შეუღლება ჰქონდათ გადაწყვეტილი.

...ნარინჯისფერი მზე, სიდნეის ყურეში, მოლივლივე ტალღებში მოტორტმანე იახტა და ჩვენი გმირები - სასიძო ჰიუიტი და სარძლო კლიისტერსი.

"დეილი ტელეგრაფის" შარშანდელი ნომერი იუწყება: 23 დეკემბერს, იახტით სეირნობისას, ავსტრალიელმა ბელგიელს ხელი სთხოვაო. გოგომ თვალები დახარა და თანხმობის ნიშნად გაირინდაო. ქორწილის თარიღი მაშინვე არ დაუთქვამთ.

"ეს იყო განსაკუთრებული საღამო მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში, - ნიშნობას იხსენებს ავსტრალიელი. - უკეთესის ნატვრა ცოდვა იქნებოდა".

კლიისტერსს არ დაუმალავს, რომ მასაც ეამა ჰიუიტის წინადადება. ეგ კი არა, გავთხოვდები და ჩოგბურთიდანაც წავალ, რადგან მინდა, შვილები მყავდეს და თავი ოჯახისთვის გადავდოო. "ლეიტონმა, ცოტა არ იყოს, გამაოცა. ძალზე ბედნიერი ვარ. იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა წვრილმანებს, მაგრამ ამჯერად, მართალი გითხრათ, ისე მოიქცა, რომ გაოგნებული დამტოვა...

იახტაზე სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან მიმიწვია და უცებ ბეჭედი და საყურეები გამომიწოდა..."

ეს გახლავთ ამონარიდი შარშანდელი "დეილი ტელეგრაფიდან", დღეს კი 23 წლის ლეიტონ ჰიუიტისა და 21 წლის კიმ კლიისტერსის ინტიმურ ურთიერთობებს, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში ყვითელი პრესის ფურცლებიდან არ ჩამოსულა და საყოველთაო ჭორაობის საგანი იყო, წერტილი დაესვა. კუპიდონის მიერ გაბმული სასიყვარულო ძაფი სუსტი აღმოჩნდა - გაწყდა. ახლო მეგობრებს მაყარში წასვლა არ მოუწევთ. ქორწილი არ იქნება. მათ განშორება გადაწყვიტეს. არადა, როგორც ირკვევა, თურმე თებერვალში უნდა ექორწინათ.

კიმ კლიისტერსის ვებ-გვერდზე გამოჩენილი ინფორმაციით, გადაწყვეტილება ორმხრივი შეთანხმებით მიუღიათ.

"არ გვინდა, რაიმე საერთო გვქონდეს იმ ბინძურ ჭორებთან, რომელიც ამგვარ სიტუაციებში ჩნდება ხოლმე", - ვიგებთ ვებ-გვერდიდან.

იმ ფაქტმა, რომ მაჯის ტრავმის გამო კლიისტერსი საჩოგბურთო ორბიტაზე აღარ ჩანს, ბევრს გაუჩინა ეჭვი, რომ მალე ბელგიელი საერთოდაც წავა კორტებიდან.

ჩოგბურთის სამყაროში ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ჩოგბურთელებს შორის სიყვარულს ამოუხეთქავს. 70-იან წლებში ამერიკელი ჯიმი კონორსი და კრის ევერტიც ასეთივე დღეში იყვნენ. 1974 წელს მათაც ჰქონდათ ნიშნობა. მაშინ ჯიმი 21 წლის, ხოლო კრისი 19-ის იყვნენ. აღსანიშნავია, რომ იმავე, ნიშნობის წელს, ორივემ უიმბლდონი მოიგო, თუმცა, მათი სიყვარული ვერც ამან გადაარჩინა. საქმე ქორწილამდე არ მისულა - ნახევარ წელიწადში კონორსი და ევერტი ერთმანეთს დაშორდნენ.

TV-პროგრამა

## ორშაბათი. 25 ოქტომბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: მოზეს მელოუნი
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2003. პირველი წრე. "PHOENIX SUNS" - "SAN ANTONIO SPURS". მე-3 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სან-პაულუ" - "სანტოსი"
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" - "ოსასუნა"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტიორი" - "მეტალისტი"
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლანსი" - "მარსელი"
19:45 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:30 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ინტერი"
01:10 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "ბორისფენი"
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV. წინასასეზონო მატჩი. "CLEVELAND CAVALIERS" - "BOSTON CELTICS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:15, 16:00, 19:15 პრესცენტრი
10:25, 13:30 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" მადრიდში. ფინალი
13:50 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "GREEN BAY PACKERS" - "DALLAS COWBOYS"
16:15 ჭადრაკი. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა ესპანეთში
16:45 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ქალები. გიგანტური სლალომი
17:45 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი - "SKATE AMERICA". ვაჟები. საჩვენებელი პროგრამა
19:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
20:00 "სპორტული გლობუსი" "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:00 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 "ჰოკეი-პლუს"
21:25 "დიდი რინგი"
23:25 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "GREEN BAY PACKERS" - "DALLAS COWBOYS". შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:55 "ჰოკეი-პლუს"

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი შვეიცარიაში. ფინალი
11:30 სუპერბაიკი - სეზონის მიმოხილვა
12:30 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი გერმანიაში
15:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
17:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი
19:30 ფეხბურთი. ევროგოლები
20:30 მულტისპორტი
21:00 საბრძოლო ხელოვნება. პარიზის სპორტის სასახლე "ბერსი"
22:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
00:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
01:15 ფეხბურთი. ევროგოლები
02:15 ახალი ამბები
02:30 მულტისპორტი
03:00 მოტოსპორტი. "ფერარი" ტელეჟურნალი

# რამდენიმე მოსაზრება უმაღლესი განათლების კანონპროექტის თაობაზე

თემურ კობახიძე


იური ლობოდინის ფოტო

უმაღლესი განათლების კანონპროექტის მოძიება მხოლოდ ინტერნეტშია შესაძლებელი; არც გაზეთის, არც რაიმე სპეციალიზებული გამოცემის ფურცლებზე ის არ გამოქვეყნებულა. ამიტომ, თუ კანონპროექტის წაკითხვა გსურს, რამდენიმე ეტაპი უნდა გადალახო: უპირველეს ყოვლისა, უნდა გქონდეს კომპიუტერი და ჩართული უნდა იყო ინტერნეტში, ანუ კლავიატურა და DSL-ი შენთვის უცხო ხილი არ უნდა იყოს. შემდეგ - უნდა იპოვო განათლების სამინისტროს ვებგვერდი და ის ვებგვერდი უნდა ჩაიტვირთოს (gov.ge დომენის ყველა გვერდი ადვილად როდი იტვირთება). შემდეგ - უნდა შეურჩიო "ფონტი" (სხვანაირად გვერდი არ "ამოვა", ვერ წაიკითხავ). ბოლოს – მიიღებ ნანატრ სიამოვნებას.

საქართველო, მოგეხსენებათ, კალიფორნია ნამდვილად არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ კომპიუტერული და ინტერნეტის უნარ-ჩვევები მოსახლეობის უდიდეს პროცენტს არ გააჩნია. "კანონპროექტი" კი მხოლოდ ვირტუალურ სამყაროში მოძიებად საგანთა რიცხვს განეკუთვნება. ანუ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რომელიღაც ეზოტერული საზოგადოება თავის ვირტუალურ ვებგვერდზე აქვეყნებს თავისსავე წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის უმაღლესი განათლება და ამასთან, აუცილებლად არ მიიჩნევს იმას, რომ მომავალ კანონს ყველა მსურველი ადვილად გაეცნოს. დაინტერესებული რიგითი მოქალაქისათვის, კანონპროექტის "ხელში ჩაგდება" ერთობ პრობლემატურია. ფართო საზოგადოება სათანადოდ არ იცნობს იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ახლო მომავალში მისი შვილები უნდა გაანათლონ. სამინისტროს ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის პროფესურასთან უშუალო კონტაქტში არ შემოდის: როგორც იტყვიან, თვითონ მღერის და თვითონ ცეკვავს.

პირველი, რაც ამ დოკუმენტის წაკითხვისას თვალში გეცემათ, ის გახლავთ, რომ "კანონპროექტი" აშკარად გადმოთარგმნილია ინგლისურენოვანი დედნიდან, ან უფრო – დედნებიდან. ამას მოწმობს როგორც დოკუმენტის საერთო "უცხოური" ჟღერადობა, ასევე მისი ტერმინოლოგია, მრავალი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო "ნასესხები" დეტალი, რომელთა დედანიც ამერიკული უნივერსიტეტების ინტერნეტ-საიტებზე მოიძებნება. ასე მაგალითად, უნივერსიტეტის ლექტორი აქ "ასისტენტ-პროფესორია", დოცენტი – პირობითად, "ასოცირებული პროფესორია", ხოლო საკუთრივ პროფესორი – (თუმც მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებებით) მადლობა ღმერთს, ისევ პროფესორია.

თავისთავად, ამერიკული კანონის "გადმოქართულება", თუ ის ჩვენს რეალობას მოერგება და თანამედროვე სულისკვეთებას გამოხატავს, იქნებ მხარდასაჭერიც იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ წარმოდგენილ "კანონპროექტს" უმაღლესი განათლების შესახებ, ამერიკულ კანონმდებლობასთან არაფერი საერთო არა აქვს. ამას ცხადყოფს თუნდაც კორნელის უნივერსიტეტის (Cornell University) ვებგვერდზე გამოქვეყნებული აშშ განათლების კანონთა კრებული (http://www.law.cornell.edu/topics/education.html), რომელიც ვეჭვობ, რომ "პროექტის" ავტორებს წაკითხული ჰქონდეთ. ესეც არ იყოს, წარმოუდგენელია, რომ რომელიმე ფედერალური კანონი ისე დაწვრილებით განსაზღვრავდეს უნივერსიტეტის სტრუქტურას, ისე ახდენდეს ყველა უნივერსიტეტის უნიფიცირებას და ერთ თარგზე მორგებას, როგორც ეს "კანონპროექტშია" შემოთავაზებული. ამერიკული კულტურის, მათ შორის, საკანონმდებლო კულტურის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპია diversity - მრავალფეროვნება, "მრავალგვარობა" და არა უნიფიცირება და ერთგვაროვნება. "კანონპროექტი" კი საქართველოს **ყველა** უნივერსიტეტის ერთ ყაიდაზე მოწყობას გვთავაზობს. ამავე დროს, იქმნება მკაფიო შთაბეჭდილება, რომ მცირედი გამონაკლისით, მთელი კანონპროექტი, ფაქტობრივად, ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეხება, რაც თავისთავად კურიოზია.

ერთი სიტყვით, "კანონპროექტი" ამერიკული საკანონმდებლო აქტების თარგმანი კი არ არის (როგორც ეს მოსალოდნელი იყო), არამედ წარმოადგენს სხვადასხვა ამერიკული უნივერსიტეტების შინაგანაწესების, ე.წ. "Organization Chart"-ების არაადეკვატურ თარგმანთა კომპილაციას. ყოველი დიდი თუ მცირე ამერიკული უნივერსიტეტი, ჰარვარდითა და ბერკლით დაწყებული, საჯაროობისა და ტრანსპარენტობის მიზნით, თავის ვებგვერდზე თავისსავე შინაგანაწესს აქვეყნებს. ესაა უნივერსიტეტების წესდებები, რომლებსაც კანონის პრეტენზია არა აქვთ. სამწუხაროდ, ამ ვებგვერდებიდან "კანონპროექტის" თარგმნა-კომპილაცია შესრულებულია არაკომპეტენტურად, უცხო ენის ძალზე მწირი ცოდნით (ქართულზე არაფერს ვამბობ) და იმის გაურკვევლად, თუ საკუთრივ რა წერია დედანში. "კანონპროექტის" ქართულ ტექსტში ამას მოჰყვება ტერმინოლოგიური ქაოსი და სრული აზრობრივი გაურკვევლობა, რაც განსაკუთრებით საგრძნობია იმ ნაწილში, რომელიც უნივერსიტეტის სტრუქტურას ეხება.

ვისაც კი ოდესმე შეუღია თბილისის უნივერსიტეტის (ან საერთოდ, უნივერსიტეტის) კარი და ერთხელ მაინც წაუკითხავს ლექცია, კარგად იცის, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ბირთვი და საფუძველთა საფუძველი არის კათედრა. "უმაღლესი განათლების კანონპროექტში" კათედრა ნახსენებიც კი არსად არის, ერთადერთი შემთხვევის გარდა, სადაც ის ფრჩხილებშია მოხსენიებული (როგორც ჩანს, ავტორებს, კომპილაციის პროცესში, რომელიღაც პირველადი ტექსტიდან შემთხვევით "შემორჩათ"). სამაგიეროდ, მთელი ყურადღება გადატანილია ფაკულტეტზე, რომელიც განსაზღვრულია, როგორც "ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ერთეული", რომელიც "უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას" და "მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას".

აკადემიურ ხარისხს სტუდენტებს აქამდე სახელმწიფო საგამოცდო კომისია ანიჭებდა და არა ფაკულტეტი, რაც პირადად მე მართებულად მიმაჩნია. რაც შეეხება "კანონპროექტში" ფაკულტეტისათვის მიკუთვნებულ პირველ ორ ფუნქციას, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს კათედრის ფუნქციებია და არა ფაკულტეტისა. მთელ დოკუმენტში ფაკულტეტის შესახებ უხვად გაბნეული მსჯელობა, სადაც მას კათედრის ფუნქციები მიეწერება, გვაფიქრებინებს, რომ ავტორებს ტექსტების თარგმნისას კათედრა (ამერ. Department) ფაკულტეტში (ამერ. School, ან College) შეეშალათ ან აერიათ, რაც, ცხადია, აზრობრივ გაუგებრობას იწვევს. არადა ავტორები კარგად რომ დაკვირვებოდნენ, ვთქვათ, სტენფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდს, შეამჩნევდნენ, რომ იქ ფაკულტეტები კათედრებად (Departments) იყოფა, ხოლო უნივერსიტეტი ფაკულტეტებისაგან (Schools) შედგება, რაც საკმაოდ მარტივი და ადვილად გასაგები სტრუქტურაა (http://www.stanford.edu/home/academics/schools.html). იგივე დაყოფა არსებობს ამერიკისა და მსოფლიოს თითქმის ყველა სხვა უნივერსიტეტში. ამასთან, სტუდენტთა პროფესიულ მომზადებას სწორედ კათედრები (Departments) უძღვებიან და არა ფაკულტეტები ან დეკანატები.

მეორე მხრივ, თუ ის აზრი, რომ უნივერსიტეტის ბირთვი ფაკულტეტია (და არა კათედრა) არაკომპეტენტური თარგმანის შედეგი კი არ არის, არამედ დოკუმენტის ავტორთა პირადი კანონშემოქმედებითი ენთუზიაზმის ნაყოფია, მაშინ, როგორც რომაელები ამბობდნენ, miserabile dictu – მთლად უარესი და ძალზე საწუხარია.

"კანონპროექტში" მრავლადაა ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები: მეცნიერებათა დოქტორი, ყველგან "აკადემიურ წოდებად" არის მოხსენიებული, რაც ქართულად აბსურდულად ჟღერს, რადგან დოქტორი სამეცნიერო ხარისხია და არა აკადემიური წოდება. აკადემიური ხარისხებია ბაკალავრი და მაგისტრი. რაც შეეხება პროფესორს, ის მოხსენიებულია "აკადემიურ თანამდებობად" მაშინ, როდესაც პროფესორი უპირველეს ყოვლისა სამეცნიერო-პედაგოგიური **წოდებაა** და შესაბამისად, სამეცნიერო-პედაგოგიური თანამდებობაც (Learned Title and Position). ტერმინოლოგიურ ქაოსს, აქ სიტყვა "აკადემიურის" სისტემატური არამიზნობრივი ხმარება იწვევს მაშინ, როდესაც არსებობს დამკვიდრებული ტერმინები: "სასწავლო", "პედაგოგიური", "სამეცნიერო-პედაგოგიური", "სამეცნიერო" და საკუთრივ - "აკადემიური". როგორც ჩანს, სიტყვა "აკადემიური" (Academic) ავტორებს ყველა ამ ტერმინის ზოგად შემცვლელად ესახებათ, რაც პრინციპულად არასწორია.

განცვიფრებას იწვევს ის, რომ "დამხმარე პერსონალის" ჩამონათვალში "კანონპროექტის" ავტორებს უნივერსიტეტის მასწავლებელიც ჰყავთ მითითებული, თანაც, გაუგებარი თანამდებობის პირის, ე.წ. "ტექნიკოსის" გვერდით. ეს "ტექნიკოსი", რომელიც ქართულში არარსებული სიტყვაა, როგორც ჩანს, წარმოადგენს ინგლისური სიტყვის "Technician"-ის ("ხელოსანი") ტრანსლიტერაციას, რომელიც ავტორებს სიტყვის მნიშვნელობის გაურკვევლად, პირდაპირ გადმოუტანიათ. მაგრამ ჩვენ ყველანი, უნივერსიტეტის პროფესურა, მისი დოცენტები და ლექტორები პროფესორ-**მასწავლებლებად** ვართ ცნობილი ერთმანეთისთვისაც და ფართო საზოგადოებისთვისაც და "დამხმარე პერსონალის" ჩამონათვალში, "ტექნიკოსის" გვერდით ჩვენი მოხსენიება "კანონპროექტში", რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

მსგავსი აზრობრივი, სტილისტური და სხვა ლაფსუსები "კანონპროექტში" იმდენია, რომ გამოგიტყდებით, არც კი ვიცი, რომელი ერთი გამოვყო, როგორც ტიპური. მაგალითისათვის, ერთგან (გვ.2) წერია, რომ "სწავლების თავისუფლება", თურმე პროფესორის მიერ "ლექციაზე მისი აზრის გამოთქმის" უფლებას გულისხმობს მაშინ, როდესაც აზრის გამოთქმის თავისუფლება ყველა ჩვენთაგანს (მათ შორის არაპროფესორებსაც) კონსტიტუციით გვაქვს გარანტირებული. რატომ ხდება პროფესორების "გამორჩევა" მათთვის ისედაც გარანტირებული უფლებების თავიდან "გარანტირებით", გაუგებარია. ამ პუნქტს ერთგვარი გაფრთხილების ელფერი დაჰკრავს: თავისუფლად თუ არ გამოთქვა პროფესორმა თავისი აზრი ლექციაზე, რისი უნდა ეშინოდეს, საინტერესოა. სხვაგან, "საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების" განსაზღვრებაში გამოთქმულია აზრი, რომ ესაა "კურსი, რომელიც **აუცილებლად** შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სასწავლო პროგრამებს". ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სანამ კაცი მეცნიერებათა დოქტორი არ გახდება, ის ვერ იტყვის, რომ მას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ჩვენ კი უკვე ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი გვეგონა უმაღლესში განათლებამიღებულად.

ორიოდ სიტყვა უნივერსიტეტის ცენტრალურ მმართველ ორგანოებზე. ავტორებს წარმოუდგენიათ, რომ უნივერსიტეტი უნდა იმართებოდეს ორი უფლებამოსილი პირის... - რექტორის (აკადემიური სფერო) და კანცლერის (ადმინისტრაციული სფერო) მიერ. შესაბამისად, უნდა იყოს ორი საბჭო (?!): აკადემიური საბჭო და სენატი. სენატს სათავეში უდგას კიდევ ერთი პირი – სპიკერი, რომლის ფუნქცია და საერთოდ, საჭიროება ძალზე ბუნდოვანია.

ამ პუნქტის მიუღებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ორხელისუფლებიანობასა და ფაქტობრივად, მმართველობით ქაოსს ამკვიდრებს უნივერსიტეტში. უნივერსიტეტი იმდენად რთული და ინტეგრირებული მექანიზმია, რომ უმაღლეს დონეზე მისი მართვა აკადემიური და ადმინისტრაციული ასპექტების სინთეზს გულისხმობს. წარმოუდგენელია რექტორი, რომელიც მხოლოდ "მაღალ მატერიებზე" ფიქრით იქნება დაკავებული უკვე იმიტომ, რომ უნივერსიტეტი მრავალდარგობრივია და "პირწმინდად აკადემიური" რექტორი, ერთდროულად ყველა დარგში, "აკადემიური" ვერ იქნება. თუკი "აკადემიური დარგის" რექტორად სასწავლო დარგის პრორექტორი მოიაზრება, მაშინ გაურკვეველია, რა უნდა აკეთოს მან ადმინისტრაციული ფუნქციის გარეშე. ზუსტად ასევე წარმოუდგენელია "წმინდად ადმინისტრაციული" თანამდებობა კანცლერისა, რომელსაც შეუძლია პროფესორ-მასწავლებელთა "ადმინისტრირება" ისე, რომ შესაძლოა წარმოდგენა არც ჰქონდეს მათ აკადემიურ და სამეცნიერო დონეზე ან სასწავლო პროცესზე მთლიანად. კანცლერი შეიძლება იყოს უნივერსიტეტისათვის შემთხვევითი პირიც: ვთქვათ, რომელიმე დარგის მენეჯერი (რატომაც არა?), რომელიც შეითავსებს დღევანდელი რექტორის ადმინისტრაციულ ფუნქციებს და კომუნისტების დროინდელი "ზავხოზის" მოვალეობებს. ამგვარი თანამდებობის არსებობა, თუ მას ამავე დროს არ დაეკისრა აკადემიური ფუნქციებიც, უნივერსიტეტის მმართველ აპარატში უადგილოდ მიმაჩნია. ამასთან, "კანონპროექტის" თანახმად, თუ "აკადემიური საბჭო" მსჯელობს და დადგენილებები გამოაქვს აკადემიურ სფეროში, მაშინ "სენატს" დადგენილებები გამოაქვს ადმინისტრაციული განხრით, რაც პრაქტიკულად განუხორციელებელია უკვე იმიტომ, რომ აკადემიზმი და ადმინისტრაცია უმაღლეს სასწავლებელში **მართვის დონეზე** ერთმანეთისაგან განუყოფელი და ხშირად – ერთი და იგივეა.

ზოგ ამერიკულ უნივერსიტეტში, რომელთა ვებსაიტების არასწორი გაგება ამ პუნქტშიც იგრძნობა, პროვოსტი (იგივე კანონპროექტის "კანცლერი") არსებითად ადმინისტრაციული დარგის პრორექტორია, ანუ უნივერსიტეტის რეალური მმართველის – პრეზიდენტის დაქვემდებარებული პირი (State University System, იხ. მაგ., http://www.sjsu.edu/faculty-and-staff/). სხვა უნივერსიტეტებში (მაგ. UC Sysytem) "კანცლერი" ჰქვია რექტორს და დაქვემდებარებაში ჰყავს ვიცე-კანცლერები (ანუ პრორექტორები (იხ. მაგ., http://www.berkeley.edu/administration/). არის სხვა სქემებიც. საერთოდ, ამერიკული სისტემა უსაზღვროდ მრავალფეროვანია, მაგრამ საუნივერსიტეტო მმართველობის მკვეთრი დაყოფა "რექტორისა" და "კანცლერის" ორ თანასწორუფლებიან ოფისად არსად არ გვხვდება. ამიტომ, თუ "კანონპროექტი" გავიდა, უნივერსიტეტს უკეთეს შემთხვევაში ეყოლება ორი პრორექტორი – "რექტორი" (პრორექტორი სასწავლო დარგში) + "კანცლერი" (პრორექტორი ადმინისტრაციულ დარგში), ხოლო საკუთრივ რექტორის თანამდებობა თავისუფალი დარჩება. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რომ დოკუმენტის რამდენიმე მუხლის თანახმად, უნივერსიტეტში უმაღლეს ძალაუფლებას განათლების მინისტრი განახორციელებს (ითხოვს საბჭოს და სენატს, უწყვეტს უფლებამოსილებას რექტორს, კანცლერს და ა.შ.), უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონპროექტის გასვლის შემთხვევაში ბატონი მინისტრი უნივერსიტეტის რეალური რექტორის თანამდებობას შეითავსებს და ამით ორხელისუფლებიანობასაც ბოლო მოეღება. მეორე მხრივ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ უკვე მხოლოდ თბილისში რამდენიმე უნივერსიტეტი ფუნქციონირებს, განათლების მინისტრი კი ერთი გვყავს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი შეთავსებები ძალიან გართულდება და ეს მუხლიც საფუძვლიან გადახედვას მოითხოვს.

კიდევ ერთი და ბოლო პუნქტი, რომელზედაც მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ, ეხება უნივერსიტეტში 2-წლიანი "გარდამავალი პერიოდის" შემოღებას, რომლის განმავლობაშიც, "კანონპროექტის" თანახმად, უნდა გადადგეს რექტორი და დეკანები (არაფერია ნათქვამი პრორექტორებზე. გამორჩათ?), რომელთაც აღარ შერჩებათ ხელახალი კენჭისყრის უფლება და ა.შ.

პუნქტი უცნაურია რამდენიმე მიზეზის გამო და შესაბამისად, სერიოზულ კითხვებს წარმოშობს:

1). რას ნიშნავს დროებითი 2-წლიანი მმართველი? "კანონპროექტში" არ არის განსაზღვრული მისი სამეცნიერო და აკადემიური რწმუნებები. იქნება ეს მეცნიერი და პედაგოგი თუ შემთხვევით შერჩეული პირი, რომელსაც უმაღლეს განათლებასთან არავითარი კავშირი არა აქვს? თუ ეს შემთხვევითი პირი იქნა, რა ხეირს მოუტანს მისი დანიშვნა საუნივერსიტეტო განათლების რეფორმას?

2). იმ შემთხვევაში, თუ ორთვიანი დებატების შემდეგ, არსებული წესდების მიხედვით, დიდი საბჭო აირჩევს უნივერსიტეტის რექტორს, შემდეგ კი "კანონპროექტი" გავა, ახლადარჩეული რექტორი უნდა გადადგეს თუ არა? და თუ უნდა გადადგეს, რა აზრი აქვს მაშინ ასეთ არჩევნებს?

3). მოხდება თუ არა რექტორის გადადგომა იმ შემთხვევაშიც კი, თუ რექტორად ავირჩევთ საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეკომენდირებულ პირს? ხომ არ ეწინააღმდეგება "კანონპროექტი" ბატონი პრეზიდენტის უნივერსიტეტში ამასწინანდელი გამოსვლის საერთო სულისკვეთებას? და ბოლოს,

4). ვინაიდან "კანონპროექტი" მაინც უმაღლესი განათლების კანონპროექტია და არა ადმინისტრაციულ-სადამსჯელო კოდექსი, რამდენად მიზანშეწონილია მასში ამგვარი მუხლების შეტანა? უშუალოდ ვინ უნდა განახორციელოს "სადამსჯელო" ოპერაცია და სტრუქტურული რეორგანიზაცია, 2 წლის ვადით დანიშნულმა "კომისარმა"?

"კანონპროექტის" მიმართ სხვა, უფრო მასშტაბური და ვრცლად არგუმენტირებული შენიშვნები ახლახანს გამოცემულ საუნივერისტეტო ბროშურაშია თავმოყრილი, რომელიც უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ნამდვილად არ არის და ყველა მსურველისათვის ადვილად ხელმისაწვდომია. მე, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელმა, უბრალოდ, მკითხველს ჩემი პირადი მოსაზრება გავუზიარე: ის, რაც ვთქვი, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ აზრობრივი და ლოგიკური "მარგალიტებისა", რომლებიც წარმოდგენილ კანონპროექტში უხვად მოიპოვება.

ცხადია, უმაღლესი განათლების რეფორმა საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ეტაპზე აუცილებელი, გარდაუვალი და მისასალმებელია. მაგრამ იყო კი უნივერსიტეტის ისტორიაში პერიოდი, როდესაც მასში რეფორმა არ მიმდინარეობდა? საუნივერსიტეტო ცხოვრება ერთი და იგივე არასდროს არ არის და დღითი დღე ცვალებადია: ესაა მშვიდი და ბუნებრივი, სტაბილური პროცესი, რომელიც ყოველგვარი კავალერიული იერიშების და ხმლების ქნევის გარეშე მიმდინარეობს: რეფორმა ობიექტური პროცესია. საერთოდ, მთელ მსოფლიოში, საუნივერსიტეტო განათლება ერთდროულად ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატიული და ამავე დროს, მუდმივად რეფორმირებადი დარგია, რომელიც უხეშ (მითუმეტეს – არაკომპეტენტურ) ქირურგიულ ჩარევებს ვერ იტანს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი ისტორიით, აწმყოთი და მომავლით, ამ მხრივ გამონაკლისს ნამდვილად არ წარმოადგენს. ბოლომდე გაუაზრებელ, ზედაპირულსა და ნაჩქარევ ექსპერიმენტს ისიც ვერ აიტანს.

ახალი ტექნოლოგიები

# ნიუ იორკელი ინჟინრის უჩვეულო პროექტი

კალიფორნიაში რამდენჯერმე შექმნილმა ენერგეტიკულმა კრიზისმა გამოიწვია ის, რომ ზოგიერთმა ამერიკელმა დაიწყო ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებაზე ფიქრი და გარკვეული წინადადებები წამოაყენა.

ასეთია ნიუ იორკელი ინჟინრის ჰერი ჰენდერსონის იდეა.

ყოველ სხეულს ჩვენს პლანეტაზე აქვს წონა და მიიზიდება დედამიწისაკენ, სწორედ ამ უფასო ენერგიის გამოყენებაზე მუშაობს ინჟინერი ჰენდერსონი. მან უკვე ტექნიკურად დაამუშავა "გზის გენერატორ-კონვერტორი", რომელიც წარმოადგენს სითხით გავსებულ ზოლებს. როგორც კი მასზე მოხდება დაწოლა (ესე იგი გზაზე გაივლის ავტომობილი), სითხე მოძრაობაში მოდის, ხოლო შემდეგ ხდება ისე, როგორც ჰიდროელექტროსადგურებშია: მოძრავი სითხის ენერგია გარდაიქმნება ელექტროენერგიად.

ინჟინერს მიაჩნია, რომ ასეთი სახით მიღებული ელექტროენერგია შეიძლება გამოყენებული იქნას იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც, გამავალ გზატკეცილებზე ავტომობილების დიდი მოძრაობაა.

"ჩემი მზის გენერატორები დღე და ღამე იმუშავებენ", - ამაყად აცხადებს ახლა უკვე იმ კომპანიის პრეზიდენტი, რომელიც შეუდგა პროექტის პრაქტიკულ განხორციელებას.

დიახ, ახლა მზის და ქარის ენერგიის გამოყენების გარდა, ნიუ იორკელი ინჟინერი, ხუმრობის გარეშე, ავტომობილების დედამიწაზე დაწოლის ენერგიის გამოყენებაზე მუშაობს თანამშრომლებთან ერთად.



*მზის გენერატორები დღე და ღამე იმუშავებენ.*

## უჩვეულო ელექტროსადგური

აშშ-ში ამუშავებენ გოლფსტრიმზე ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტს. ელექტროსადგურს, რომელსაც 136 მეგავატი სიმძლავრე ექნება, ააგებენ ფლორიდის ყურეში, სადაც გოლფსტრიმი ერთ წამში 25 მილიონ კუბამეტრ წყალს გადაადგილებს (ეს 25-ჯერ აღემატება დედამიწის ყველა მდინარის წყლის ჯამურ ხარჯვას).

პროექტის განხორციელება შესაძლებელი მას შემდეგ გახდა, რაც ბოსტონის ჩრდილო-აღმოსავლეთის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრ გორლოვმა გამოიგონა ახალი კონსტრუქციის ჰიდროტურბინა, რომელიც ჰიდროენერგეტიკის განვითარებაში უდიდეს როლს შეასრულებს.

ახალი წყალქვეშა საოკეანო ელექტროსადგურის მშენებლობა დაახლოებით 300 მილიონი დოლარი დაჯდება. ფიქრობენ, რომ ხარჯები 5 წელიწადში ანაზღაურდება.

## გერმანელები საკუთარ ელექტროენერგიას ყიდიან

მზის ბატარეების გამოყენებას დიდი ყურადღება ექცევა გერმანიაში. ქალაქ მიუნხენში ცნობილი ელექტროტექნიკური ფირმა "სიმენსის" ქარხანა კარგა ხანია, მზის ბატარეებს ამზადებს. ასეთი ბატარეებით ქალაქში დაფარულია ბევრი საცხოვრებელი სახლის სახურავი და ოჯახები მათგან იღებენ საჭირო ელექტროენერგიას. მაშინ კი, როცა დღისით ეს ენერგია ნაკლებად სჭირდებათ, საერთო ელექტრომრიცხველის გავლით, ელექტროენერგია ქალაქის ენერგეტიკულ სისტემას გადაეცემა, რისთვისაც ოჯახებს ყოველ თვე გარკვეულ საფასურს უხდიან. გერმანული ოჯახები საკუთარ ელექტროენერგიას ყიდიან.

## იშვიათი "ჩიტი"

აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ბაზა "ედვარდსზე" (კალიფორნიის შტატი) ჟურნალისტებს გააცნეს "მომავლის თვითმფრინავები" იქს-43ა, რომელიც "ნასას" კონსტრუქტორებმა შექმნეს. ასეთი უპილოტო თვითმფრინავის საათში 11 ათას კილომეტრს დაფარავს.

გამოცდისათვის დამზადებულია სამი თვითმფრინავი. მათი ჰაერში აფრენა ექვსთვიანი ინტერვალით მოხდება. ინჟინრები სამი გაფრენის შემდეგ მოიპოვებენ ინფორმაციებს, რათა შემდგომ უფრო დიდი ზომის უპილოტო "ჩიტები" შექმნან. ასე იქნება უახლოესი ორი ათეული წლის მანძილზე.

## შემოქმედებითი მუშაობისათვის

ყოველთვის არ არის განწყობილი ადამიანი შემოქმედებითი აზროვნებისთვის.

ეს კი რომ მოხდეს, საკმარისია, თავზე ჩამოიცვათ მარტივი მოწყობილობა, რომელიც მაგნიტური იმპულსებით სტიმულირებას გაუკეთებს ტვინის იმ უჯრედებს, რომლებიც "პასუხს აგებენ" შემოქმედებითი ამოცანების გადაწყვეტაზე. ასეთი მსუბუქი მოწყობილობა გამოიგონა ორმა ავსტრალიელმა მეცნიერმა სიდნეის ტვინის მოქმედების ცენტრში.

ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ასეთი მოწყობილობის ჩართვისას მისი პატრონები იწყებენ "უკეთ ფიქრს" უკვე 15 წუთის შემდეგ.




TV პროგრამა

25 ოქტომბერი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ტურბულენტურობა-3: ჰევი მეტალი" (18) (კრეგ შეფერი) **02.00** პატრული

**პირველი არხი**

**07.30** ალიონი **09.40** მულტსერიალი **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ძახილი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** კონცერტი - "ქუჩის ბიჭები" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.25** დოკ. ფილმი **15.20** "ფორტუნა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" 1-ლი ს. **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** მულტსერიალი **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "კარიბის გული" 1-ლი ს. **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** თბილისობა **00.00** ღამის მატარებელი **01.00** მხ. ფილმი "დიდი ოჯახები" (გ)

**202**

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

**კავკასია**

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "ცხოვრებაში ყველაფერი ხდება" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **23.00, 00.30** ქართული მუსიკა

**მზე**

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** ერთი ჟურნლისტის მზერა. **12.05** ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ცდუნება" (15) (ლეტიცია კასტა)

**იმედი**

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 14.25, 02.05** ტვ-მარკეტი **13.15** სერიალი "კლონი" **14.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამოჩენილი ქალბატონები" **15.00** ფეხბურთი. "თბილისი" (თბილისი) - "დინამო" (თბილისი) **15.45, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.55** ქრონიკა **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** საქმე ტ **23.20** "არ დაიდარდო" **00.35** სპ. პროგრამა "გოლი" **01.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.35** იმედის მელოდიები

**ОРТ**

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Харрисон Форд в фильме **"ИСКАТЕЛИ ПОТЕРЯННОГО КОВЧЕГА". 11.30** Смехопанорама **12.10** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Синди Уильямс в фильме **"ДИКАЯ СОБАКА БИНГО" 15.20** "Угадай мелодию" **15.50** "Последний герой". Суперигра. **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня. **21.00, 23.30** Время. **21.30** Сериал **"МОСКОВСКАЯ САГА". 22.40** Спецрасследование. "Королевы красоты". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Искатели. "Рязанский стоунхендж". **00.40** "Подводный мир Андрея Макаревича". **01.10** Патрик Суэйзи в фильме **"ЛУЛУ НАВСЕГДА" 02.40** Стивен Болдуин в триллере **"ЗЛО" 04.20** Джулия Кристи в фильме **"ЗА ОТДЕЛЬНЫМИ СТОЛИКАМИ"**

**НТВ**

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: ПРОПАВШАЯ НЕВЕСТА". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **10.55** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2". 13.35** Сериал **"ТАКСИСТКА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"СОКРОВИЩА МЕРТВЫХ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"СЛЕПОЙ". 20.50** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 22.00** "Страна и мир". **22.35** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.25** "Школа злословия". Ток-шоу **00.40** "Земляне" плюс... **01.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 02.40** Айс Кьюб в боевике **"ОПАСНАЯ ЗЕМЛЯ" 04.10** Чрезвычайное происшествие. **04.30** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: игра в родителей". **05.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ"**.

სკანვორდი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხი:**

პლაფერონი; გერონტოლოგია; ცაიტნოტი; ხრუშჩოვი; შეველი; აგარა; პადუა; მედალი; გენერალისიმუსი; მაკარონი; ამბიცია; სპინოზა; ტოშიბა; იემენი; დელი; კალისტო; მაჩჩონი; პოპოვი; სათაური; აპნისი; ინდიანა; სოფელი; დილემა; თეოლოგია; ხოტბევარი; აპია; ლავგარდანი; კაპური; მარე; მაუდი; კარდანი; ლიბერია; ფიგარო; გაიანე; აუდი.

# სად არის ჩემი პისტოლეტი?

აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, გამოყოფილია 1.8 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სასროლი იარაღის მწარმოებელი კომპანიისთვის, რომელმაც ხსენებული თანხა ახალი ტიპის იარაღის დამზადებას უნდა მოახმაროს. ამ იარაღის გასროლა მხოლოდ მის პატრონს შეეძლება.

"გონიერ" პისტოლეტს, ან თოფს, "შენახული" ექნება მფლობელის თითის ანაბეჭდი. მიკროპროცესორი ანალიზს გაუკეთებს მიღებულ ინფორმაციას და თუ თითების ანაბეჭდი არ შეესაბამება მახსოვრობაში შენახულ ანაბეჭდს, იარაღი დაიბლოკება და ვერავინ შეძლებს თუნდაც ერთ გასროლასაც კი.

გარდა ამისა, დაგეგმილია ისეთი იარაღის გამოშვება, რომლის დაბლოკვაც შესაძლებელი იქნება რადიოს დახმარებით - მისი დაკარგვის, ან მოპარვის შემთხვევაში.

მსგავსი ტიპის შეიარაღებაზე ფიქრი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ხშირად აშშ-ს არმიიდან და პოლიციიდან იარაღი ხელში დამნაშავეებს უვარდებათ.

## ძაღლი-რობოტი

იაპონიის კომპანია "სანი ელექტრიკმა" ფართო საზოგადოებას ახლახან წარუდგინა ძაღლი-რობოტი, რომელსაც შეუძლია, შეასრულოს ბინის მცველის მოვალეობა. არანაკლებ გამოსადეგია იგი ოფისებში. ეს ოთხფეხა თანაშემწე დაუღალავად დაიარება შენობაში და შეუძლია, მცირე საშიშროების შემთხვევაშიც კი, დაუკავშირდეს პატრონს.

რასაკვირველია, ამისთვის რობოტს აქვს ციფრული კამერა და სხვა მგრძნობიარე ელექტრონიკა.

ძაღლი-რობოტის ღირებულება 750 დოლარი იქნება.




აფრინდით ბრიტანეთის ავიახაზებთან ერთად

$399 -დან

ლონდონი ჰითროუ ორი გზა

ბილეთის დაჯავშნისთვის და სხვა ინფორმაციისთვის ეწვიეთ ინტერნეტ-გვერდს ba.com, დაგვიკავშირდით: 94 07 19/20 ან მიმართეთ სამოგზაურო სააგენტოებს

BRITISH AIRWAYS

თბილისიდან გამგზავრების ფასები მოცემულია აეროპორტის მოსაკრებლისა და სხვა გადასახადების გარეშე. ბილეთის ვადა 12 თვეა. მისი დაჯავშნა უნდა მოხდეს 31.10.2004 ბოლო გაფრენა 31.03.2005-მდე. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ბრიტანეთის ავიახაზების ოფისს ან სამოგზაურო სააგენტოებს. ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED

ლონდონი ჰითროუ ბრუნდება

პირდაპირი რეისი კვირაში ორჯერ ლონდონის ჰითროუს აეროპორტში

2004 წლის 1 ნოემბრიდან აღდგება ბრიტანეთის ავიახაზების პირდაპირი რეისები ლონდონის მიმართულებით. თბილისიდან ფრენები იწარმოებს ორშაბათს და შაბათს, ბიზნეს და ეკონომ კლასების მომსახურებით. ბილეთების დაჯავშნისა და სხვა ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვიოთ ინტერნეტსაიტს ba.com, დაგვირეკეთ 940719/20, ან მიმართოთ სამოგზაურო სააგენტოებს.

ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED

BRITISH AIRWAYS

სასკოლო მეთოდიკური გაზეთები

შპს მედია ოჯახი "განათლებული საქართველო" და შპს "რუსთავი 2 პრინტი" გთავაზობთ ხელმოსაწერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდიკურ გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდიკური გაზეთები მოგაწვდით ყველა კლასში პარალელური სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდიკებსა და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგაკვეთილო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებს მიიღებთ ადგილებზე 2004 წლის 20 სექტემბრიდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

არის თუ არა მოსახლეობა მზად მოახლოებული ზამთრისათვის?

საქართველოს გააჩნია საკუთარი ენერგორესურსი, რომ დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნები.

ეს არის ნახშირი - შეშის ალტერნატივა.

ჩვენი სამთო-სამრეწველო კომპანია გთავაზობთ ნახშირს, რომელსაც აწარმოებს ქარხანა დამონტაჟებული უცხოელი ინვესტორების მიერ ქ. ტყიბულში. ჩვენი პროდუქცია იდეალური საწვავია, რომელიც გამოიყენება როგორც დიდ ქარხნებისთვის ასევე საყოფაცხოვრებო ობიექტებისთვის (სკოლები, საავადმყოფოები, სახურავები, ღუმელები და ა.შ.).

შეიძინეთ ნახშირი იაფად ქ. ტყიბულში, შეიძლება ადგილზე მიტანაც.

საკონტაქტო ტელეფონები: 99-68-26 / 92-37-43

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge





## წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.